

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პაატა ვლადიმერის ძე კუნძულია

ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში

დისერტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად (Ph.d in Business Administration)

მეცნიერ ხელმძღვანელი: გოჩა თუთბერიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თბილისი 2013

## **შინაარსი**

<b>შესავალი</b>	<b>3</b>
<b>თავი 1. საქართველოს საბანკო სისტემისა და ფინანსური</b>	
<b>მომსახურების ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებლები:</b>	<b>9</b>
1.1. საქართველოს ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები	<b>9</b>
1.2. ფინანსური სისტემის ფუნქციები და მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის	<b>18</b>
1.3. კომერციული ბანკების როლი ფინანსურ ინდუსტრიაში	<b>37</b>
1.4. საქართველოს ფინანსური სისტემის მარეგულირებელი ინსტიტუტების გენეზისი	<b>48</b>
<b>თავი 2. კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების</b>	
<b>ანალიზი და შეფასება:</b>	<b>56</b>
2.1. კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ზოგადი დახასიათება	<b>56</b>
2.2. კომერციული ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობის ანალიზისა და შეფასების ბუდალტრული და ეკონომიკური მოდელები	<b>112</b>
2.3. კომერციული ბანკის დირექტულების შეფასების კრიტერიუმები და მნიშვნელობა	<b>147</b>
<b>თავი 3. ქართული და ბერძნული ბანკების ფინანსური</b>	
<b>მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი:</b>	<b>151</b>
3.1. საბერძნების ბანკების ისტორია	<b>151</b>
3.2. ქართული და ბერძნული ბანკების კონსოლიდირებული აქტივების, სესხებისა და დეპოზიტების ფინანსური ანალიზი (2008, 2009 და 2010 წლები)	<b>156</b>
3.3. ბანკების ერთიანი შედეგების 13 მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტის შედარებითი ანალიზი	<b>159</b>
<b>დასკვნები და წინადაღებები</b>	<b>184</b>
<b>გრაფიკები, ცხრილები და ნახატები</b>	<b>193</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>197</b>

## შესავალი

### პრობლემის აქტუალობა

საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბება მოიცავს დაახლოებით ოცწლიან პერიოდს და ათვლის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ 1991 წელი, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობას, სამწუხაროდ მოჰყვა სამოქალაქო ომი და კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, პიპერინფლაცია თანამდევი შედეგებით, რამაც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. საბანკო და საფინანსო-საკრედიტო სტრუქტურები ვერ ახერხებდნენ მათზე დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას. მათი ოპერაციები შემოიფარგლებოდა სახსრების მიღებითა და გაცემით. არ არსებობდა ფინანსურ ბაზრებზე სრულყოფილი ზედამხედველობის სისტემა. სუსტი იყო საკანონმდებლო ბაზა. ზემოაღნიშნული მოვლენების გამო საბანკო სისტემის რეორგანიზაცია 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ჯანსაღი საბანკო სისტემა ჩამოყალიბებას 1994 წლიდან იწყებს. იზრდება მოთხოვნები სადამფუძნებლო კაპიტალის მიმართ, ქართულ ბანკებს ეხსნებათ საკრედიტო ხაზები საერთაშორისო საფინანსო ინსტუტების მხრიდან, მართალია თანხები არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ ამ ხაზებს მოყვება ტექნიკური დახმარება, რაც საშუალებას აძლევთ ბანკებს გააფართოვონ საქმიანობის არეალი მრავალი მიმართულებით: აქტივების, კაპიტალის, ანაბრებისა და სესხების მიმართულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ზომების შედეგად დაიწყო შერწყმა-გაერთიანების პროცესები და სუსტი და პატარა ბანკები ერთიანდებიან შედარებით ძლიერ საბანკო ინსტიტუტებად. გარდა ამისა, პრუდენციული ზედამხედველობა იზიარებს ბაზელის პრინციპებს, რამაც შეამცირა საბანკო რისკები და სისტემა გახადა უფრო ტრასპარენტული და, აქედან გამომდინარე, მიმზიდველი უცხოური კაპიტალისათვის.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ძირეულად შეიცვალა საქართველოს ეკონომიკური ლანდშაფტი. ფინანსური სექტორის განვითარებამ გაამძაფრა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ინტერესი. განხორციელებულმა ლიბერალურმა რეფორმებმა კი გამოიწვია უცხოური კაპიტალის დიდი ინტერესი, პირველ რიგში, ფინანსური სექტორის მიმართ.

ქართული საბანკო კაპიტალის 80 პროცენტზე მეტი დღეს უცხოელინვესტორებს ეკუთვნის, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ახალი პროდუქტებისა და საბანკო ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური დანერგვა, კონკურენტული გარემოს სრულყოფა, რეგულირების მექანიზმების დახვეწა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საბანკო სექტორი ჩამოყალიბდა როგორც საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ფინანსურ სისტემაში გამოირჩევა უფრო მეტი სტაბილურობით, ტრანსპარენტულობით და მაღალი დინამიკით. შესაბამისად, საბანკო სექტორის, და განსაკუთრებით, კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კულტურის შესწავლა ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებით, სულ უფრო აქტუალური ხდება. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით კვლევა აქტუალურია, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისითაც.

### პრობლემის შესწავლის მდგრამარეობა

კომერციული ბანკების საქმიანობის კვლევას და ასეთი კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლას ეძღვნება მრავალი უცხოელი მეცნიერის ნაშრომები, რომელთა შორის აღსანიშნავია ფ.მიშკინი, ჯ.სინკი, პ.როუზი, ჯ.მარშალი ა.ბერგერი, ჯ.ბრაიანი და სხვები. ასევე, კომერციული ბანკების კვლევის საკითხებს ეძღვნება ქართველი მკვლევარების ი.კოვზანაძის, რ.კაკულიას, გ.გამსახურდიას, მ.კაკულიას, ლ.ბახტაძის, ზ.ლუდუშაურის, ლ.ლუდუშაურის, მ.გოგონიას, გ.ცაავას, ლ.ქოქიაურის, გ.თუთბერიძის, ვ.მოსიაშვილის, ხ.ბარბაქაძის და სხვათა შრომები. აღსანიშნავია, რომ ქართველი ავტორების მიერ სიღრმისეულად არის გამოკველული ფინანსური სისტემის ფუნქციონირების და კომერციული ბანკების საქმიანობის მრავალი სფერო და ასპექტი, მაგრამ ვინაიდან თვითონ საბანკო სისტემა შედარებით ახალგაზრდაა, ამიტომ ჯერ კიდევ არსებობს უამრავი საკითხი, რომელიც მკვლევარებისაგან მეტ ყურადღებას იმსახურებს. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს, კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის, ბანკების ეფექტიანობის ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელების, საბანკო რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავების და სხვა უმნიშვნელოვანების პრობლემები. ჩვენი აზრით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ასევე, ისეთი საკითხები, როგორიცაა, საბანკო ანგარიშგების ხარისხის გამოკვლევა, კომერციული ბანკის დირექტულების შეფასების სხვადასხვა მეთოდების შემუშავების პრობლემები, რომელიც მომავალში აუცილებლად

გახდება ჩვენი და ასევე, ალბათ, სხვა მკვლევარების ყურადღების საგანი.

### **კვლევის მიზნები და ამოცანები**

ნაშრომის ავტორი არ აცხადებს პრეტენზიას კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებათა პრობლემების ყოვლისმომცველ კომპლექსურ განხილვაზე, არამედ ჩვენი მიზანია:

**პირველი.** განვიხილოთ საბანკო სისტემის და ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებლები, ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები, ფინანსური სისტემის ფუნქციები და მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, კომერციული ბანკების როლი ფინანსურ ინდუსტრიაში;

**მეორე.** განვიხილოთ კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ანალიზის და შეფასების ძირითადი ასპექტები, დავახასიათოთ კომერციული ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობა ანალიზისა და შეფასების ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელების საშუალებით. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კომერციული ბანკის საბაზო ღირებულება ძირითადად დამოკიდებულია მისი პორტფელის ხარისხზე და მოსალოდნელ ფულადი ნაკადების სიდიდეზე. სწორედ ამიტომ, ინვესტორების ყურადღება, ძირითადად, მიმართულია ასეთი ფულადი ნაკადების სიდიდის, ვადიანობის და რისკის ხარისხისადმი. ეს ანალიზი ეყრდნობა კონკრეტული ბანკების საქმიანობის ანალიზს, როგორც ხელსაყრელ ასევე არახელსაყრელ ეკონომიკურ გარემოში.

**მესამე.** ქართული და ბერძნული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის შედარებითი ანალიზი ძირითადი საბანკო მაჩვენებლების (ბაზრის წილი, პორტფელის ხარისხი, დეპოზიტების, სესხების ზრდის ტემპი, საბანკო ტვირთი და ეფექტურობის მაჩვენებლები) შედარების საფუძვლებზე. 13 მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტების შედარებითი ანალიზი.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში ხდებოდა შემდეგი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა:

- საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების დახმასიათება ისტორიზმის პრინციპიდან გამომდინარე;
- კომერციული ბანკების დირექულებების შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს ბანკის აქტივების და, პირველ რიგში, გაცემული სესხების ხარისხის, დეპოზიტების მოზიდვის უნარის, მოზიდული დეპოზიტების მოცულობისა და სტრუქტურის, ასევე ბანკის კაპიტალის შემადგენლობის კვლევას;
- კომერციული ბანკების მენეჯმენტის ეფექტიანობის ანალიზი ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელების გამოყენებით. მეტი სიზუსტისა და ტენდენციების თვალსაჩინოდ გამოკვეთის მიზნით განხორციელდა ბანკების დაყოფა კატეგორიებად. 5 მსხვილი ბანკი, 5 საშუალო ბანკი და ყველა ბანკი. ასეთი დანაწილება ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ცალკეული ბანკები შეიძლება დაჯგუფდეს “ეპივალენტური შემოსავლის” პრინციპიდან გამომდინარე. აქ იგულისხმება ის, რომ თანაზომადი ბანკების, ანუ ერთი კლასში შემავალი ბანკების, მოსალოდნელი შემოსავლიანობა ხასიათდება ალბათობის მსგავსი განაწილებით<sup>1</sup>.
- კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ხარისხის ამაღლებისა და საბანკო სისტემის რეგულირების სრულყოფისათვის.

### **კვლევის საგანი და ობიექტი**

კვლევის საგანს წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის თავისებურები კომერციულ ბანკში. კვლევის ობიექტია საქართველოს საბანკო სისტემა. კვლევამ ნაწილობრივ მოიცვა ბერძნული ბანკების ბაზარიც, ქართული და ბერძნული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი, ასევე საბანკო რეგულირების ცალკეული საკითხები საქართველოსა და საბერძნეთში.

### **კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი**

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური დებულებები, კლასიკური და თანამედროვე ფინანსების თეორიები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები ფინანსური მენეჯმენტის, კორპორაციის ფინანსების თეორიის, ინვესტიციებისა და ფინანსური რისკების

<sup>1</sup> იხ. Modigliani F. and Miller M.H The cost of capital, corporation, finance and the theory of investment. The American Economic Review, v. 48 (1958), pp. 261-297.

<sup>2</sup> ქვემდინარე თბილისის ზარაფხანა XVII – XVIII სს. (ვერცხლის ფული) (XIII – XIV)” აკად. ს. ჯანაშიას ხახელობის

საკითხებთან დაკავშირებით, ოფიციალური დოკუმენტები, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, კანონქვემდებარე აქტები, ინსტრუქციები, მეთოდური მითოგებები, ბრძანებები, ასევე, სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნესსტრუქტურების მასალები აღნიშნულ სფეროში. ფაქტობრივი მასალის ანალიზის პროცესში, კვლევის ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან ერთად, გამოყენებულია: სისტემური ანალიზის, ანალოგიების, პროგნოზირების, სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგის და სხვა მეთოდები.

### **სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე**

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მოიცავს იმ მდგომარეობის შემუშავებას, რომელიც ეყრდნობა რა სამეცნიერო მეთოდურ საფუძვლებს და ხელს უწყობს საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და სრულყოფას. კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში შემუშავებულია, თეორიულ და მეთოდოლოგიური მიდგომები, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სიახლეს.

ამ თვალსაზრისით, კვლევის მეცნიერულ სიახლეებად გვესახება შემდეგი:

1. ქართული საბანკო სექტორის განვითარების დინამიკის დახასიათება ისეთი მაკრომაჩვენებლების საშუალებით, როგორიცაა: მთლიანი დეპოზიტების შეფარდება ქვეყნის მოსახლეობასთან, ანუ ერთ სულ მოსახლეზე დეპოზიტების წილი, საკრედიტო ინსტიტუტების ფილიალების, სერვის ცენტრების და მოსახლეობის თანაფარდობა, დეპოზიტებისა და კრედიტების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში; ამასთან, რაც აქამდე არ გაკეთებულა, ამ ასპექტში კვლევამ მოიცვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საკრედიტო კავშირები;
2. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის ანალიზი “საბანკო ტვირთის” მაჩვენებლის საფუძველზე. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თვითონ ცნება “საბანკო ტვირთი” ქართულ საფინანსო და საბანკო კვლევებში თითქმის არ გვხვდება. ვფიქრობთ, რომ კომერციული ბანკის მენეჯმენტმა ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებთან ერთად სერიოზული ურადღება უნდა მიაქციოს “საბანკო ტვირთის” მაჩვენებელს;

3. სადისერტაციო კვლევაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შესწავლილ იქნა სხვადასხვა საბანკო ჯგუფის საქმიანობის მონაცემები 2005 და 2011 წლებში. სადაც მოყვანილია დაწვრილებითი ინფორმაცია სტანდარტულ გადახრაზე და ვარიაციის კოეფიციენტზე, რომელიც გამოიყენება რისკის განსაზღვრისათვის;
4. კვლევის დასკვნითი ნაწილი ეხება საქართველოსა და საბერძნეთის კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებით ანალიზს, რაც ჩვენს მიერ განხორციელდა პირველად. ანალიზის შედეგები უზვენებენ, რომ ძირითადი ტენდენციები ორივე ქვეყნის საბანკო სისტემაში მეტ-ნაკლებად მსგავსია.

### **ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა**

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების გამოყენება შეიძლება როგორც საბანკო სექტორისთვის, ასევე სხვა საფინანსო ინსტიტუტებისათვის. სადისერტაციო ნაშრომში მოთავსებული კვლევის შედეგების გამოყენება, ასევე შეუძლიათ შესაბამისი ფაკულტეტის ბაკალავრებს, მაგისტრებს და დოქტორანტებს სპეციალური სალექციო კურსების სწავლების პროცესში.

ნაშრომში მოცემული პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი დასკვნა, წინადადება და რეკომენდაცია გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ სფეროში ჩართულ ადამიანებს, კერძოდ, მეცნიერებსა და მკვლევარებს.

## თავი 1. საქართველოს საბანკო სისტემის და ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებლები

### 1.1. საქართველოს ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები

საბანკო საქმე საქართველოში მე-17-18 სს.-ში, ე.წ. „საზარაფო“  
დაწესებულებებიდან იწყება. იმდროინდელი ევროპელი ისტორიკოსები თუ  
მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ თბილისი იყო ხალხმრავალი ქალაქი, სადაც  
გაცხოველებული ვაჭრობა გაეჩადებინათ. სწორედ ამ მჩქეფარე ქალაქური  
ცხოვრების უტყუარი საბუთია მე-17-18 საუკუნეებში ზარაფხანის არსებობა<sup>2</sup>.

ზარაფხანა სიონის ქუჩაზე მდებარეობდა. მას პირი მტკვრისკენ ჰქონდა  
მიქცეული. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ფულის შესახებ რამდენიმე  
მოსაზრება არსებობს. როგორც პროფ. ე. პახომოვი აღნიშნავდა, ეს ფული წმინდა  
სპარსულია, ხოლო პროფ. დ. კაპანაძეს მიაჩნდა, რომ ეს ქართული ფულია,  
მოჭრილი ირანული ნიმუშების მიხედვით<sup>3</sup>.

ზემოაღნიშნულ საუკუნეებში მოჭრილი ფული ირანულია, რასაც ადასტურებს  
შემდეგი ფაქტი: 1651 წელს ერთ სომებს ვაჭარს თბილისის ზარაფხანისთვის  
ჩაუბარებია სტამბულში ნავაჭრი ფული, რათა ის სპარსულ ფულად გადაეჭედათ  
მისთვის და მშობლიურ ქალაქ აკულისში ისე დაბრუნებულიყო. როგორც თვითონ  
აღნიშნავდა, ირანში მხოლოდ სპარსული ფული გადიოდა<sup>4</sup>.

როგორც ცნობილი ფრანგი მოგზაური ტავერნიე აღნიშნავდა, ზარაფხანაში  
„ტფილისის მეფე სპარსეთის ხელმწიფის სახელით ჭრიდა ფულს ევროპის  
სხვადასხვა სახელმწიფოთა ვერცხლის ფულებისაგან, რომლებიც სომხებს  
შემოჰქონდათ ევროპიდან და სამაგიეროდ აქედან გაჰქონდათ სხვადასხვა  
სავაჭროები“<sup>5</sup>.

მე-18 საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით შეინიშნებოდა თბილისის  
ზარაფხანის გააქტიურება. ეს პროცესი გამოიწვია ირანის დრმა კრიზისმა და  
ქართლის მმართველები (ვახტანგი, სიმონი, ბაქარი) პირველად ბედავენ სპილენძის  
მონეტაზე ქართული ზედწერილის მოთავსებას. ამ პერიოდიდან იწყება ეკონომიკის

<sup>2</sup> ქუთელია თ. “თბილისის ზარაფხანა XVII – XVIII სს. (ვერცხლის ფული) (XIII – XIV)” აბად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXX III- გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი 1978 გვ. 89.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 89.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 90.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 93.

გამოცოცხლება და აღმავლობა, რასაც მოჰყვა ქალაქებისა და სოფლების ადდგენა, გაფართოვდა ვაჭრობა.<sup>6</sup>

ქართლ-კახეთის მეფემ ქართველი ერის განადგურების თავიდან აცილების მიზნით მე-18 საუკუნეში რუსეთის მეფეს ქვეშევრდომობა შესთავაზა.

ერებლეს ელჩი რუსეთის სამეფო კარზე, გ. ჭავჭავაძე იმპერატორს სწერდა: „ვინათგან საქართველოსა შინა მარადის კეთდების ყოველი მონეთი, ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა ფრიად მცირე რაოდენობითა, ამისთვის მათი უმაღლესობა მეფე ითხოვს, რომ უმოწყალესობით ლირსპუოთ იგი და ქვეშევრდომნი მისნი ბრძანებითა მით, რომ ერთ კერძ გამოსახულიყოს პორტრეტი თქვენი იმპერატრების დიდებულებისა, ანუ ასონი და მნიშვნელნი საღმთოსა თქვენს იმპერატრების სახელისა, და მეორესა კერძოსა ზედა მეფესა და საქართველოსა, მხოლოდ მისთვის, რომცა ამის ძალით შესაძლებელ იყოს ცნობა, რომ მონეთი იგი მოჭრილია საქართველოსა შინა, ოქრო და ვერცხლი საქართველოსი არს გამოცდილებით უპირველესი ვიდრე დასაბამიდან იყო“.<sup>7</sup>

რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ (1801წ.) საქართველოში იწყება იმპერიულ საკრედიტო დაწესებულებათა წარმოქმნა, რამაც სრულიად შეცვალა ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური განვითარების ისტორიული პროცესი<sup>8</sup>.

1804 წლის 14 სექტემბერს გაიხსნა ზარაფხანა, რომელიც განთავსდა სამეფო აბანოში. ზარაფხანის მოწყობა დაჯდა 3350 მანეთი ვერცხლით. ზარაფხანას გახსნისთანავე გადაეცა დასამუშავებლად (ფულის მოსაჭრელად) ახტალის ქარხანაში გამოდნობილი ერთი ფუთი ვერცხლი, ხოლო საწარმოო ბრუნვისათვის – 1000 მანეთი.

რუსეთმა, ასევე, დაარსა იმპერიული საკრედიტო დაწესებულებები. პირველი ასეთი დაწესებულება ჩვენთან 1810 წელს შეიქმნა, სახელწოდებით „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიო“ (პრიკაზი) და, მსგავსად ყველა სხვა გუბერნიისა, საწყის კაპიტალად გაცემულ იქნა 15000 მანეთი. „საგანგიოს“ (პრიკაზის) ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო როგორც საქველმოქმედო მოღვაწეობა (სკოლების, თავშესაფართა და ა.შ. გახსნა და მოწყობა), ის წარმოადგენდა, ასევე, ერთგვარ საკრედიტო დაწესებულებას და კერძო პირთაგან შეეძლო ანაბრების

<sup>6</sup> იქვე: გვ. 95.

<sup>7</sup> ჩორგოლაშვილი მ. „ობილისის ზარაფხანის ისტორიისათვის“. „მეცნიერება და ტექნიკა“, თბილისი №1. 1971. გვ. 32.

<sup>8</sup> გუბუნებული პ. „ფულის ნიშნები და ფულის მიმოქცევა 1801-1864 წწ.“ თბილისი. გვ. 11

მიღება და სესხის გაცემა მხოლოდ უძრავი ქონების გირავნობით, თითოეულ პირზე არა უმეტეს 1000 მანეთისა და ერთი წლის ვადისა<sup>9</sup>.

1864-1871 წლების საგლეხო რეფორმა, უპირველესად, პოლიტიკური აქტი იყო როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. რეფორმამ ხელუხლებელი დატოვა მემამულური მიწათმფლობელობა, როგორც საკუთრებითი ურთიერთობის ფორმა.

საგლეხო რეფორმა საქართველოში მებატონე-თავადაზნაურთათვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთში.

ამ ცვლილებებს გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია, პირიქით, მათი უმეტესობა უმიწოდ დატოვა. მიწის უმეტესი ნაწილი მემამულების ხელში დარჩა. რეფორმამდე გლეხების უმეტესობა აღმოსავლეთ საქართველოში ფლობდა 84 665 დესეტინა მიწას, ხოლო რეფორმის შემდეგ – 55 679 დესეტინას.<sup>10</sup>

ქართველი საზოგადო მოდვაწეების დიდი სურვილი იყო, რომ გლეხები მიწით უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ, რაც, პირველ რიგში, დაიცავდა გლეხების ინტერესებს და, ასევე, გააუმჯობესებდა საქართველოს იმდროინდელ ეკონომიკურ მდგომარეობას. დიდი ილია ასე მიმართავდა გლეხებს: „გლეხო, ბევრ რამეს მოკლებული ხარ, ბევრი რამე წართმეული გქონდა და მარტო პატიოსანი და ნამუსიანი სახელიდა შეგრჩაო“<sup>11</sup>.

1860 წელს შეიქმნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკი, რომლის პირველი წარმომადგენლობითი კანტორა (ფილიალი) თბილისში 1866 წელს გაიხსნა. მას მეფის მთავრობა ზოგადეკონომიკური პოლიტიკის გატარებისთვის იყენებდა.

1871 წელს შეიქმნა თბილისის კომერციული ბანკი, რომელსაც პქონდა განყოფილებები ბათუმში, ბაქოსა და ერევანში<sup>12</sup>.

1875 წელს დაარსდა თბილისის საადგილმამულო ბანკი, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართველი საზოგადო მოდვაწე, დიდი ილია ჭავჭავაძე. შესანიშნავმა განათლებამ საბანკო საქმეში მას მისცა იმის საშუალება, რომ არამარტო რეფორმატორული შეხედულებები გამოეთქვა, არამედ, პრაქტიკული თვალსაზრისითაც, დიდი დახმარება გაეწია გლეხებისა და თავადაზნაურობისთვის. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში, საადგილმამულო ბანკის მეშვეობით განხორციელდა ორ მილიონამდე მანეთის ინვესტირება ისეთ საქველმოქმედო

<sup>9</sup> გუგუშვილი პ. „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“. მონოგრაფიები. ტომი მეორე. თბილისი. 1956 წ. გვ. 244, 246.

<sup>10</sup> შველიძე ნ. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1864-1921 წწ.)“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1967 წ. გვ. 22.

<sup>11</sup> სართანია ტ. „სოციალურ-ეკონომიკური მოტივები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი. 1989 წ. გვ. 26.

<sup>12</sup> შველიძე ნ. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1864-1921 წწ.)“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1967 წ. გვ. 24-25.

საქმიანობებზე, როგორიცაა: სკოლების გახსნა, ტაძრებისა და მონასტრების შეკეთება და ა.შ. ბანკის შემოსავლებით არსებობდა კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებებიც.<sup>13</sup>

იმ პერიოდში მცხოვრები ზოგიერთი ქართველი არასწორ ნაბიჯად აფასებდა ილიას საბანკო საქმეში გადასვლას. მაგალითად, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, იაკობ მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში წერდა: „დიდად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ილიას განსაკუთრებული ნიჭი და ჭკუა საქვეყნო საქმეს მოაშორეს, ბანკის იწიბიწო საქმეს ჩააკლეს. განა მიუტევებელ ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს ის ამბავი, რომ ილიას ბუნებით მომადლებული ნიჭი, მისი იშვიათი, არაჩვეულებრივი ჭკუა ილახებოდა და იხარჯებოდა ისეთ უმნიშვნელო, წვრილმან საქმეებზე, როგორც ბანკის საქმეები იყო”<sup>14</sup>.

ერთი წლის შემდეგ ანალოგიური ბანკი გაიხსნა ქუთაისში. ამ ბანკების ფორმირება შედეგი იყო საგლეხო რეფორმებისა, რომელმაც დადებითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოში საკრედიტო ურთიერთობების განვითარებაზე.

ქუთაისის ბანკის საქმის გაძლიერება დაიწყო ერემეევის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეცვალა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი მელნიკოვი (იგი 1902-1905 წწ. ხელმძღვანელობდა ბანკს). ერემეევის ხელმძღვანელობით ქუთაისის ბანკმა შეძლო ნდობის დაბრუნება. 1910 წელს ერემეევი მ. ფალავამ შეცვალა. ქუთაისის ბანკმა იმოქმედა 1917 წლამდე<sup>15</sup>.

რუსეთის იმპერიიდან საქართველოს გამოყოფის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის პერიოდში, ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა. ბანკები თავიანთ კლიენტებს მიბარებულ თანხას ვერ უბრუნებდნენ ან უბრუნებდნენ ძალიან მცირე პროცენტს. ამის მთავარი მიზეზი, როგორც აღნიშნული იყო, მდგომარეობდა შემდეგში:

1. მას შემდეგ, რაც რევოლუცია დაიწყო (1917 წ. თებერვალი), აქტივების განადლება გაძნელდა, ხოლო რუსეთიდან ამიერკავკასიის, ფაქტობრივად, ჩამოცილების და რუსეთში ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ (1917 წ. ოქტომბერი), ჩვენში არსებული განყოფილებები მოსწყდნენ თავიანთ გამგეობებს და მათ მიერ იქ გადაგზნილ ფულს უკან ვერ იღებდნენ;

<sup>13</sup> სართანია ტ. „სოციალურ-ეკონომიკური მოტივები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1989 წ. გვ. 32.

<sup>14</sup> ქსტაური შ. „ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი ბანკირი-ფინანსისტი“. გამომცემლობა „სამთავისი“ თბილისი. 1998 წ. გვ. 12.

<sup>15</sup> რიბაქიძე რ. „საკრედიტო ურთიერთობების განვითარება საქართველოში“. ქუთაისი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003 წ. გვ. 29.

2. ფულის ნიშნის დიდი ნაკლებობა იყო და ბანკები საჭიროების მიხედვით მას ვერ იღებდნენ. ეს გარემოებები ხალხს აშინებდა; ბანკში შესანახად ფული, კარგა ხანია, არავის შექმნდა, თუმცა ეს ფული უმოძრაოდ ედო ხალხს სოფლად თუ ქალაქად.

საბანკო საქმე და მისდამი ნდობა გამოაცოცხლა იმ გარემოებამ, რომ 1918 წლის 25 ივნისიდან საქართველოს მთავრობამ მოახერხა ბანკების ფულის ნიშნებით უზრუნველყოფა. ამიტომ ისინი ფულს დებულობდნენ შესანახად სრული გარანტით, რომ კლიენტს პირველი მოთხოვნისთანავე დაუბრუნებდნენ.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომლის მცდელობა იყო დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა, 1919 წლის 31 დეკემბერს მიიღო კანონი „სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში რესპუბლიკის მთავრობამ მოახერხა ბონების გამოშვება, რომლებსაც სავალუტო უზრუნველყოფა არ ჰქონდა.

1920 წლის ბოლოს საქართველო დრმა კრიზისმა მოიცვა. მეტად არასახარბიელო იყო ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებდა იმ დროს მიმოქცევაში არსებული ქართული ბონის კურსზე, რომლის ემისია 1919-1920 წლებში ოთხჯერ განხორციელდა<sup>16</sup>.

1921 წლის რევოლუციურმა ვითარებამ, სამოქალაქო ომმა და რუსეთის სამხედრო ექსპანსიამ საქართველოში ახალფეხადგმული საბანკო სექტორი გაანადგურა. 1924 წლიდან საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში დაიწყო სოციალისტური ბანკების ფორმირება. ბანკები, რომლებიც დაფუძნებული იყო კერძო სტრუქტურებზე, სახელმწიფო ორგანოებად გადაიქცა. ამავე წლის პირველი ივნისიდან ამიერკავკასიაში დამკვიდრდა სსრ კავშირის ფული, რომელიც 1993 წლამდე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებას წარმოადგენდა.<sup>17</sup>

1987-1990 წლებში საბანკო სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, რაც წარმოდგენილი იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბანკებით. საქართველოში საბჭოთა საბანკო სტრუქტურაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი საბანკო სისტემის ფუნქციონირება საბჭოური სისტემის ორგანიზაციულ-ნორმატიულ ბაზაზე, ფაქტობრივად, 1994 წლამდე გაგრძელდა, ანუ შეიძლება ითქვას, რომ დაიშალა საბჭოთა საბანკო სისტემა, რამაც მოითხოვა

<sup>16</sup> რობაქიძე რ. „საქრედიტო ურთიერთობების განვითარება საქართველოში“. ქუთაისი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003 წ. გვ. 47-48.

<sup>17</sup> ასათიანი რ. „საქართველოს კონტინუა - წარსული აწმეთ პერსპექტივა“. მოკლე მიმოხილვა. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“. თბილისი. 2002 წ. გვ. 20-21.

სრულიად ახალი ეპოქის შექმნა. დღის წესრიგში დადგა საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბება; ხოლო მისი ტრანსფორმირების პროცესი დაიწყო 1991 წელს<sup>18</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, იგი მაინც რუსული რუბლის ზონაში რჩებოდა, რომელსაც რუსეთის მთავრობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტად იყენებდა<sup>19</sup>.

საქართველოს სახელმწიფო, ქვეყნის დამოუკიდებლობის საწყისი პერიოდიდან (1991 წ.), ფაქტობრივად, თავიდან იყო შესაქმნელი. საბანკო-ეკონომიკური რეფორმა ორგანიზაციულ დახვეწას და შემდგომ გადრმავებას საჭიროებდა. მაგრამ იგი ორიენტირებული და დამოკიდებული იყო საერთო ეკონომიკურ რეფორმასა და მის შემდგომ განვითარებაზე. საბანკო საქმიანობის განვითარების პროცესზე, ეკონომიკურთან ერთად, ისეთი ფაქტორებიც ახდენდა გავლენას, რომელთა შინაარსიც სცილდება ეკონომიკური მოვლენების ფარგლებს. საბანკო პოლიტიკას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა განაპირობებდა, რომლის დესტაბილიზაციის ფონზე მოიშალა ტრადიციული ეკონომიკური კავშირებიც. ამდენად, საბანკო სექტორს ეკონომიკური სექტორისათვის მომსახურების ახალი, პროგრესული ფორმების შეთავაზება დამოუკიდებლად არ შეეძლო<sup>20</sup>.

ქვეყანაში არსებულმა არამდგრადმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ და ეკონომიკური ბაზრის სისუსტემ ხელი შეუშალა საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისა და საბანკო სექტორის განვითარებას. ფაქტობრივად, საბანკო სისტემა გახდა უკონტროლო. ის ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნიდა.

მიუხედავად ამისა, საქართველომ თანამედროვე ეტაპზე, ფინანსების საბაზრო ორიენტაციის განვითარების თვალსაზრისით, განახორციელა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და ფინანსური რეფორმები, რათა მათ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 15 ნოემბრის №856 დადგენილებით ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების ბანკების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო-კომერციული ბანკები: საქმშენბანკი, საქაგრომრეწვბანკი, საქმრეწვმშენბანკი და საქბინსოცბანკი.

<sup>18</sup> მიხანაშვილი ნ. „საქართველოს საბანკო სისტემა - რეტროსპექტივა და პერსპექტივა“. თბილისი. 2006 წ. გვ. 48-49.

<sup>19</sup> Kunchulia P. „Development of the Georgian Banking System in the Last 20 Years (1989-2009)“ – scientific-analytical journal „Theoretical and Applied Economics“. Bucharest. ISSN 1841-8678. p.778 .

<sup>20</sup> მიხანაშვილი ნ. „საქართველოს საბანკო სისტემა – რეტროსპექტივა და პერსპექტივა“. თბილისი. 2006 წ. გვ. 78.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით და აღნიშნული დადგენილებით, საბანკო საქმიანობა მთლიანად დაექვემდებარა საქართველოს კანონმდებლობას. ამ პერიოდში საქართველოში უკვე მოქმედებდა კანონები:

- „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“;
- „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“;
- „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“;
- „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“<sup>21</sup>.

1994 წლიდან საქართველოს საბანკო სისტემას, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით, რომელიც აქტიურად ჩაერთო ქვეყნის ეკონომიკის რეფორმაში, წინსვლა დაეტყო. წინა წლებთან და ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით, საბანკო სისტემა მაღალშემოსავლიანი გახდა. 1994 წლამდე საქართველოს საბანკო სისტემას არ გააჩნდა არავითარი ფუნქცია, რომ თავისი მოვალეობა შექსრულებინა<sup>22</sup>.

1995 წელს მიმოქცევაში ეროვნული ლარის შემოსვლამ დადებითად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება და საფინანსო-საბიუჯეტო სექტორის სტაბილიზაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სწორად წარმართულმა რეფორმებმა დადებითი ზეგავლენა იქონია როგორც ეროვნულ ეკონომიკაზე, ისე კომერციული ბანკების სტაბილურობაზე, მათი სანდოობის ამაღლებაზე.

საქართველოში შექმნილმა ფინანსურმა სტაბილიზაციამ, აქტიურმა ფინანსურმა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ ხელი შეუწო საბანკო სისტემის შემდგომ განვითარებას, რაც შეიმჩნეოდა 1997 წლიდან და აისახებოდა მის ფინანსურ მაჩვენებელზე. ყოველივე ამას მოჰყვა ბანკების შემცირება და მათი აქტივების ზრდა.

1991-1993 წლები – შეიძლება გამოვყოთ გარდამავალ ეტაპად, ანუ ესაა რეფორმამდელი პერიოდი (საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი). 1994-1995

<sup>21</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>22</sup> რობაქიძე რ. „საკრედიტო ფულად-საკრედიტო ბანკის განვითარება საქართველოში“. ქუთაისი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003 წ. გვ. 58.

წლები – ახალი ეტაპი, რეფორმის პირველი ფაზა. 1996-1998 წლები – განვითარების შემდგომი ეტაპი, რეფორმის მეორე ფაზა.

### **რეფორმამდელი პერიოდი (1991-1993)**

1991 წელს მიღწეული დამოუკიდებლობის მიუხედავად, საქართველო რუსული რუბლის ზონაში 1993 წლის პირველ აპრილამდე რჩებოდა, რასაც რუსეთის მთავრობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტად იყენებდა. დამოუკიდებლობამ და რეფორმებმა გამოიწვია ეკონომიკური სისტემის ნგრევა, რამაც საქართველოს ეკონომიკაზე კატასტროფული გავლენა იქონია.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში საქართველოში საბანკო სისტემა არ არსებობდა. მოშლილი იყო ფულად-საკრედიტო, საბუღალტრო-საანგარიშსწორებო და საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა.

### **რეფორმის პირველი ეტაპი (1994-1995)**

1994 წლიდან საბანკო სისტემა მკვეთრად იცვლება. გარდამავალ პერიოდში საქართველოში არსებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავება, რაშიც აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

1995 წლის 28 ივნისს საქართველომ მიაღწია შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სისტემური ტრანსფორმაციის ტრანშით ეკონომიკური რეფორმის პროგრამის დაფინანსებაზე. ეს დაფინანსება ე.წ. „სტენდ-ბაის“ პროგრამით ხორციელდებოდა.

სავალუტო ფონდის მიერ გამოგზავნილმა მისიამ, საქართველოს მთავრობის მონაწილეობით, სეპ-თან ერთად შეიმუშავა მეთოდოლოგიურ და მეთოდურ ლონისძიებათა კომპლექსი. რეფორმის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო სფეროების გარდაქმნა, პრივატიზების დაჩქარება, ფასების ლიბერალიზაცია და სოციალური რეფორმა.

1994 წლის მეორე ნახევარში შემუშავდა ქვეყნის ეკონომიკური და სტრატეგიული გარდაქმნის კომპლექსური პროგრამა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ინფლაციის გამყარება და ეროვნული ფულის ფულადი ნიშნის სტაბილიზაცია იყო.

- 1994 წელი – ინფლაციის დონემ, როგორც გრაფიკი №2-დან ჩანს, მიაღწია 8500%-ს;

- 1994 წლის ბოლო – კუპონი 74%-ით გამყარდა;
- 1995 წელი – საბანკო სისტემის მთლიანმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 44,2 მილიონი ლარი;
- 1995 წელი – საბანკო სისტემის მთლიანმა აქტივებმა შეადგინა 233 მილიონ ლარი.

1995 წლის დასაწყისში საქართველოში 229 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. სერტიფიცირების პროცესში, რომელიც რეფორმების პროცესში განხორციელდა, გამოავლინა 47 კონკურენტუნარიანი ბანკი. აქედან არც ერთი ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკი არ ყოფილა.

1995 წლის სექტემბერში, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით, მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა – ლარი, რამაც სისტემის განვითარების ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი.

#### **განვითარების შემდგომი ეტაპი, რეფორმის მეორე ფაზა (1996-1998)**

1996 წლიდან საქართველოში იწყება ეკონომიკური რეფორმების ახალი ეტაპი, რომელიც დამკიდრდა ეროვნული ვალუტის შემოღებით, ფინანსური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ინფლაციის დონემ მიაღწია 13,5%-ს. კომერციული ბანკები აქტიურად ჩაერთნენ ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონში, რომელიც ამჟამადა 1996 წელს.

1996-1997 წლებში ამ პოლიტიკის წყალობით საქართველოში დადგითი შედეგი გამოიკვეთა, რაც გამოიხატა ეკონომიკური აქტიურობის ზრდით, კერძოდ:

- მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა მიაღწია 10%-ს;
- 1996 წელი – საგადასახადო შემოსავლებმა მთლიან შიდა პროდუქტან მიმართებით 10,6% შეადგინა;
- 1996 წელი – ეროვნული ეკონომიკაში წარმოებული პროდუქტისა და გაწეული მომსახურების საერთო მოცულობამ 8 მილიარდამდე ლარი შეადგინა და 12%-ით გაუსწრო წინა წლის მაჩვენებელს.

საბანკო კანონმდებლობის დახვეწამ, ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალურმა სრულყოფამ და მისი საზედამხედველო ფუნქციების გააქტიურებამ ხელი შეუწყო საბანკო სექტორის სტაბილურ განვითარებას<sup>23</sup>.

<sup>23</sup> იქნა, გვ. 134-142.

## 1.2. ფინანსური სისტემის ფუნქციები და მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის

ფინანსური სისტემა თავის თავში მოიცავს ბაზრებს, შუამავლებს, ფინანსური მომსახურების მიმწოდებელ ფირმებს, სხვა ინსტიტუტებს, რომელთა დახმარებითაც საოჯახო მეურნეობები, კერძო კომპანიები და სამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ მიღებულ ფინანსურ გადაწყვეტილებებს<sup>24</sup>. თანამედროვე ფინანსური სისტემის მთავარი მახასიათებელი არის გლობალურობა. ფინანსური ბაზრები და შუამავლები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოვლისმომცველი საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო ქსელით, რომლის დახმარებითაც ფინანსური ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია დროის რეალურ რეჟიმში<sup>25</sup>. საქართველოს ფინანსური სისტემა ცხადია ჩართულია ამ სისტემაში, მაგრამ მისი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ აქ, ისე როგორც გარადამავლი ეკონომიკის სხვა ქვეყნებში, ფინანსური ბაზრები ჩამოყალიბების პროცესშია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური სისტემის ორი ძირითადი ტიპის აღსანიშნავად გამოიყენება განსხვავებული ტერმინები: „ბანკებზე დაფუძნებული ფინანსური სისტემა“ და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დაფუძნებული ფინანსური სისტემა“.

საქართველოს ფინანსური სისტემა, ცხადია, წარმოადგენს ბანკებზე და სხვა საფინანსო შუამავლებზე დაფუძნებულ ფინანსურ სისტემას.

ფინანსური სისტემის როლი ეკონომიკურ განვითარებაში განსაზღვრულია იმ ფუნქციებით, რომელსაც ის ასრულებს ეკონომიკაში. ფინანსური სისტემის ფუნქციებიდან განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ ისეთი ფუნქციები როგორიცაა:

1. ინფორმაციული (ინფორმაციის მიწოდება შესაძლო ინვესტიციებისა და კაპიტალის განაწილების შესახებ);
2. კონტროლი და მონიტორინგი (დაფინანსების შემდეგ, ინვესტიციებსა და მენეჯერებზე კონტროლის განხორციელება);
3. რისკების მართვა (რისკების შემცირება, დივერსიფიკაცია და რისკების მართვა);

<sup>24</sup> Бодиб, Зви, Мертон, Роберт. Финансы.: Пер. с англ. –М.:Издательский дом Вильямс, 2004. გვ.62.

<sup>25</sup> ი. იქვე

4. დანაზოგების აკუმულაცია (ეკონომიკურ სუბიექტთა დანაზოგების მობილიზება);
5. დაბრკოლების შემცირება ბრუნვაში (საქონლისა და მომსახურების გაცვლის გაიოლება)<sup>26</sup>.

ყველა ფინანსური სისტემა და მათ შორის, საქართველოს ფინანსური სისტემაც, ასრულებს ამ ფუნქციებს, განსხვავება არის, ამ ფინანსურ სისტემაში შემავალი ცალკეული ინსტიტუტების განვითარების დონეებში

საქართველოში დღეს ფუნქციონირებს ფინანსური სისტემა, რომელიც წარმოდგენილია როგორც ფასიანი ქაღალდების, ისე საბანკო სესხების ბაზრის სახით. თუმცა, ფინანსური ბაზარი, რომლის მთავარი მონაწილეები არიან კომერციული ბანკები, უფრო განვითარებულია, ვიდრე არასაბანკო ფინანსური ბაზარი.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრები თამშობენ პოზიტიურ როლს ეკონომიკურ ზრდაში. ვინაიდან საფინანსო ბაზრები უზრუნველყოფენ ახალი ტექნოლოგიების შესახებ უფრო სრული ინფორმაციის შეგროვებას და ასახავენ მათ საბაზრო ფასებში. აქციათა ბაზარი, ასევე, აუმჯობესებს კორპორატიულ კონტროლს, შთანთქმის მექანიზმების და კომპანიის საქმიანობის შედეგების მიხედვით მენეჯერების სტიმულირების გზით. „საბაზრო“ სისტემა კონკურენციის გაძლიერებით, ქმნის მეტ სტიმულებს ეკონომიკური განვითარებისათვის. გარდა ამისა, კორპორატიული კონტროლის სფეროში კონკურენციის გაძლიერებით, ინვესტიციების დაფინანსების ალტერნატიული საშუალებების შეთავაზებით ფასიანი ქაღალდების ბაზრებს შეუძლიათ შეზღუდონ ბანკების გადაჭარბებული ძალაუფლება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში წარმოდგენილია „საქართველოს საფონდო ბირჟის სახით“ /სსბ/, რომელიც დაფუძნდა 1999 წლის 8 იანვარს, მოწინავე ქართული ბანკების, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების ინიციატივით.

1999 წლის 18 ოქტომბერს, ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – ბირჟაზე დადებული გარიგებების სწრაფი, ეფექტიანი და საიმედო კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის, დამფუძნებელიყო ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტდა ამ პრობლემას. შედეგად, საქართველოს

<sup>26</sup> Levin R. Finance and Growth: Theory and Evidence// working Paper 10766. September 2004. National Bureau of economic research p.9.

საფონდო ბირჟაზე 100%-იანი მფლობელობით დააფუძნა „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“.

2000 წლის 14 იანვარს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ სსბ-ზე გაიცა საფონდო ლიცენზია №90001. იმავე წელს, კომისიის მიერ, საქართველოს საფონდო ბირჟა აღიარებულ იქნა თვითრეგულირებად ორგანიზაციად. 2000 წლის 1 მარტს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეროვნული კომისიის მიერ, „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცენტრალურ დეპოზიტარზე“ გაიცა ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია და აღიარებულ იქნა თვითრეგულირებად ორგანიზაციად. 2000 წლის 23 მარტიდან დღემდე ბირჟაზე მიმდინარეობს რეგულარული ვაჭრობა, 23 მარტს ჩატარდა პირველი ვაჭრობა „გაერთიანებული ქართული ბანკის აქციებზე“<sup>27</sup>.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მოქმედების პრინციპებისა და ფუნქციონირების განსაზღვრა. ფინანსური ბაზრის განვითარების საქმეში წარმატების მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა და ბაზრის თვითრეგულირების პრინციპების აღიარება-განხორციელება, კერძოდ:

- პირველი – სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- მეორე – ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო უზრუნველყოფის პროცესის დაჩქარება;
- მესამე – ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება;
- მეოთხე – ფასიანი ქაღალდების მასის ზრდა სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვებითა და პრივატიზაციის პროცესის განხორციელებით;
- მეხუთე – საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების ხელშეწყობისათვის ღონისძიებების შემუშავება<sup>28</sup>.

<sup>27</sup> საქართველოს საბონდო ბირჟა. [http://www.gse.ge/Fixing\\_G/Fixing.htm](http://www.gse.ge/Fixing_G/Fixing.htm)

<sup>28</sup> კოგანაძე ი. „საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2001 წ. გვ. 48.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების პირველი ოპერაციები ჩატარდა სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟაზე.“

**ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე განხორციელდა:**

- 1992 წელი – 50 გაჭრობა, სულ 521 გარიგება, ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან – 124 გარიგება;
- 1993 წელი – ფასიანი ქაღალდების გარიგებათა რიცხვმა „კავკასიის ბირჟაზე“ მიაღწია 155-ს. სულ გაიყიდა 970 აქცია და მათგან 814 „კავკასიის ბირჟის“ იქო.<sup>29</sup>

1994 წლის სექტემბრიდან 1996 წლის სექტემბრამდე ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველო ასრულებდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებისა და კონტროლის სახელმწიფო ორგანოს ფუნქციას. იგი 1996 წლის ოქტომბერში გარდაიქმნა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექციად. საფონდო ბირჟის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას დიდი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში<sup>30</sup>.

**რაც შეეხება მეორად ბაზარს, ის თავიდან ფუნქციონირებდა, როგორც:**

- ინვესტორებს შორის არასაბირჟო გარიგების სახით;
- შემდგომში ეროვნული ბანკის მიერ ინვესტორთათვის შეთავაზებულ იქნა სახაზინო ვალდებულებებით რეპო და ლომბარდული ოპერაციები;
- თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟასთან ერთად შემუშავდა ნორმატიული ბაზა, რომლის მიზანი იყო მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება.

**მეორადი ბაზრის აქტივობაზე უშუალო გავლენას ახდენდა:**

- ფინანსთა სამინისტროს საემისიო პოლიტიკა;
- ლარის გაცვლითი კურსი;
- სახაზინო ვალდებულებების პირველადი აუქციონი.

<sup>29</sup> ხუციშვილი ვ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საკითხები“. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-

ეკონომიკური პროცესები საქართველოში (ტრდი IV). თბილისი. 2000 წ. გვ. 46, 470, 471.

<sup>30</sup> ბახტამე ლ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში“. „ბანკი“. სამეცნიერო-

ანალიტიკური ჟურნალი №1-2 (15) 2003 წ. გვ. 44.

1998 წელს ეროვნულმა ბანკმა პირველადი აუქციონების რეაბილიტაციისა და საბანკო ინვესტორების მოზიდვის მიზნით განახორციელა მრავალი ღონისძიება, რომლებიც ეხებოდა მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებში სახაზინო ვალდებულებების ჩათვლის წესს და ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებისას სახაზინო ვალდებულებების 5%-ის ლიკვიდურ აქტივების აღიარებას.<sup>31</sup>

საფონდო ბირჟის როლი პრივატიზაციის განხორციელების პროცესში 2002 წლამდე მთლიანად იგნორირებული იყო. პრივატიზება ხორციელდებოდა კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

ფინანსური ბაზრების განვითარებისათვის უმჯობესი იყო პრივატიზებას დაქვემდებარებული ქონების უშუალო გაყიდვას საფონდო ბირჟასა და საჯარო აუქციონზე.

2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 1773 სააქციო საზოგადოება შეიქმნა, რაც იმ პერიოდში ქვეყანაში რეგისტრირებული პერძო სამართლის იურიდიული პირების საერთო რაოდენობის 2%-ს შეადგენდა. აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ დაბალია სააქციო კაპიტალის როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში და მცირეა აქციების ემისიის ხარჯები მოზიდული ინვესტიციების ოდენობაც. ეს შედეგები გამოწვეულია იმით, რომ სააქციო საზოგადოების მხრიდან მათი უმრავლესობა ახდენდა აქციების ემისიას პრივატიზაციის სტრატეგიის განხორციელების შედეგად და არა წარმოების განვითარებისთვის.<sup>32</sup>

გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში, განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იან წლებში, უკვე შესამჩნევი იყო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების აქტიური შემოსვლა, რაც საქართველოს ეკონომიკისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა. ბუნებრივია, იბადება კითხვა – რა როლს თამაშობს უცხოური ინვესტიციები ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემისთვის? ანდა, მზად იყო თუ არა ქართული საბანკო სისტემა ამგვარი ინტეგრაციისთვის? უნდა ითქვას, რომ საქართველოს საბანკო სისტემა და მისი განვითარების დონე მზად არ იყო ამგვარი კონკურენციისთვის და ძალიან ჩამორჩებოდა ევროპული ბანკების დონეს. აღნიშნული განპირობებული იყო საქართველოში მეორადი ბაზრის განუვითარებლობით. ქართული კომპანიები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უკანასკნელ პერიოდამდეც არ წარმოადგენდა


<sup>31</sup> გულეგანი ქ. „სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის განვითარებისათვის“. „ბანკი“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი 3 (16) 2003 წ. გვ. 53.

<sup>32</sup> ბახტამე ლ. „გასიანი ქადალდების ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში“. „ბანკი“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი 1-2 (15) 2003 წ. გვ. 45.

კლასიკური ტიპის დია კორპორაციებს, ვინაიდან, მეორად ბაზარზე მათი აქციებით ვაჭრობა ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს. მაშინ, როდესაც ფასიანი ქაღალდები ხელს უწყობს თავისუფალი სახსრების ეფექტურ გამოყენებას ეკონომიკაში, ხოლო ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი საწარმოთა მართვისთვის.

**გრაფიკ №1-ში** მოცემულია სახაზინო ვალდებულებების ემისიებისა და გარიგებათა საერთო მოცულობების შვიდი წლის (1997-2003წწ.) მონაცემები (2003 წლის მონაცემი წარმოდგენილია პირველი კვარტალის მდგომარეობით).

**გრაფიკ №1**



**წარმოდგენილი მოცემები:** გარიგებათა სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის განვითარებისათვის. „ბანკი“ სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი 3 (16) 2003წ. გვ. 54.

გასული წლების ემისიათა საერთო მოცულობის და სახაზინო ვალდებულებების მეორად ბაზარზე დაფიქსირებული გარიგებების საერთო მოცულობის შედარებით, რომელიც მოცემულია გრაფიკ №1-ში, ნათლად ჩანს, რომ ემისიათა საერთო მოცულობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მეორადი ბაზრის დინამიკაზე.

**ცხრილ №1-ში** მოცემულია 2003 წლის პირველი მაისის მდგომარეობით მეორად ბაზარზე დაფიქსირებულ გარიგებათა სტრუქტურის მონაცემები.

### ცხრილი №1

მეორად ბაზარზე დაფიქსირებულ გარიგებათა სტრუქტურა (2003 წლის მაისის მდგომარეობით)		
დაფარვამდე დღეების რაოდენობა	გარიგებების მოცულობა	ხვედრითი წილი მთლიან გარიგებებში
1-29	1 741 600	17%
30-59	191 200	2%
60-59	3 159 700	30%
90-140	5 368 700	51%


**შეართ:** გულვადან კ. „სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის განვითარებისათვის“. „ბანკი“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი 3 (16) 2003წ. გვ. 54

2003 წლის პირველი მაისის მდგომარეობით, შედგა 103 გარიგება სახაზინო ვალდებულებების მეორად ბაზარზე, რომელთა საერთო მოცულობამ შეადგინა 10,4 მლნ ლარი.

აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 81% მოდის 60 დღისა და მეტი დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვადიანობის ზრდა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მეორადი ბაზრის განვითარებას. ხოლო დანარჩენი პროცენტები ასე გადანაწილდა: 17% მოდის 30 დღემდე დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებებზე, რომელსაც, ძირითადად, ყიდულობებს ის ინვესტორები, რომლებსაც რისკის გაწევა არ სურთ და თანახმა არიან, დაბალი შემოსავლიანობით შეიძინონ მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდი, ხოლო 2% მოდის 60 დღემდე დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებებზე.

გრაფიკ №2-ში მოცემულია ლარის გაცვლითი კურსის გავლენა სახაზინო ვალდებულებების მეორად ბაზარზე.

## გრაფიკი №2



**წყარო:** გულედანი ქ. „სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის განვითარებისათვის“. „ბანკი“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი 3 (16) 2003წ. გვ. 54.

გრაფიკი №2 გვიჩვენებს, რომ, 1999 წლიდან 2003 წლის პირველი კვარტალის ჩათვლით, ლარის კურსი სტაბილურია და ვიწრო დიაპაზონში მერყეობს, რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების ბაზარს, აქ საპროცენტო განაკვეთების რყევები შედარებით მკვეთრია.

აღსანიშნავია ის, რომ ლარის გაცვლითი კურსის მცირე მერყეობა მასტიმულირებელ გავლენას ახდენს მეორადი ბაზრის აქტივობაზე. ლარის გაუფასურების შემთხვევაში ინგესტორთა ნაწილი ცდილობს, გაყიდოს სახაზინო ვალდებულებები და, შესაბამისად, მატულობს გარიგებების მოცულობა მეორად ბაზარზე.<sup>33</sup>

<sup>33</sup> გულედანი ქ. „სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის განვითარებისათვის“. „ბანკი“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი 3 (16) 2003წ. გვ. 55.

## საქართველოს საფონდო ბირჟა ბოლო წლებში

2001-2002 წლები საქართველოს საფონდო ბირჟის (სსბ) ამოქმედების წლებია, ამ წლებში სავაჭრო სისტემაში დაშვებულ იქნა 282 საწარმოს ფასიანი ქაღალდები, რომლებზეც 2192 გარიგება დაიდო, ჯამურმა თანხამ 18 969 570 ლარი შეადგინა. საშუალო დღიური ბრუნვა 104 228 ლარი იყო.

2002 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალიზაციამ შეადგინა 218 402 008 ლარი, რაზეც დადგებითი გავლენა იქნია „ეი-ი-ეს“ თელასისა და „საქართველოს ბანკის“ აქციებზე დადგებულმა გარიგებებმა. ბირჟაზე რეგისტრირებული 35 საბროკერო კომპანიიდან სავაჭრო სისტემაში დაშვებულ იქნა 14 კომპანია, იმავე წელს საქართველოს საფონდო ბირჟის (სსბ) სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 282 ემიტენტის ფასიანი ქაღალდები, მათშორის 17 ემიტენტის აქციებზე ვაჭრობა დროებით შეჩერდა. 2002 წლის განმავლობაში ლისტინგი გაიარა მხოლოდ სს „საქართველოს ბანკის“ აქციებმა.

2004 წელი საქართველოს საფონდო ბირჟის (სსბ) ისტორიაში მიჩნეულია გარდატეხის წლად, რადგანაც მისი ფინანსური მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაყიდული აქციების მოცულობამ 30 510 783 ცალი შეადგინა; ჯამურმა დირებულებამ კი – 46 676 135 ლარი; ეს წარმატება განაპირობა თესალონიკის საბირჟო ცენტრსა და საქართველოს საფონდო ბირჟას (სსბ) შორის ურთიერთთანამშრომლობამ და საპრივატიზებო აუქციონების ჩატარებამ. საქართველოს სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ბირჟაზე დაშვებამ. წლის ბოლოსათვის 16 საბროკერო კომპანია იყო ლიცენზირებული, რომელშიც გაერთიანებული იყო 37 ლიცენზირებული ბროკერი. უცხოური კომპანიების მიერ დაფუძნებული იყო 2 საბროკერო კომპანია. ლიდერს წარმოადგენს „გალტ ენდ თეგგარტ სექიურიტი“ 42,8%-იანი წილით. სესიებზე დაშვებული იყო 277 კორპორაციის ფასიანი ქაღალდი. ლისტინგში დაშვებული იყო მხოლოდ „საქართველოს ბანკის“ აქციები. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მისი საინვესტიციო რეიტინგის ზრდა, რაც 2006 წელს ლოგიკურად დაგვირგვინდა ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში მოხვედრით.

2005 წელს ბირჟაზე დადგებული გარიგებების რაოდენობამ შეადგინა 1358, აქედან, ჯამურმა მოცულობამ 32 385 მლნ აქცია. ხოლო, ჯამურმა ლირებულებამ 62,3 მლნ ლარი. სულ ჩატარდა 99 სავაჭრო სესია, დღიურმა ბრუნვამ შეადგინა 629 921 ლარი. გარიგებები დაიდო 71 ემიტენტის აქციებზე და ორი ემიტენტის ობლიგაციებზე, რაც შეადგენს სისტემაში გასაყიდად გამოტანილი ფასიანი

ქალალდების 89%-ს, ხოლო განაცხადი შეტანილი იყო 81 ფასიან ქალალდზე. ვაჭრობაში რეგულარულად მონაწილეობდა 11 საბროკერო კომპანია, მათ შორის ყველაზე მეტი გარიგება შეასრულა „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფმა“, ფასიანი ქალალდების ბრუნვის მიხედვით ლიდერობდა „ქართული საფონდო კომპანია“, ხოლო ფულადი სახსრების ბრუნვის მიხედვით „გალტ ენდ თეგბარტ სექიურიტი“.

2006 წელს საანგარიშო პერიოდში საქართველოს საფონდო ბირჟაზე 111 სავაჭრო სესია ჩატარდა, დაიდო 5 553 გარიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 169,4 მლნ ლარი შეადგინა. გარიგებაში 91 ემიტენტის აქციები მონაწილეობდა. ბირჟაზე აქციების ბრუნვის ძირითადი ნაწილი 73% მოდიოდა სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე“, ფულადი ბრუნვის მიხედვით ლიდერობდა 2 კომპანია „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“ - 57% და სს „საქართველოს ბანკი“ 31,7%.

2007 წელს დაფიქსირდა 134 სავაჭრო სესია და 80 ფიქსინგი. გარიგებათა რაოდენობამ 7 313 შეადგინა, მათ შორის სავაჭრო სესიაზე დაიდო 6 908 გარიგება. გარიგებების ჯამურმა ღირებულებამ 97 მლნ ლარი შეადგინა, მათ შორის ფიქსინგი 58,7 მლნ ლარი. 2007 წელს სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 161 ემიტენტის ფასიანი ქალალდი. სესიების დროს დადებული გარიგებების მთლიანი ღირებულების 89% გადანაწილდა სამ კომპანიაზე: სს „საქართველოს ბანკის“, სს „თელიანი ველის“ და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციებზე.

2008 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე 256.6 მილიონი ლარის ღირებულების გარიგება განხორციელდა, საიდანაც 246 მლნ ლარი ფიქსინგის საშუალებით დადებულ გარიგებებზე მოდის. საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიების დროს დადებული გარიგებების მთლიანი ღირებულების 93% შემდეგი სამი კომპანიის აქციებზე მოდის: სს „საქართველოს ბანკი“, სს „თელიანი ველი“ და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

2009 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე მონაწილე ემიტენტთა რაოდენობამ 64, ხოლო გარიგებების საერთო რაოდენობამ 1 887 შეადგინა. აღნიშნულ გარიგებათა მთლიანი ღირებულება 98,4 მლნ ლარს აღწევდა. დადებული გარიგებების მთლიანი ღირებულების 84% სამ სუბიექტზე მოდიოდა: სს „საქართველოს სახალხო ბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ და სს „ბაგრატიონი 1882“. საფონდო ბირჟაზე ფიქსინგის მეშვეობით განხორციელებული გარიგებების წილი კვლავაც დიდია – თითქმის 97%. 2009 წელს ბირჟაზე დაშვებულ ფასიან

ქაღალდების საბაზრო კაპიტალიზაცია 1 235,56 მლნ ლარს შეადგენდა, რაც მშპ-ს 6.75% იყო.

2010 წელს დღიური სავაჭრო ბრუნვა 16.6 ათასი ლარია, ხოლო ფასიანი ქაღალდების სრული საბაზრო კაპიტალიზაცია 1.9 მლრდ ლარს უტოლდება. აღსანიშნავია, კომერციული ბანკების ფართო მონაწილეობა ვაჭრობაში, კერძოდ გარიგებათა მთლიანი ღირებულების 92.6% სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“, სს „საქართველოს ბანკის“ და სს „ლიბერთი ბანკზე“ მოდის. კვლავაც მაღალია ფიქსინგის წილი, თითქმის 95%. ფასიანი ქაღალდების საბაზრო კაპიტალიზაციის ფარდობა მშპ-თან 9.2% შეადგინა.

2011 წლისათვის სავაჭრო ბრუნვამ დღიურად, საშუალოდ 128 ათასი ლარი შეადგინა. ფასიანი ქაღალდების სრული საბაზრო კაპიტალიზაცია 1.3 მლრდ ლარი იყო. კვლავინდებურად მაღალი იყო ფიქსინგი 87%. ფასიანი ქაღალდების საბაზრო კაპიტალიზაციის ფარდობამ მშპ-თან 5.5% შეადგინა<sup>34</sup>.

ცხრილი №2 გვიჩვენებს საქართველოს საფონდო ბაზრის 2011 წლის კვლევის შედეგებს.

## ცხრილი №2

საქართველოს საფონდო ბაზარზე 2011 წლის ვაჭრობის შედეგები			
	გარიგებათა რაოდენობა საქართველოს საფონდო ბაზარზე	გასხვისებული აქციების რაოდენობა	თანხობრივი ბრუნვა
საფონდო ბირჟის სავაჭრო დარბაზში	860	12 077 996	2 503 705
საფონდო ბირჟის გარეთ	421	90 352 271	16 840 554
<b>ჯამში</b>	<b>1281</b>	<b>102 430 267</b>	<b>19 344 259</b>

ექსპერტ დ. ასლანიშვილის შეფასებით, ყველაზე მიმზიდველი ობიექტების აქციების გასხვისება ბირჟის გარეთ ხდება, ხოლო დახურული გარიგების დროს აქციების ფასი გაცილებით მაღალია. სტატისტიკური კვლევაც ადასტურებს, რომ გარესაბირჟო გარიგების რაოდენობა უფრო მეტია, ხოლო ფულადი ბრუნვა უფრო – ჭარბი<sup>35</sup>.

<sup>34</sup> საქართველოს საბონდო ბირჟა. [http://www.gse.ge/Fixing\\_G/Fixing.htm](http://www.gse.ge/Fixing_G/Fixing.htm)

<sup>35</sup> ნატროშვილი ნ. netgazeti.ge „საქართველოს საფონდო ბაზარი კერ ვითარდება“ <http://netgazeti.ge/GE/88/business/7731.htm>

2012 წლის განმავლობაში დამტკიცდა 2 საწარმოს ემისიის პროსპექტი. სს „თელასმა“ გამოუშვა 31 281 532 ცალი ჩვეულებრივი აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით, ხოლო სს „ლიბერთი ბანკა“ 10 000 000 ცალი პრივილეგირებული აქცია 0.01 ლარის ნომინალური ღირებულებით. სს „ლიბერთი ბანკის“ აქციების შეთავაზების დასრულება 2013 წლის ივნისში იგეგმება. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობას ეწეოდა 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია და 2 რეგისტრატორი. საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების გარიგებათა საერთო ოდენობამ 735.6 მლნ ლარი შეადგინა (59 მლნ ცალი). აქედან, ბირჟის საგაჭრო სესიაზე დაიდო 8.8 მლნ ლარის გარიგება, ხოლო ბირჟის გარეთ 726.7 მლნ ლარის გარიგება.

2011 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ფასიანი ქაღალდებით დადგებულ გარიგებათა ღირებულება 38-ჯერ გაიზარდა, ხოლო მოცულობა 1.73-ჯერ შემცირდა. ადსანიშნავია, რომ ბირჟაზე განხორციელებული გარიგებების ოდენობა შეადგენდა 339-ს, ხოლო არასაბირჟო გარიგებებისა 538-ს, რაც მეტყველებს ბაზრის მონაწილეების მხრიდან არასაბირჟო გარიგებებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე.

2012 წელს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში დეონირებული იყო 17.4 მლნ ფასიანი ქაღალდი და 22.6 მლნ ლარის ფულადი სახსრები.

2012 წელს საქართველოში პირველად გამოვიდა 10-წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდები. მანამდე არსებობდა 1-წლიანი, 2-წლიანი და 5-წლიანი ფასიანი ქაღალდები.

სულ გამოშვებულია 10 მლნ ლარის 10-წლიანი ფასიანი ქაღალდი, რომლის საპროცენტო განაკვეთი 12-%ზე დაფიქსირდა.

2012 წლის 7 მარტის მდგომარეობით, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 5 000 000 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების 10-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა.

ექსმა კომერციულმა ბანკმა მიიღო მონაწილეობა აუქციონში, რომლის მოთხოვნამ 13 700 000 ლარი შეადგინა. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ისინი ასე გამოიყურება:

- მინიმალური საპროცენტო განაკვეთი – 12,2%;
- მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი – 12,41%;
- საშუალო შეწონილი – 12,305%;

- კუპონური განაკვეთი – 12,3%.

კუპონის გადახდა წელიწადში ორჯერ ხორციელდება, ყოველ მქონე თვეში ერთხელ.<sup>36</sup>

2007 წლის ივლისში ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ლიკვიდაციის შემდეგ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კომპეტენციაში გადავიდა. დაიწყო რადიკალური ცვლილებები როგორც საკანონმდებლო ბაზის შეცვლის და მის თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოების კუთხით, ასევე რეგულირების პრინციპების მოდერნიზაციის თვალსაზრისით. საფონდო ბაზრის რეგულირებაში განხორციელებულ რეფორმებამდე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დასაშვები იყო მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით და მხოლოდ საფონდო ბირჟაზე. ცვლილებების განხორციელების შემდეგ ინვესტორს მიეცა შესაძლებლობა, თავისი ნებისა და შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა, დასჭირდებოდა თუ არა მას კვალიფიციური საბროკერო კომპანია შუამავლის სახით და რამდენად სურდა გარიგების საფონდო ბირჟაზე დადება. ამავე დროს, რაიმე შესაძლო უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრა ე.წ. „ფიქსინგის“ ვალდებულებაა, რაც უზრუნველყოფდა ბირჟის სავაჭრო სისტემაში განთავსებული საჯარო ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგებების თაობაზე ინფორმაციის სისტემატიზაციას და „ორმაგი გარიგებების“ მცდელობის თავიდან აცილებას. ცვლილებებამდე დასაშვები იყო მხოლოდ ერთი საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის არსებობა. კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა კი შესაძლებელი გახადა ყველა დაინტერესებული მხარე გამხდარიყო ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების ლიცენზიის მაძიებელი და დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში განეხორციელებინა შესაბამისი საქმიანობა. 2009 წლიდან სებ-ი აქტიურად თანამშრომლობს ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციასთან (ANNA). ადრე მოქმედი წესი ახლადემიტირებულ ფასიან ქაღალდებს მხოლოდ ეროვნულ საიდენტიფიკაციო ნომერს ანიჭებდა. საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები ეროვნული ნომრით ვერ განთავსდებოდა სხვა ქვეყნების ბირჟებზე სავაჭროდ და ემიტენტები, იმულებულნი ხდებოდნენ საქართველოში ემისიის პროსპექტის დამტკიცების შემდეგ მიემართათ უცხოეთში მყოფი ასოციაციის

<sup>36</sup> „24 საათი“. „პირველი ათწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდები“ <http://24saati.ge/index.php/category/news/2012-03-09/26329.html>

წარმომადგენლებისათვის საერთაშორისო ნომრის მისაღებად. 2011 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ფასიანი ქაღალდებისთვის ნომრის მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანო, გახდა ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციის პარტნიორი. პარტნიორობის თაობაზე გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, ეროვნულ ბანკს მიენიჭა საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრების გაცემის უფლებამოსილება. ამავე ორგანიზაციის დახმარებით შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ნომრების მინიჭება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისთვისაც. შემოღებული იქნა ფასიანი ქაღალდების მაიდენტიფიცირებელი ახალი ნომერი CFI, რომელიც უფრო დეტალურად აღწერს ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის მახასიათებლებს და თვისებებს. დღეისათვის ეროვნულ ბანკს აქვს წვდომა ორგანიზაციის საინფორმაციო ბაზასთან, რომლის მეშვეობითაც პერიოდულად ხდება იმ ინფორმაციის განახლება, რომელიც უკავშირდება ქართული ფასიანი ქაღალდების ნომრების მინიჭებას, ცვლილებას და გაუქმებას.

**ფინანსური მომსახურების ინდუსტრია საქართველოში მოიცავს კომპანიების ფართო სპექტრს:**

- კომერციული ბანკები;
- სადაზღვევო კომპანიები;
- საპენსიო ფონდები;
- საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- საფონდო ბირჟა;
- საბროკერო და სადილერო კომპანიები;
- რეგისტრატორები და დეპოზიტორები.

ცხრილი №3 ნომერი №3 გვიჩვენებს საქართველოში მოქმედი ძირითადი ფინანსური ინსტიტუტების (კომერციული ბანკები, მისოები, საფონდო ბირჟები, სადაზღვევო ინსტიტუტები და საპენსიო ფონდები) რაოდენობას წლების მიხედვით (1995-2012 წლებში; 2012 წელი წარმოდგენილია პირველი კვარტალის მდგომარეობით).

### ცხრილი №3

ფინანსური ინსტიტუტების რაოდენობა წლების მიხედვით (1995-2012 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით)					
პერიოდის ბოლოსათვის					
	კომერციული ბანკები, ერთეული	მისოები, ერთეული	საფონდო ბირჟები, ერთეული	სადაზღვევო კომპანიები, ერთეული	საპენსიო ფონდები, ერთეული
1995	102	x	x	x	1
1996	61	x	x	x	1
1997	53	x	x	25	1
1998	45	x	x	16	1
1999	39	2	1	18	1
2000	32	2	1	16	1
2001	28	2	1	21	2
2002	26	2	1	24	3
2003	24	2	1	22	3
2004	21	2	1	14	3
2005	19	2	1	16	3
2006	17	3	1	14	3
2007	18	15	1	15	3
იანვარი	17	4	1	14	3
თებერვალი	18	5	1	14	3
მარტი	18	7	1	14	3
აპრილი	18	8	1	15	3
მაისი	18	8	1	12	3
ივნისი	18	8	1	11	3
ივლისი	18	8	1	11	3
აგვისტო	18	8	1	12	3
სექტემბერი	18	9	1	13	3
ოქტომბერი	18	9	1	13	3
ნოემბერი	18	10	1	15	3
დეკემბერი	18	15	1	15	4
2008					
იანვარი	22	17	1	15	3

თებერვალი	22	18	1	15	3
მარტი	22	18	1	14	3
აპრილი	22	19	1	13	3
მაისი	22	19	1	13	3
ივნისი	20	21	1	13	3
ივლისი	21	21	1	13	6
აგვისტო	21	22	1	13	6
სექტემბერი	21	23	1	13	6
ოქტომბერი	20	27	1	13	6
ნოემბერი	20	27	1	13	6
დეკემბერი	20	27	1	13	7
2009					
იანვარი	20	27	1	13	7
თებერვალი	20	28	1	13	7
მარტი	20	30	1	13	7
აპრილი	20	30	1	13	7
მაისი	20	31	1	13	7
ივნისი	20	32	1	13	7
ივლისი	20	33	1	14	7
აგვისტო	19	34	1	14	7
სექტემბერი	19	35	1	13	7
ოქტომბერი	19	35	1	13	7
ნოემბერი	19	37	1	14	7
დეკემბერი	19	38	1	14	6
2010					
იანვარი	19	38	1	14	6
თებერვალი	19	39	1	14	6
მარტი	19	39	1	14	6
აპრილი	19	39	1	16	6
მაისი	19	39	1	16	6
ივნისი	19	39	1	16	6
ივლისი	19	39	1	16	6
აგვისტო	19	40	1	16	6
სექტემბერი	19	40	1	16	6
ოქტომბერი	19	44	1	16	6
ნოემბერი	19	47	1	16	6
დეკემბერი	19	49	1	16	6
2011					
იანვარი	19	50	1	16	6
თებერვალი	19	51	1	17	6

მარტი	19	54	1	17	6
აპრილი	19	54	1	17	6
მაისი	19	54	1	17	6
ივნისი	19	57	1	16	6
ივლისი	19	57	1	16	7
აგვისტო	19	57	1	16	7
სექტემბერი	19	59	1	15	7
ოქტომბერი	19	61	1	15	7
ნოემბერი	19	61	1	15	7
დეკემბერი	19	62	1	15	7
2012					
იანვარი	19	61	1	15	7
თებერვალი	19	61	1	15	7
მარტი	19	61	1	15	7

წყარო: საქართველოს ხელისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში მოქმედებს 15 სადაზღვევო ორგანიზაცია. მათი ისტორია იწყება 1990 წლიდან, „ალდაგის“, როგორც საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდთან არსებული სადაზღვევო სამედიცინო ფირმის, დაარსებით.

სადაზღვევო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი განვითარება დაიწყო 2006 წლიდან და გამოიკვეთა დაზღვევის ისეთი სახეობები, როგორიცაა:

- ქონების დაზღვევა;
- სამედიცინო დაზღვევა;
- სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;
- სიცოცხლის დაზღვევა;
- პასუხისმგებლობის დაზღვევა

2006 წლის მდგომარეობით, მოქმედებდა 14 სადაზღვევო ორგანიზაცია, რომლებიც ფლობდნენ სადაზღვევო ბაზრის 70%-ს. 2010 წლის აპრილის მონაცემებით, სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულ იქნა 1 104 785 მლნ ადამიანი.

**დღეისათვის მოქმედი სადაზღვევო კომპანიებია:**

1. სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“;
2. სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International“;
3. სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“;
4. შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ“;

5. შპს საერთაშორისო დაზღვევის კომპანია „ირაო“;
6. შპს სადაზღვევო კომპანიის „ჩარტის ევროპა ს.ა.“ საქართველოს ფილიალი;
7. შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“;
8. შპს სადაზღვევო კომპანია „ტაო“;
9. შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორი“;
10. სს „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“;
11. სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“;
12. შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა“;
13. შპს სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“;
14. შპს „პსპ დაზღვევა“;
15. შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“.

2006 წელს სადაზღვევო კომპანია „ბისიაიმ“ შეიძინა „ალდაგის“ აქციების 100%. 2007 წელს საქართველოს ბანკმა შეიძინა „ალდაგი ბისიაის“ აქციების 100%<sup>37</sup>.

„ჯი პი აი პოლდინგი“ საქართველოში დაარსდა 2001 წელს, როგორც საპენსიო ფონდი. 2006 წლიდან „ჯი პი აი პოლდინგი“ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის, „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ წევრია.<sup>38</sup>

შპს საერთაშორისო დაზღვევის კომპანია „ირაო“ დაარსდა 2004 წელს. 2007 წლიდან კომპანიის ძირითადი აქციონერი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია ვენის სადაზღვევო ჯგუფი Vienna Insurance Group-ია.<sup>39</sup>

შპს სადაზღვევო კომპანიის „ჩარტის ევროპა ს.ა.“ საქართველოს ფილიალი დაარსდა 2005 წელს, როგორც საფრანგეთში რეგისტრირებული და ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის „ჩარტის ევროპა ს.ა.“ ფილიალი.<sup>40</sup>

შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“ დაფუძნდა 2005 წელს. 2009 წლის 5 მაისს „აი სი ჯგუფის“ მიერ შეძენილ იქნა სახალხო დაზღვევის აქციების 100%-იანი წილი. კომპანიის მომხმარებლებს წარმოადგენენ როგორც ფიზიკური პირები, ისე საბანკო-საფინანსო ინსტიტუტები, კომერციული და საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები და სხვ.<sup>41</sup>

<sup>37</sup> „ალდაგი ბისია“ <http://www.aldagibi.ge/index.php?m=60>

<sup>38</sup> „ჯი პი აი პოლდინგი“ <http://www.gpih.ge/gpih/about/history.php>

<sup>39</sup> „ირაო სადაზღვევო ჯგუფი“ <http://www.irao.ge/index.php/about-us/irao-the-member-of-vienna-insurance-group-vig>

<sup>40</sup> CHARTIS [http://www.chartisinsurance.com/home\\_890\\_218846.html](http://www.chartisinsurance.com/home_890_218846.html)

<sup>41</sup> „აი სი ჯგუფი“ დაზღვევა <http://www.icgroup.ge/index.php?a=main&pid=55&lang=geo>

## საპენსიო ფონდების შექმნა საქართველოში

რაც შეეხება საპენსიო ფონდებს, ისინი საქართველოში სადღეისოდ წარმოდგენილია 7 ერთეულით.

**არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლებია:**

1. სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“;
2. სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“;
3. სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International“;
4. შპს საერთაშორისო დაზღვევის კომპანია „ირაო“;
5. შპს „სადაზღვევო კომპანია ტაო“;
6. შპს „სადაზღვევო კომპანია პარტნიორი“;
7. შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა“.

კერძო საპენსიო ფონდების ჩამოყალიბება, ისევე როგორც სადაზღვევო ორგანიზაციებისა და საფონდო ბირჟებისა, ხელს უწყობს ქვეყანაში ფინანსური ბაზრის განვითარებას. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოში საპენსიო ფონდები და საფონდო ბირჟები განუვითარებელია. მათი შემდგომი განვითარებისათვის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იქნება საბანკო სექტორისაგან იაფი კრედიტის მიღება<sup>42</sup>.

---

<sup>42</sup> „ჯი-ფინ-ჯინ“ <http://www.ghn.ge/news-12367.html>

### **1.3. კომერციული ბანკების როლი ფინანსურ ინდუსტრიაში**

საქართველოს ეკონომიკაში, სადაც შეზღუდულად ფუნქციონირებს კაპიტალის ბაზარი, კომერციული ბანკები ძირითადი ფინანსური შეამავლის როლს ასრულებენ.

საქართველოს კანონმდებლობით, საბანკო სისტემა ორიარუსიანია: ცენტრალური ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) და კომერციული ბანკები. კომერციული ბანკები ისტორიულად ჩამოყალიბდნენ, როგორც უნივერსალური ბანკები. შესაბამისად, მათ შეუძლიათ, მოსახლეობას საბანკო მომსახურების ფართო სპექტრი შესთავაზონ.

კომერციული ბანკები მოქმედებენ საქართველოს კანონის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საფუძველზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წელს იქნა მიღებული. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს იმ ოპერაციათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც შეუძლიათ საქართველოს ბანკებს.

კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობები:

- ა)** პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
- ბ)** სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;
- გ)** საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების) ყიდვა-გაყიდვა;
- დ)** ნადდი და უნადდო ანგარიშსწორების ოპერაციებისა და საკასო-საინკასაციო მომსახურება;
- ე)** გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრაქტების ჩათვლით);

- ე1) უპროცენტო საბანკო მომსახურება (1.07.2011. №5002);
- ვ) საშუალების დაგადებით ნდობითი (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- ი1) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;
- ი2) ქონების იჯარით გაცემა;
- ი3) საგადახდო მომსახურება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება<sup>43</sup>.

კანონში შეტანილი ბოლო შესწორებებით გაფართოვდა საბანკო საქმიანობის ნებადართული ჩამონათვალი; კერძოდ, ბანკებს უფლება მიეცათ, განახორციელონ ისეთი საქმიანობა, როგორიცაა ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქცია, ქონების იჯარით გაცემა, საგადახდო მომსახურება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციის შესრულება. ცხადია, ფუნქციების გაფართოება კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს. შექმნან ახალი საბანკო პროდუქტები ან მოიპოვონ დამატებითი შემოსავლის წყაროები. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი შემოსავლები დამატებით რისკებთან იქნება დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება კომერციული ბანკებისათვის ქონების იჯარით გაცემის, უფლების მიცემა, რაც, ფაქტობრივად, ლიზინგია. აღნიშნულმა ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკების ყურადღების გადატანა წმინდა საბანკო პროდუქტებიდან არაპროფილურ ბიზნესებზე, რაც გაზრდის რისკებს. გარდა აღნიშნულისა, ამ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს გადახრები ბანკების ანგარიშგებაში, რაც დაკავშირებული იქნება არარეგულარული მუხლების მნიშვნელობათა გაზრდასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასეთი რისკები გათვალისწინებულ იქნას მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან და შემდგომში

<sup>43</sup> „საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. თავი IV. საოპერაციო მოთხოვნები. მუხლი 20. საბანკო საქმიანობა. თბილისი. 2009 წ. გვ. 17-18.

პრეზენტიული კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით დაიხვეწოს ანგარიშგების ფორმებისა და შიდა კონტროლის მექანიზმები.

ჩვენი კვლევის შემდგომი ეტაპი მოიცავს საქართველოს საფინანსო ბაზარზე მოქმედი ორგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ასევე საკრედიტო კავშირების ფინანსური მაჩვენებლების კონსოლიდირებული მონაცემების გაანალიზებას მათი დაარსების დღიდან დღემდე.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ისტორიას, ის იწყება 2006 წლიდან და, რეალურად, საქართველოს საფინანსო სისტემის ნაწილს წარმოადგენს. მათი მიზანია, ხელი შეუწყოს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში.

პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია დაფუძნდა 2006 წლის ოთხ თებერვალს, სახელწოდებით „ქართული კრედიტი“. მისი მთავარი მისიაა, გაუწიოს კომპლექსური ფინანსური მომსახურება მიკრო- და მცირე მეწარმეებს.

ცხრილი №4 გვიჩვენებს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ფინანსურ მონაცემებს.

#### ცხრილი №4

კომერციული ბანკების მაკრომაჩვენებლები						
	2006	2007	2008	2009	2010	2011
მთ. დეპოზიტი / მოსახლეობასთან	364	413	359	287	733	1 120
მოსახლეობა / ფილიალები	10 714	8 333	6 589	7 109	7 020	6 356
მთ. სესხები / მშპ-თან	19%	26%	29%	25%	27%	30%
მთ. დეპოზიტი / მშპ-თან	12%	11%	8%	7%	16%	21%

წყარო: „ საქართველოს ეროვნული ბანკის“ სტატისტიკური მონაცემები და საკუთარი გათვალები

#### მთლიანი დეპოზიტები / მოსახლეობასთან

2006 წლის მდგომარეობით, ფინანსური მაჩვენებელი მთლიანი დეპოზიტები, შეფარდებული მოსახლეობასთან გვიჩვენებს, რომ მთლიანი დეპოზიტების წილი ერთ სულზე იყო 364 ლარი. 2006 წელთან შედარებით, 2007 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა და მთლიანი დეპოზიტების წილმა შეადგინა 413 ლარი. 2008 წელს იგივე მაჩვენებელი შემცირდა და შეადგინა 359 ლარი. აღნიშნული

ცალსახად უკავშირდება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს, რომლის დროსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იძულებული იყვნენ, გაეზარდათ მათ ხელში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა. აგვისტოს ომის შემდეგ განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც, იმავდროულად, მკვეთრად გამოხატული ლიკვიდობის კრიზისაც წარმოადგენდა, ცხადია, კიდევ უფრო მეტად გაზარდა მოთხოვნა ნაღდ ფულზე. შესაბამისად, 2009 წელს აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა და სულზე 287 ლარი შეადგინა. სრულიად საპირისპიროდ განვითარდა მოვლენები 2010 წელს. 2009 წელთან შედარებით, ერთ სულზე დეპოზიტების მოცულობა, ფაქტობრივად, 2,5-ჯერ გაიზარდა და სულზე 733 ლარი შეადგინა. 2010 წლიდან მოყოლებული, დეპოზიტების ზრდის მაღალი ტემპი 2011 წელსაც შენარჩუნდა და მისმა ოდენობამ მოსახლეობის ერთ სულზე 1 120 ლარი შეადგინა, რაც 1,65-ჯერ აღემატებოდა 2010 წლის დონეს.

### **მოსახლეობა / ფილიალებთან**

ამ მაჩვენებლის მიხედვით კარგად ჩანს, თუ რამდენადაა განვითარებული საბანკო სერვისი. 2006 წლის მდგომარეობით, 10 714 კაცზე მოდიოდა ერთი ფილიალი. 2006 წელთან შედარებით, 2007 წელს აღნიშნული ფინანსური მაჩვენებელი შედარებით გაუმჯობესდა და უკვე 8 333 კაცზე მოდიოდა ერთი ფილიალი, რაც დაკავშირებული იყო ფილიალების რაოდენობის ზრდასთან (120 ერთეულით). 2008 წელს ფილიალების რაოდენობა 143 ერთეულით გაიზარდა, შესაბამისად, უკვე 6 589 კაცზე მოდიოდა ერთი ფილიალი. 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, ფილიალების რაოდენობა 50 ერთეულით შემცირდა, შესაბამისად, უკვე 7 109 კაცზე მოდიოდა ერთი ფილიალი. 2010 წელს ფილიალების რაოდენობა გაიზარდა 8 ერთეულით და ერთ ფილიალზე მოდიოდა 7 020 კაცი. 2011 წელს ფილიალების რაოდენობა გაიზარდა 67 ერთეულით და, შესაბამისად, 6 356 კაცზე მოდიოდა ერთი ფილიალი. ამრიგად, ყველაზე კრიზისული პერიოდი ბანკებისათვის იყო ომის შემდგომი 2009 წელი, როდესაც ბანკების ფილიალების რაოდენობა შემცირდა 50 ერთეულით, თუმცა 2011 წლისთვის საბანკო სექტორის ზრდა სტაბილური გახდა და მან კვლავ პოზიტიური დინამიკა შეიძინა.

## მთლიანი სესხები / მშპ-თან

საკრედიტო საქმიანობა ბანკების უმთავრესი მიმართულებაა და, შესაბამისად, ამ მაჩვენებლის დინამიკა ყველაზე კარგად ასახავს კომერციული ბანკების როლს საბანკო ინდუსტრიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებლის დინამიკაზე დაკვირვება, როგორიცაა მთლიანი სესხების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. 2006 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 19%-ს. 2006 წელთან შედარებით, 2007 წელს აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა და მთლიანი სესხების წილმა მშპ-თან 26% შეადგინა. 2008 წელს მთლიანი სესხების წილმა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 29%-ს მიაღწია. 2009 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა კლება განიცადა და მთლიანი სესხების წილი მშპ-თან მიმართებით გაუტოლდა 25%-ს. 2010 წელს იგი უმნიშვნელოდ გაიზარდა და 27%-ს შეადგენდა, ხოლო წინა წლებთან შედარებით, 2011 წელს აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა და მთლიანი სესხების წილმა მშპ-თან მიმართებით უკვე 30% შეადგინა.

## მთლიანი დეპოზიტები / მშპ-თან

საკრედიტო საქმიანობასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების სადეპოზიტო საქმიანობა, ვინაიდან დეპოზიტები წარმოადგენს რესურსების მთავარ წყაროს, საიდანაც ფორმირდება კომერციული ბანკის აქტივები. 2006 წელს ის 12% იყო, ხოლო 2007 წელს 11% შეადგინა, აღნიშნული განპირობებული იყო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის უფრო მაღალი ტემპით, ვიდრე ეს საკუთრივ დეპოზიტების ზრდა იყო. 2008-2009 წლებში, ზემოაღნიშნული ცნობილი მოვლენების შედეგად, დეპოზიტების მოცულობა მკვეთრად შემცირდა და მთლიანი დეპოზიტების წილი მშპ-თან, შესაბამისად, 8 და 7 პროცენტი იყო. მდგომარეობა სტაბილური გახდა 2010 წელს, როდესაც ამ მაჩვენებელმა 16 პროცენტს მიაღწია. 2011 წელს ამ სექტორში სიტუაცია კიდევ უფრო გაუმჯობესდა და ამ მაჩვენებელმა 21 პროცენტი შეადგინა, თუმცა თვით ეს მაჩვენებელი მაინც დაბალია და, შესაბამისად, ამ სფეროში საკმაოდ მაღალი რეზერვია დარჩენილი.

ცხრილი №5 გვიჩვენებს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გაერთიანებულ ფინანსურ მონაცემებს, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ფინანსურ ინდუსტრიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უკვე მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი და ისინი სულ უფრო მეტ კონკურენციას უწევენ კომერციულ ბანკებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მისოები, ზოგიერთის გამოკლებით, თითქმის ყველა საშუალო საკრედიტო აწარმოებენ, რასაც ბანკები. ამიტომ, ჩვენი აზრით, კვლევის თვალსაზრისით, საკრედიტო ინსტიტუტების როლის განხილვისას საინტერესოა მისოების მონაცემების გათვალისწინებაც.

#### ცხრილი №5

კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გაერთიანებული ფინანსური მაჩვენებლები					
	2007	2008	2009	2010	2011
მთ. დეპოზიტი / მოსახლეობასთან	422	384	314	784	1 190
მოსახლეობა / მთ. ფილიალებთან	8 108	6 338	6 696	6 522	5 844
მთ. სესხები / მშპ-თან	26%	29%	26%	28%	31%
მთ. დეპოზიტი / მშპ-თან	11%	9%	8%	17%	22%

წყარო: „ საქართველოს ეროვნული ბანკის“ სტატისტიკური მონაცემები და საქართველოს გათვალისწინები

ცხრილი №6 წარმოგვიდგენს ცალკე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური მაჩვენებლის კონსოლიდირებულ მონაცემებს და მათი ფილიალების რაოდენობას 2007-2011 წლების მდგომარეობით.

### ცხრილი №6

	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ბალანსის დინამიკა 31.12.2007 – 31.12.2011							
		ნაკდი ფული	ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშები	ფასიანი ქალალდები	მთლიანი საქანები	მინტს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზივუანტი	შენდა საქანები	მიკროსაფინანსო ლრჯვანიზაციების რაოდენობა
31.12.2011	3	11 166 046	39 481 302	47 246	<b>348 667 604</b>	3 019 065	345 648 539	62
31.12.2010	4	5 761 845	44 286 642	18 754	<b>229 530 262</b>	2 338 195	227 192 066	49
მატება 2011 წელს	3-4	5 404 201	-4 805 340	28 492	119 137 342	680 870	118 456 473	
31.12.2009	5	5 460 875	25 811 371	-	<b>130 020 766</b>	1 952 416	128 068 350	39
მატება 2010 წელს	4-5	300 970	18 475 271	18 754	99 509 495	385 779	99 123 716	
31.12.2008	6	4 150 141	6 814 662	719 801	<b>112 686 196</b>	1 482 726	111 203 470	27
მატება 2009 წელს	5-6	1 310 734	18 996 709	-719 801	17 334 570	469 690	16 864 880	
31.12.2007	7	1 535 571	1 970 209	-	<b>54 818 272</b>	343 600	54 474 672	15
მატება 2008 წელს	6-7	2 614 570	4 844 453	719 801	57 867 924	1 139 126	56 728 798	
სხვაობა	2-7	7 861 175	35 102 876	41 383	327 322 405	3 198 441	324 123 965	

წყარო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“ და საქართველოს გაანგარიშებები

2007 წლის მდგომარეობით, საქართველოს საფინანსო ბაზარზე მოქმედებდა 15 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ამ პერიოდის მდგომარეობით, მათი პორტფელის საერთო მოცულობამ (წმინდა სესხები) შეადგინა 54 474 672 მლნ ლარი.

2007 წელთან შედარებით, 2008 წელს აღნიშნული მაჩვენებელი, ფაქტობრივად, გაორმაგდა და შეადგინა 111 203 470 ლარი. იმავე პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობამ 27 ერთეული შეადგინა.

2009 წელს მისოების წმინდა სესხების მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 17 მლნ ლარით და გაუტოლდა 128 068 350 ლარს. იმავე პერიოდში მათი რაოდენობა

მნიშვნელოვნად გაიზარდა და 39 ერთეული შეადგინა. ზრდის ტემპების გარკვეული შენელება დაკავშირებული იყო 2008 წლის აგვისტოს ომთან და შემდეგ განვითარებულ ფინანსურ კრიზისთან.

2010 წლის ბოლოსთვის, 2009 წელთან შედარებით, ფაქტობრივად, გაორმაგდა სასესხო პორტფელი და 227 192 066 ლარი შეადგინა, ასევე გაიზარდა მისოების რაოდენობა 49 ერთეულამდე.

მისოების სასესხო პორტფელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა 2011 წელს (119 მლნ ლარი) და ჯამურმა პორტფელმა 345 648 539 ლარი შეადგინა.

ფინანსურ ინდუსტრიაში გარკვეული ადგილი უჭირავს ასევე ისეთ საშუალებო საკრედიტო ორგანიზაციებს, როგორიცაა საკრედიტო კავშირები. ისინი, თავისი არსით, ბანკის მსგავსი ორგანიზაციებია და აქვთ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია. მათი ისტორია საქართველოში 1995 წლიდან იწყება. ისინი იღებენ ანაბრებს თავისი წევრებისაგან და გასცემენ სესხებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირებს დამფუძნებლად პყავთ მხოლოდ ფიზიკური პირები. განსხვავება კიდევ ისაა, რომ საკრედიტო კავშირების შემთხვევაში მთელი მოგება ნაწილდება მათივე წევრებზე. კავშირების ძირითადი საქმიანობაა წევრების გაერთიანება და მათი ინტერესების დაცვა. მათი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. საკრედიტო კავშირების ძირითადი სეგმენტი, სადაც დაფინანსებას ახორციელებენ, არის აგროსექტორი და ტურიზმი, რომლებიც საქმაოდ რისკიანია, მაგრამ, ამავდროულად, შემოსავლიანი<sup>44</sup>.

<sup>44</sup> ბანკები და ფინანსები „თუ საბანკო სექტორში ანაბარზე წლით 10% სარგებელს ურიცხავენ, ჩვენ წლიურ 17%-ს გარიცხავთ“ <http://www.bfm.ge/banks/print:page,1,2449-sakredito-kavshiri.html> 17 აპრილი. 2011.

ცხრილი №7 წარმოადგენს საქართველოში მოქმედი საკრედიტო კავშირების ფინანსური მაჩვენებლის კონსოლიდირებულ მონაცემებს და მათი ფილიალების რაოდენობას წლების მიხედვით (2003-2011 წლების მდგომარეობით); (2007 წლის მონაცემში მოცემულია მხოლოდ სამი კვარტალის მონაცემი).

### ცხრილი №7

	საკრედიტო კავშირების კონსოლიდირებული ბალანსის დინამიკა 31.12.2003 – 31.12.2011								
	ნაღდი ფული	სახელმწიფო საფალო ფასადი ქალაქები	ფული სასსრები საბანკო ანგარიშები	მითხვები ბანკების და არასაბაზო სახელმწიფო დაწყებულებების მიმღები	კლიენტებისათვის გაცემული სესხები	სესხების შესაბამის რეზერვი	შპონირებული სესხები	საკრედიტო კავშირების რაოდენობა	
31.12.2011	0	334 989	-	108 744	305 589	3 556 466	106 484	3 449 982	18
31.12.2010	1	360 454	-	137 222	47 375	2 138 658	72 845	2 065 813	18
მატება 2011 წელს	0-1	(25 465)	-	(28 478)	258 214	1 417 808	33 639	1 384 169	
31.12.2009	2	222 598	-	8 992	30 353	1 534 747	68 761	1 465 986	18
მატება 2010 წელს	1-2	137 856	-	128 230	17 022	603 911	4 084	599 827	
31.12.2008	3	197 312	-	12 343	19 412	1 374 881	74 265	1 300 616	18
მატება 2009 წელს	2-3	25 286	-	(3 351)	10 941	159 866	(5 504)	165 370	
31.12.2007	4	283 346	-	5 036	84 212	1 122 178	65 095	1 057 083	23
მატება 2008 წელს	3-4	(86 034)	-	7 307	(64 800)	252 703	9 170	243 533	
31.12.2006	5	233 395	3	11 546	24 495	1 628 826	69 438	1 559 388	34
მატება 2007 წელს	4-5	49 951	(3)	(6 510)	59 717	(506 648)	(4 343)	(502 305)	
31.12.2005	6	128 968	-	6 245	43 967	1 623 061	74 266	1 548 795	38
მატება 2006 წელს	5-6	104 427	3	5 302	(19 472)	5 765	(4 828)	10 593	
31.12.2004	7	167 392	25 036	19 335	21 091	1 483 851	90 737	1 393 112	45
მატება 2005 წელს	6-7	(38 424)	(25 036)	(13 091)	22 876	139 210	(16 472)	155 683	

<b>31.12.2003</b>	<b>8</b>	121 892	50	8 782	13 809	1 062 063	111 388	950 224	42
<b>მატება 2004 წელს</b>	<b>7-8</b>	<b>45 500</b>	<b>24 986</b>	<b>10 553</b>	<b>7 282</b>	<b>421 788</b>	<b>(20 651)</b>	<b>442 888</b>	

წყარო: „ საქართველოს ეროვნული ბანკი“ და საქუთარი გაანგარიშებები

2003 წლის მდგომარეობით, საკრედიტო კავშირების ფილიალების რაოდენობა იყო 42 ერთეული. რაც შეეხება, ფინანსურ მაჩვენებელს, წმინდა სესხების კუთხით შეადგენდა 950 224 ლარს.

2004 წლის შესაბამისი მაჩვენებელი საკრედიტო კავშირებისთვის იყო შედარებით უკეთესი, რაც აისახა მათი წმინდა სესხების ზრდით (442 888 ათასი ლარი) და, შესაბამისად, საერთო პორტფელის მოცულობამ ამ პერიოდისთვის შეადგინა 1 393 112 მლნ ლარი. ფილიალების რაოდენობა იყო 45 ერთეული.

2005 წლის მდგომარეობით, წმინდა სესხების მოცულობამ შეადგინა 1 548 795 ლარი, რაც გამოიწვია ამ მაჩვენებლის ზრდამ 155 683 ლარით. მათი ფილიალების რაოდენობა ამ პერიოდისთვის კი იყო 38 ერთეული.

2006 წელს საკრედიტო კავშირების წმინდა სესხების მოცულობის ზრდა საგრძნობლად შემცირდა წინა წლებთან შედარებით, რამაც შეადგინა 10 593 ლარი და მათი მთლიანი მოცულობა ამ პერიოდისთვის გაუტოლდა 1 559 388 ლარს. მათი ფილიალების რაოდენობა იყო 34 ერთეული.

2007 წელი საკრედიტო კავშირებისთვის აღმოჩნდა ნეგატიური წმინდა სესხების ზრდის კუთხით, რამაც შეადგინა (-502 305) ათასი ლარი და, შესაბამისად, გამოიწვია საკრედიტო პორტფელის მკვეთრი შემცირება, რამაც შეადგინა 1 057 083 ლარი. ამის მიზეზად კი შეიძლება ჩაითვალოს, ის რომ თანდათანობით მცირდებოდა საკრედიტო კავშირების ფილიალების რაოდენობა (23 ერთეული) და, შესაბამისად, მცირდებოდა მათი აქტივებიც. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ასევე მათი სესხების ხარისხის გაუარესება.

2008 წლის მონაცემებით, საკრედიტო კავშირების ფილიალების რაოდენობა დავიდა 18 ერთეულამდე. რაც შეეხება მათი წმინდა სესხების ზრდის ტენდენციას, წინა წელთან შედარებით, დადგებითი იყო, რამაც შეადგინა 243 533 ათასი ლარი და, შესაბამისად, წმინდა სესხების მთლიანი მოცულობა ამ პერიოდისთვის გაუტოლდა 1 300 616 ლარს.

2009 წელს საკრედიტო კავშირების ფილიალების რაოდენობა არ შეცვლილა, ხოლო მათი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებელი, წმინდა სესხების კუთხით, 1 465 986 მლნ ლარი იყო.

2010 წლის მონაცემებით, საკრედიტო კავშირების წმინდა სესხები გაიზარდა 599 827 ლარით, რამაც გამოიწვია შესაბამისი მაჩვენებლის მთლიანი მოცულობის ზრდა და შეადგინა 2 065 813 ლარი.

2011 წელს საკრედიტო კავშირების წმინდა სესხების ზრდამ შეადგინა 1 384 169 ლარი, რაც, წინა წლებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და, შესაბამისად, გამოიწვია მათი საკრედიტო პორტფელის (წმინდა სესხები) მოცულობის ზრდა, რაც გაუტოლდა 3 449 982 ლარს. თუმცა ფილიალების რაოდენობა არ შეცვლილა და კვლავ 18 ერთეული იყო.

#### **1.4. საქართველოს ფინანსური სისტემის მარეგულირებელი ინსტიტუტების გენეზისი**

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ბაზაზე. ხოლო სახელმწიფო „კომერციული და სააქციო“ კომერციული ბანკები შეიქმნა საკავშირო დარგობრივი ბანკების რესპუბლიკური კანტორების (ფილიალების) ბაზაზე. ეროვნული ბანკის შექმნა და მათი ცივილიზებული მეთოდებით ამჟამავება შეიძლებოდა მხოლოდ საონადო სამართლებრივი ბაზის არსებობის პირობებში, როცა საბანკო, საკრედიტო, საგადუტო, საანგარიშსწორებო, საპროცენტო და სხვა ურთიერთობები დარეგულირდებოდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებითა და ნორმებით. 1991 წლის აგვისტოში რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ ოპერატიულად მიღებულ იქნა კანონები:

- „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“;
- „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“;
- „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“.

აღნიშნული კანონებით განსაზღვრულ იქნა თუ როგორ და ვის უნდა განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება რესპუბლიკაში და რა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით რესპუბლიკის ეროვნულ (სახელმწიფო) ბანკს<sup>45</sup>.

ეროვნულ ბანკს, მისი შექმნისა და ფუნქციონირების პირველ ეტაპზე, ჯანსაღი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება-გატარებისათვის ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ არ გააჩნდა:

- ფულის საკუთარი ნიშნები;
- საკუთარი საკრედიტო რესურსები;
- უცხოური კონვერტირებადი ვალუტის მარაგები (საერთაშორისო რეზერვები);
- ოქროს მარაგები.

საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო სისტემის წამყვან რგოლს, დღეისათვის გააჩნია საკუთარი ფულის ნიშნები და უცხოური ვალუტის რეზერვები<sup>46</sup>.

<sup>45</sup> ქისტაურტი ლ. „ეროვნული ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის პირველი ნაბიჯები“. ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი). გამომცემლობა „სამთავისი“. თბილისი. 1996 წ. გვ. 16.

<sup>46</sup> ქისტაურტი ლ., ქისტაურტი შ. „საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები“. გამომცემლობა „სამთავისი“, თბილისი. 1997 წ. გვ. 294, 296.

საბანკო სექტორის მარეგულირებელს დღეს საქართველოში წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. 1995 წლის ივნისში მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ. ამ კანონის მიხედვით, სებ-ი დამოუკიდებლად ახორციელებს ფულად-საკრედიტო და საგალუტო პოლიტიკას, მას ენიჭება აგრეთვე ბანკებზე ზედამხედველობისა და „უცხოური გალუტის რეზერვების განკარგვის უფლება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს მეორე ფუნქციასაც – საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა. იგი არეგულირებს ქვეყანაში ბანკების საქმიანობას და, მათი უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოსთან (ფზს) ერთად ზედამხედველობას უწევს მათ. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. იგი არის მთავრობის ფისკალური აგენტი. სებ-ის მიზნებია: ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს საფინანსო და საკრედიტო სისტემების ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა და ბაზრის საფუძველზე სტაბილური ფუნქციონირება. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.<sup>47</sup>

ფასების სტაბილურობის კონტექსტში სებ-ი მიზნად ისახავს ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოებას, რომელიც უზრუნველყოფს ბრუნვაში არსებული ფულადი სახსრების არაინფლაციურობას და, ეკონომიკური ზრდისა და ფულად სახსრებზე გაზრდილი მოთხოვნის კვალობაზე, ეკონომიკის მზარდ მონეტიზაციას.

ყოველ შემთხვევაში, თეორიულად, სებ-ს აქვს საკმარისი რაოდენობის მონეტარული ინსტრუმენტები. საბანკო სისტემის ლიკვიდურობის მართვისთვის მას შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე ინსტრუმენტი:

1. ინტერვენციები უცხოური ვალუტით ვაჭრობაში;
2. დია საბაზრო ოპერაციები, რაც გულისხმობს როგორც ჩარევას ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონებში, ისე (უფრო იშვიათად, შეიძლება ითქვას,

<sup>47</sup> Baqradze G. and Billmeier A. „Inflation Targeting in Georgia: Are We There Yet?“. National National Georgian Bank p. 4 [http://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/inflation\\_targeting\\_in\\_georgia\\_09.pdf](http://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/inflation_targeting_in_georgia_09.pdf)

საპირისპიროდაც) კომერციულ ბანკებთან წარმოებულ ხელახალი შესყიდვის ოპერაციებში;

3. მუდმივი ხელმისაწვდომობის ოპერაციები, როგორიცაა ანაბრების მოზიდვა კომერციული ბანკებიდან და ერთდღიანი სესხების გაცემა ყოველდღიური საპროცენტო განაკვეთის უზრუნველყოფის მიზნით;
4. ცენტრალური ბანკის ფასიანი ქაღალდების გამოშვება;
5. კომერციულ ბანკებში ლარსა და უცხოურ ვალუტაში არსებულ ანაბრებზე მინიმალური რეზერვების დაწესება<sup>48</sup>.

ეროვნული ბანკის ძრითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ასევე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას<sup>49</sup>.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს რეალური წარმოებისა და დასაქმების მხარდაჭერა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რესურსების ზრდის უზრუნველყოფა საწარმოო პროგრამების დაკრედიტებისთვის<sup>50</sup>.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მისმა ზედამხედველობის სამსახურმა ძალზე მასშტაბური და შრომატევადი სამუშაოები გაატარეს ქვეყნის საბანკო სისტემის რესტრუქტურიზაციის უნიფიცირებისა და შეკვრის, ცალკეული საკრედიტო დაწესებულებების ინსტიტუციონალური სრულყოფის, მათი გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ამაღლების, მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების უკეთ დაცვის მიმართულებით<sup>51</sup>.

ზედამხედველობის განხორციელებისათვის მთავრი არის „კანონი ეროვნული ბანკების შესახებ“. ამ კანონის მეთექსმეტე მუხლში ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტი, მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ საფინანსო სექტორის ზედამზედველობის კომიტეტი უფლებამოსიალია:

- განიხილოს და შეიმუშავოს საფინანსო ზედამხედველობის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;

<sup>48</sup> იქვე გვ. 4

<sup>49</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. თავი 1. ზოგადი დებულებანი. მუხლი 3. თბილისი 2009 №1676 – შს. გვ. 4.

<sup>50</sup> Егоров С. Е. "Роль АРБ в определении и реализации стратегии развития банковской системы" Москва 2002 г. Деньги и кредит. с. 5

<sup>51</sup> ქსეტაურტი დ. „ეროვნული ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის პირველი ნაბიჯები“. ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი). გამომცემლობა „სამთავისი“. თბილისი. 1996 წ. გვ. 82.

- განიხილოს საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა შენიშვნები ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გატარებული დონისძიებების შესახებ.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით მიეწოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ხოლო პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს<sup>52</sup>.

ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა კომერციულმა ბანკებმა და სხვა მათთან გათანაბრებულმა საკრედიტო ინსტიტუტებმა დაიცვან საბანკო კანონმდებლობა და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტები. განსაკუთრებულ ყურადღებას ზედამხედველობის სამსახური უთმობს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, რადგან ეკონომიკური ნორმატივები და მათი ვარირებები წარმოადგენს ყველაზე ქმედით საშუალებებს ეროვნული ბანკის ზემოქმედების განხორციელებისა კომერციულ ბანკებზე, მათ საქმიანობაზე და მათ ეფექტურად მუშაობაზე<sup>53</sup>.

### **საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებია:**

1. შეიძუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;
2. განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
3. უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
4. ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
5. იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
6. უზრუნველყოს საგადახდო სისტემების ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება;
7. განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
8. საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად, აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;

<sup>52</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. თავი 2. ეროვნული ბანკის ორგანიზება და მმართველობა. მუხლი 16. თბილისი. 2009 №1676 - IIს გვ. 9.

<sup>53</sup> ქისტაური და „ქისტაური შ. „საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები“. გამომცემლობა „სამთავის“. თბილისი. 1997 წ. გვ. 341, 344.

9. ამ ორგანული კანონის შესაბამისად, განახორციელოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა მასთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით;
10. შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები<sup>54</sup>.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი მიმართულებაა, წინასწარ, ერთი წლით ადრე, გამოსცეს ინფლაციის პროგნოზი. სწორედ რომ სებ-ის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმს წარმოადგენს ინფლაციის თარგეთირება. ეს შეფასება ვერ მიიჩნევა „ჯეროვან“ მიზნად, ვინაიდან ინფლაციის ერთწლიანი პერსპექტივის განსაზღვრისათვის სებ-ის მიერ გაძეთებული ინფლაციის მოკლევადიანი პროგნოზის მოდელი განმტკიცდება უფრო გრძელვადიანი სტრუქტურული მოდელებიდან და საექსპერტო შეფასებებით მიღებული ინფორმაციით.<sup>55</sup>

ადსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ინფლაციის მაღალი დონე, რაც დაკავშირებულია პროდუქტიულობის ზრდის მაღალ ტემპთან. ეჭვგარეშეა ის ფაქტიც, რომ ინფლაცია და ნომინალური ხელფასი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სამომხმარებლო ფასებსა და გაცვლითი კურსის ცვლილებას შორის დამოკიდებულების შესწავლის აუცილებლობას კიდევ უფრო მეტად განაპირობებს უკანასკნელ პერიოდში თავად ხელფასების დონის მკვეთრი ზრდა, რაც, ექსპერტთა მტკიცებით, მაღალ ინფლაციურ რისკებთან არის დაკავშირებული.

ფასების დინამიკაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გაცვლითი კურსი როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, რაც ქვეყნაში განპირობებულია დოლარიზაციის მაღალი დონით და სამომხმარებლო კალათაში იმპორტული საქონლის დიდი წილით<sup>56</sup>.

საბანკო სექტორის მარეგულირებელს საბერძნეთში წარმოადგენს „საბერძნეთის ბანკი“, რომელიც პასუხისმგებელია, განახორციელოს ევროსისტემის მონეტარული პოლიტიკა საბერძნეთში და დაიცვას საბერძნეთის ფინანსური სისტემის სტაბილურობა. კანონმდებლობის თანახმად, მისი ძირითადი

<sup>54</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. თავი 1. მუხლი 3. გვ. 4.

<sup>55</sup> Baqradsze G. and Billmeier A. „Inflation Targeting in Georgia: Are We There Yet?“. National National Georgian Bank. p. 8. [http://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/inflation\\_targeting\\_in\\_georgia\\_09.pdf](http://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/inflation_targeting_in_georgia_09.pdf)

<sup>56</sup> Barbaqadze I. “Explaining Inflation in Georgia: Do Exchange Rate and Nominal Wage Matter? Natianal Bank of Georgia. Tbilisi 2008. <http://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/nbgwp04.08.pdf>.

მიზანია, უზრუნველყოს ფასების საერთო დონის სტაბილურობა და მხარი დაუჭიროს მთავრობის ზოგადეკონომიკურ პოლიტიკას. ამ ამოცანების შესრულებისას ბანკი სარგებლობს ინსტიტუციური და საოპერაციო დამოუკიდებლობით და არის ანგარიშვალდებული საბერძნეთის პარლამენტის წინაშე.

სებ-ისგან განსხვავებით, „საბერძნეთის ბანკის“ ამოცანები ორ ნაწილად იყოფა: ევროსისტემასთან დაკავშირებული ამოცანები (Eurosystem-related tasks) და სხვა ამოცანები (Other tasks).

### **ევროსისტემასთან დაკავშირებული ამოცანები:**

1. მონაწილეობას იღებს ევროზონის ერთიანი მონეტარული პოლიტიკის ფორმულირებაში და ახორციელებს მას საბერძნეთში;
2. მართავს „ევროპის ცენტრალური ბანკის“ უცხოური ვალუტისა და ოქროს რეზერვებს ხევნებული ბანკის სახელითა და მითითებით;
3. ზედამხედველობას უწევს საგადამხდელო სისტემებსა და ინსტრუმენტებს მათი სტაბილურობის, საიმედოობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ამ კონტექსტში იგი მონიტორინგს უწევს და აკონტროლებს DIAS-ის საგადახდო სისტემას და ათენის საკლირინგო ოფისს. 2008 წლის 19 მაისიდან იგი არის „თარგეთ 2“-ის (Target 2) წევრი, რომელიც ახალი ტრანსევროპული ავტომატიზებული, დროის რეალურ რეჟიმში ბრუტო ანგარიშსწორების ექსპრესსატრანსფერო სისტემაა;
4. ხელს უწეობს ფინანსური სტაბილურობის დონისძიებების შენარჩუნებას და ფინანსური კრიზისის ეფექტურ მართვას;
5. აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს მონეტარული და ფინანსური ინსტიტუტებიდან (მაგ.: ბანკები და ფულის ბაზრის ფონდები);
6. უშვებს ევრობანკოტებს, რომლებიც ექვემდებარება „ევროპის ცენტრალური ბანკის“ (ECB) მიერ წინასწარ დამტკიცებას და პასუხისმგებელია ევრობანკოტებისა და მონეტების მიმოქცევასა და მათ გამოყენებაზე საბერძნეთში;
7. უზრუნველყოს თითოეული დენომინაციის ბანკნოტის მარაგს საბერძნეთის ბანკის ზარაფხანიდან ან სხვა ქვეყნებიდან ფულის გადაზიდვის მეშვეობით, ისევე როგორც მათ უსაფრთხო შენახვას, ტრანსპორტირებას, გადამუშავება-

განადგურებას და, ზოგადად, ნაღდი ფულის მიწოდებას ქვეყნის ეკონომიკისთვის.

### **საბერძნეთის ბანკის სხვა ამოცანები:**

1. ახორციელებს საკრედიტო დაწესებულებებისა და ფინანსური სექტორის პრუდენციულ ზედამხედველობას;
2. ზედამხედველობას უწევს და აკონტროლებს სადაზღვევო და მეორადი დაზღვევის ფირმებს, ისევე, როგორც სადაზღვევო შუამავლებს;
3. პასუხისმგებელია არადოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული ტრანზაქციების მონიტორინგის სისტემის მართვასა და ფუნქციონირებაზე;
4. პასუხისმგებელია ფასიანი ქაღალდების მეორადი ელექტრონული ბაზის ფუნქციონირებაზე;
5. ფლობს და მართავს ქვეყნის ოფიციალურ სარეზერვო აქტივებს, მათ შორის „საბერძნეთის ბანკისა“ და სახელმწიფოს უცხოური ვალუტისა და ოქროს მარაგს;
6. მოქმედებს, როგორც ხაზინადარი და სახელმწიფოს ფისკალური აგენტი;
7. ადგენს და გამოსცემს საბერძნეთის ეკონომიკის სტატისტიკურ მონაცემებს და ახორციელებს სპეციალიზებულ სტატისტიკურ კვლევებს;
8. აქვეყნებს ანგარიშებს, ახორციელებს პოლიტიკის მნიშვნელოვან კვლევებს და აანალიზებს ეკონომიკის კონიუნქტურას და მონეტარულ პოლიტიკას.<sup>57</sup>

„საბერძნეთის ბანკის“ მიზნები მოიცავს მონიტორინგს; აანალიზებს ეკონომიკის კონიუნქტურასა და მონეტარულ პოლიტიკას. ამ მიზნით იგი ყოველწლიურად, აპრილში აქვეყნებს საბერძნეთის ეკონომიკის წლიურ ანგარიშს, რათა უზრუნველყოს საბერძნეთის ეკონომიკის შესახებ სრულყოფილი და თბიექტური ინფორმაციის გავრცელება.

გარდა ამისა, „საბერძნეთის ბანკი“ ყოველწლიურად აქვეყნებს მონეტარული პოლიტიკის ორ ანგარიშს: მონეტარული პოლიტიკის წლიური ანგარიშს თებერვალში და მონეტარული პოლიტიკის შუალედური ანგარიშს ოქტომბერში, რომლებიც წარედგინება პარლამენტსა და კაბინეტს. ისინი განიხილავენ მონეტარულ პოლიტიკას და ეკონომიკურ განვითარებას საბერძნეთსა და

<sup>57</sup> The Bank of Greece <http://www.bankofgreece.gr/Pages/en/Bank/default.aspx#euro>

ევროზონაში. საბერძნეთის ეკონომიკის ძირითადი ეკონომიკური აგრეგატების მაჩვენებლები ეროვნულ და რეგიონულ დონეზე წარმოდგენილია, ბიულეტენებში „კონიუნქტურის ინდიკატორები“ და „რეგიონული კონიუნქტურის ინდიკატორები“, რომლებიც ქვეყნდება ყოველთვიურად. ეს ორი სტატისტიკური ბიულეტენი წარმოადგენს მოკლე და გრძელვადიანი განვითარების ბაზაზე უახლეს ხელმისაწვდომ მონაცემს, რათა შესაძლებელი გახდეს საბერძნეთში ეკონომიკის განვითარების სრულყოფილი სურათის დანახვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.<sup>58</sup>

---

<sup>58</sup> The Tasks of the Bank of Greece <http://www.bankofgreece.gr/Pages/en/Bank/responsibilities.aspx>

## **თავი 2. კომუნიული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და შეფასება**

### **2.1. კომუნიული ბანკების ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ზოგადი დახასიათება**

კომუნიული ბანკების ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ასახავს ბანკის აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს, რითაც შესაძლებელია, შეფასდეს ბანკების კაპიტალის, აქტივების, შემოსავლიანობისა და ლიკვიდობის მდგომარეობა.

მოქმედი კანონმდებლობით, კომუნიული ბანკები ყოველთვიურად წარუდგენებ საქართველოს ეროვნულ ბანკს დეტალურ ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მათი ვალდებულებების, აქტივების, კაპიტალის და გარესაბალანსო ოპერაციების შესახებ. გარდა ამისა სებ-ს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია დია სავალუტო პოზიციის ლიმიტის შესახებ. ანგარიშგება მოიცავს ბალანსის ცალკეული მუხლების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. ანგარიშგების მნიშვნელოვანი ნაწილია, ასევე, გარებალანსური ოპერაციების შესახებ დეტალური ანგარიში.

ბალანსი (ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ) წარმოადგენს ბანკის აქტივების, ვალდებულებების და სააქციო კაპიტალის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წყაროს. კომუნიული ბანკის ბალანსის ტიპურ ფორმას აქვს ასეთი სახე:

#### **ცხრილი №8**

#### **საბალანსო უწყისი**

##### **აქტივები**

##### **ნაღდი ფული**

ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ფულადი სახსრები სხვა ბანკში

ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

მთლიანი სესხები

მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი  
წმინდა სესხები

დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები  
დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება

ინგესტიციები საწესდებო კაპიტალში  
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

სხვა აქტივები

მთლიანი აქტივები

**გალდებულებები**

ბანკების დეპოზიტები

მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)

მოთხოვნამდე დეპოზიტები

გადიანი დეპოზიტები

საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები

ნასესხები სახსრები

დარიცხული გადასახდელი პროცენტები და  
დივიდენდები

სხვა გალდებულებები

სუბორდინირებული გალდებულებები

მთლიანი გალდებულებები

**სააქციო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები

პრივილეგირებული აქციები

მინუს: გამოსყიდული აქციები

საემისიო კაპიტალი

საერთო რეზერვები

გაუნაწილებელი მოგება

აქტივების გადაფასების რეზერვები

სულ სააქციო კაპიტალი

მთლიანი გალდებულებები და სააქციო კაპიტალი

**ნადდი ფული,** როგორც აქტივი, აუცილებელია ბანკისთვის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, ხოლო კაპიტალდაბანდებები ფასიან ქაღალდებში წარმოადგენს ლიკვიდურობის შენარჩუნების ორზერვს და შემოსავლის მიღების ერთ-ერთ წყაროს. რაც შეეხება კრედიტს, იგი გაიცემა შემოსავლის მიღების მიზნით, ხოლო მეორეხარისხოვანი აქტივები წარმოადგენს ე.წ. ფიქსირებულ აქტივებს, რომლებიც არის ბანკის საკუთრება (შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა). დეპოზიტები, როგორც წესი, ბანკის აქტივების დაფინანსების ძირითადი წყაროა. არასადეპოზიტო ვალდებულებები კი წარმოადგენს ლიკვიდურობის გაზრდის საშუალებებს, როცა ეს უკანასკნელი მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი ნადდი ფულით და ფასიანი ქაღალდებით. აქციონერთა კაპიტალი აყალიბებს გრძელვადიან და სტაბილურ ფინანსურ ფუნდამენტს, რომლის საშუალებითაც ბანკი ვითარდება და ფარავს ყველა გაუთვალისწინებელ დანაკარგს.

ბანკის აქტივები წარმოადგენს მის ძირითად ინსტრუმენტს და, აქედან გამომდინარე, ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ, რა ფორმითაა აქტივები ინვესტირებული, რამდენად ექვემდებარება ისინი რისკს და რა მოცულობის ლიკვიდური ფონდები აქვს ბანკს. ზოგადად, ინვესტორები ყურადღებით ეკიდებიან არა მხოლოდ აქტივების ზრდას, არამედ მის შემადგენლობასაც: ნადდი ფული, ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო პორტფელი და მისი სტრუქტურა, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა და ა.შ.

ბანკის აქტივების პირველი მუხლი არის ნადდი ფული. სწორედ ნადდი ფული და დეპოზიტები „ნოსტრო“ ანგარიშებზე წარმოადგენს ბანკის ლიკვიდურ აქტივს. ნადდი ფული, განთავსებული ბანკის საცავებში, და ნებისმიერი დეპოზიტები, განთავსებული სხვა ბანკებში (დეპოზიტები ბანკ-კორესპონდენტში), ნადდი ფული ინკასაციის პროცესში და აგრეთვე ოზერვები, განთავსებული ეროვნულ ბანკში, რომელთაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც პირველად რეზერვებს, წარმოადგენს რესურსების მთავარ წყაროს. მისი საშუალებით ბანკი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოეშობა გაუთვალისწინებელი დაკრედიტებისას ან კლიენტის მხრიდან დეპოზიტების გამოთხოვნისას. ბანკი ცდილობს, ასეთი სახის რეზერვის დონე არ იყოს ძალიან მაღალი, რადგან მას ან საერთოდ არ მოაქვს საპროცენტო შემოსავალი, ან ძალიან მცირე მოცულობის საპროცენტო სარგებელს იძლევა.

საინგესტიციო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია სამთავრობო და კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდებით. საინგესტიციო ფასიანი ქაღალდები (ლიკვიდური ნაწილი) ნაღდ ფულზე წარმოშობილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მეორად საშუალებას წარმოადგენს. კაპიტალდაბანდება ლიკვიდურ ფასიან ქაღალდებში არის აქტივების ნაწილი, რომელსაც ხშირად განიხილავენ, როგორც მეორად რეზერვებს; ის მოიცავს ინვესტიციებს მოქლევადიან ფასიან ქაღალდებში და აგრეთვე ფულადი ბაზრის ფასიან ქაღალდებს, რომელთა შორისაც იგულისხმება მიმდინარე დეპოზიტები სხვა ბანკებში და კომერციული ფასიანი ქაღალდები. მეორადი რეზერვები ასრულებს შუამავლის როლს ნაღდ ფულსა და კრედიტებს შორის იმის გამო, რომ ისინი უზრუნველყოფენ გარკვეულ შემოსავალს და, ამავე დროს, ბანკი მათში ახდენს ინვესტირებას ძირითადად იმის გამო, რომ მათი კონვერტირება ნაღდ ფულზე ადვილია. საინგესტიციო ფასიანი ქაღალდები (შემოსავლის წყარო) შეიძლება იყოს ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები და სხვა ფასიანი ქაღალდები, რომელთაც ბანკი ფლობს მოსალოდნელი შემოსავლის მიღების მიზნით. თითქმის ყველა ბანკი შესყიდულ ფასიან ქაღალდებს პირველადი დირებულებით არეგისტრირებს. რა თქმა უნდა, თუკი ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები მცირდება, მაშინ, ბუნებრივია, მცირდება ფასიანი ქაღალდების საბაზრო დირებულებაც, და იგი, შესაძლოა, საბალანსოზე ნაკლები აღმოჩნდეს. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ბანკები, რომლებიც ფასიან ქაღალდებს ასახავენ საბალანსო უწყისში, იქვე მიუთითებენ მათ საბაზრო დირებულებასაც.

სესხები შეიძლება დაიყოს დარგობრივი თვალსაზრისით, მაგალითად: ბანკთაშორის, ვაჭრობასა და მომსახურებაზე, ენერგეტიკაზე, სოფლის მეურნეობაზე, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე, ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებად. გარდა ამისა, ფინანსურ ანგარიშგებაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სტანდარტული, ნეგატიურად კლასიფიცირებული, გადაგადაცილებული სესხები, ასევე რეზიდენტებზე და არარეზიდენტებზე გაცემული კრედიტები. ცალკე გამოყოფენ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხების საერთო თანხას, ისევე, როგორც ერთი მსესხებლისათვის გაცემული სესხების საერთო თანხას. მნიშვნელოვანია ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა გალდებულებების საერთო თანხის დადგენა.

კომერციულ ბანკებში არსებობს სესხები, რომლებსაც არ მოაქვს ბანკისთვის საპროცენტო შემოსავალი; ანდა ისინი ექვემდებარებიან რესტრუქტურიზაციას მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ცვლილების გამო.

სესხები წარმოადგენს ბანკის აქტივების ძირითად ნაწილს. ის იძლევა უფრო მაღალ საპროცენტო შემოსავალს, ვიდრე ფასიანი ქაღალდები, თუმცა ისინი ექვემდებარებიან რისკს. აღნიშნულ რისკს უწოდებენ საკრედიტო რისკს, რაც ნიშნავს გაცემული სესხების დაუბრუნებლობის საშიშროებას.<sup>59</sup>

მეორეხარისხოვან აქტივებს განეკუთვნება შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა და ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. ეს მატერიალური აქტივები, იგივე ფიქსირებული ფონდები, როგორც წესი, შეადგენს ბანკის აქტივების მცირე ნაწილს (1-2%). ბანკის აქტივების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია სესხებით, ფასიანი ქაღალდებითა და არაფიქსირებული აქტივებით.

**დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები** მოიცავს მისაღებ პროცენტებს სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან, ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და ინვესტიციებიდან მისაღებ დივიდენდებს.

**დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების კატეგორიას ხშირად** მეორეხარისხოვანსაც უწოდებენ და მას განეკუთვნება მიწა, შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობები, ავეჯი და სხვა მოძრავი ქონება.

**სხვა აქტივებს** მიეკუთვნება საბროკერო ოპერაციების, ფაქტორინგის თანხები, დებიტორული დავალიანება, მოთხოვნები გარანტიების მიხედვით, წინასწარ გადახდილი და გადავადებული გადასახადები, ძვირფასი ლითონები, ხელოვნების ნაწარმოებები, საკოლექციო საგნები და სხვ.

**ვალდებულებები** – დეპოზიტები ბანკის პასივების მთავარი შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს ბანკისადმი არსებულ ფინანსურ მოთხოვნილებებს. ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი აქტივების გაყიდვის შემდეგ, პირველ რიგში, დაკმაყოფილებული უნდა იყოს კლიენტების მოთხოვნები. კატეგორია დეპოზიტები მოიცავს ბანკების დეპოზიტებს (საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, რეზიდენტი და არარეზიდენტი ბანკების), და აგრეთვე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და არასაბანკო იურიდიული და

<sup>59</sup> Saunders A. and Cornett M. (2005). Financial Institution Management. McGraw Hill Pub. 2005.

ფიზიკური პირების დეპოზიტებს (როგორც რეზიდენტის, ისე არარეზიდენტის). დეპოზიტების ძირითადი მასა ეკუთვნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

სონდერსისა და კორნეტის აზრით, საბანკო საქმიანობა თავისი ხასიათით არის მგრძნობიარე, რადგან ბანკების ვალდებულებების 85%-ზე მეტი ეკუთვნის ანაბრებს.

ჯ. ს. გ. უილსონი<sup>60</sup> მიიჩნევს, რომ ბანკები აღნიშნულ ანაბრებს იყენებენ მათი მსესხებლებისთვის კრედიტების გასაცემად, რაც ბანკების უმეტესობისთვის, ფაქტობრივად, წარმოადგენს სარგებლის მიღების გზას. კრედიტის შექმნის პროცესი ბანკს აყენებს მაღალი საკრედიტო რისკის წინაშე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური კრახი.

ბანკის ბალანსის ვალდებულებების მხარე შედგება სხვადასხვა ტიპის სადეპოზიტო ანგარიშებისაგან და მათი ინვესტიციებისთვის გამოყენებული სესხების სხვა ფორმებისაგან. ბანკებსა და სხვა კომპანიებს შორის ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ბანკის საკუთარი და ნასესხები სახსრების შეფარდების მაღალი კოეფიციენტი. აქტივებისა და ვალდებულებების მართვა (ALM) წარმოადგენს ბანკის ბალანსის სტრუქტურის მართვას იმგვარად, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს პროცენტებთან დაკავშირებული შემოსავლები ბანკის მენეჯმენტის რისკის მიმართ საერთო მდგრადობის ფარგლებში.

### დეპოზიტებში გამოყოფენ შემდეგ პატეგორიებს:

1. მიმდინარე ანგარიშები;
2. მოთხოვნამდე დეპოზიტები;
3. ვადიანი დეპოზიტები.

ბანკის რესურსები ძირითადად განისაზღვრება დეპოზიტების მოცულობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ბანკის აქტივების 70-80%-ს. ეს ზრდის გაცოტრების რისკს, რადგან კლიენტების მოთხოვნები არაპროგნოზირებადია და, როგორც წესი, მათი მოცულობა ბევრად აღემატება საკუთარ კაპიტალს. ბანკი ვალდებულია, მზად იყოს დეპოზიტების მასობრივი გადინებისთვის და ამისთვის მას უნდა ჰქონდეს ლიკვიდურობის საკმარისი დონე.

<sup>60</sup> Wilson J.S.G. (1988). "Bank Asset and Liability Management". Edinburgh University Press. 1988.

არასადეპოზიტო ვალდებულებები მეტად მნიშვნელოვანი მუხლია ბალანსში. მსხვილი ბანკი უფრო აქტიურად იყენებს სწორედ არასადეპოზიტო დაფინანსების წყაროებს. სესხები ფულად ბაზარზე ბანკისთვის მომგებიანია იმ თვალსაზრისითაც, რომ არ საჭიროებს სავალდებულო დარეზერვებას, რაც იწვევს დაფინანსების წყაროს გაიაფებას. ეს მუხლი ასახავს ბანკის ვალდებულებებს, აღებულს ფულის ბაზარზე, ანუ სხვა საბანკო დაწესებულებების მიერ მისთვის გაცემულ კრედიტებს, უზრუნველყოფილს ფასიანი ქაღალდებით.

**ნასესხებ სახსრებს** განეკუთვნება მთავრობისგან და ეროვნული და სხვა ბანკებისგან მიღებული სესხები (მათ შორის იგულისხმება ოვერდრაფტები „ნოსტრო“ ანგარიშებზე). ნასესხები სახსრები შეიძლება მიღებული იყოს სახაზინო ვალდებულებების და/ან უძრავ-მოძრავი ქონების დაგირავების შედეგად და სესხების სახით.

**სხვა ვალდებულებებში** შედის ვალდებულებები ბროკერული ოპერაციების მიხედვით, კრედიტორული დავალიანება, გაურკვეველი თანხები, ბიუჯეტში მიმდინარე გადასახადები, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები.

**სააქციო კაპიტალი.** კაპიტალი არის საბანკო საქმიანობის განხორციელების და მისი სტაბილური ზრდის, ბანკის საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ბაზა. მისი მიზანია, უზრუნველყოს საბანკო საქმიანობის წარმოება, გააძლიეროს ბანკის ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები, როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე სამომავლოდ. ბანკის კაპიტალის მიზანია, უზრუნველყოს ბანკის მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა და საბანკო სისტემაში ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. კომერციული ბანკის საქმიანობის ზედამხედველობის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება საზედამხედველო კაპიტალი, რომელიც შედგება პირველადი და მეორადი კაპიტალისაგან.

**პირველადი კაპიტალი დაქვითვამდე შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:**

1. საკუთარი ჩვეულებრივი აქციების ემისიით მიღებული საწესდებო კაპიტალი;
2. ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
3. სარეზერვო ფონდი;
4. გაუნაწილებელი მოგება (წინა წლების მოგებისა და მიმდინარე საანგარიშსწორებო მოგების ჯამი).

პირველადი კაპიტალის დაქვითვა მოიცავს ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილ თანხას და არამატერიალურ აქტივებს ნარჩენი ღირებულებით.

**მეორადი კაპიტალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:**

1. მიმდინარე წლის მოგება (ზარალი);
2. მიზნობრივი ფონდები;
3. საერთო რეზერვები – სტანდარტული აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (1,25 %);
4. სუბორდინირებული ვალი;
5. აქციებში კონვერტირებადი ვალი

საზედამხედველო კაპიტალი დაქვითვამდე უდრის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამს. საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვას წარმოადგენს: ინვესტიციები, განხორციელებული სხვა ბანკების საწესდებო კაპიტალში, და არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალში. საკუთარი კაპიტალი ვალდებულებების ყურადსაღები მუხლია. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, რომელიც ეხება საკუთარ კაპიტალს, მნიშვნელოვანია აქციონერთა წილები ბანკის კაპიტალში. ყოველი ბანკი ფუნქციონირებას იწყებს მინიმალური კაპიტალით და მხოლოდ შემდგომში ახდენს დამატებითი რესურსების მოზიდვას და მათი დახმარებით ახორციელებს გაფართოებას. ბანკის კაპიტალზე, როგორც წესი, მოდის მოელი აქტივების დაახლოებით 15%-20%.

ფინანსური ანგარიშგებების მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ანგარიშგება აქციონერთა კაპიტალის შესახებ. ამ დოკუმენტში ასახვას პოვებს ბალანსში მომხდარი ცვლილებები, რაც უჩვენებს აქციონერებს, თუ როგორ შეიცვალა მათ მიერ მობილიზებული კაპიტალი.

ვინაიდან, აქციონერთა კაპიტალი შეიძლება გამოყენებული იქნას ზარალის დასაფარავად და მეანაბრეთა და სხვა მსესხებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კაპიტალის მდგომარეობის ცვლილებას დიდ ყურადღებას აქცევენ მარეგულირებელი და საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენლებიც, ასევე მსხვილი კლიენტები. კაპიტალის შესახებ ფინანსური ანგარიშგება

ახასიათებს ბალანსში კაპიტალის მოძრაობას პერიოდის დასაწყისში და ბოლოს. მასში მოყვანილია ყველა ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს მის ცვლილებაზე.

ბანკისთვის ხარჯი შეიძლება დაკავშირებული იყოს კაპიტალიზაციის დონის შემცირებასთან. შესაძლებელია, დანაკარგების მიუხედავად, ხელმძღვანელობამ მაინც გადაწყვიტოს დივიდენდების გაცემა, რათა თავიდან აიცილოს ბანკის აქციათა ფასის შემცირება.

აქციონერები ყურადღებით აკვირდებიან აქციონერთა კაპიტალის შესახებ ანგარიშგებას, რადგან მნიშვნელოვანია, რომ კაპიტალი სწრაფად იზრდებოდეს, რათა იგი არ ჩამორჩეს ბანკის აქტივების ზრდას. თუკი კაპიტალის მოძრაობის ბალანსი მცირდება, ანალიტიკოსები ცდილობენ, გამოიკვლიონ, საკმარისია თუ არა კაპიტალი ყველა მოსალოდნელი და გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად.

ამრიგად, ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ბანკის ფინანსური ანგარიშგებების, ანუ გაირკვეს, თუ რამდენად კარგად იყენებს ბანკი საკუთარ და მოზიდულ რესურსებს საბანკო მომსახურების შექმნისა და გაყიდვის მიზნით.

საბანკო კაპიტალის კონცენტრირებისა და ცენტრალიზების ზრდას სპეციალისტთა უმრავლესობა განიხილავს, როგორც პროგრესულ პროცესს, რომლის თანამდევიც არის ბანკების როლის ხარისხობრივი ცვლილება. უბრალო ფინანსური შუამავლებიდან ისინი გარდაიქმნებიან მაღალეფებზე რეალური ეკონომიკის უშუალო მონაწილეებად და ორგანიზატორებად.

საბანკო სისტემის პოტენციალის გაფართოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბანკების საკუთარი სახსრების, მათ შორის, საწესდებო ფონდების რეალური ზრდა და აქტიური ოპერაციების გაფართოება. საბანკო სექტორის არასაკმარისი კაპიტალიზაცია გარდამავალი ეკონომიკის მქონე მრავალი ქვეყნისთვისად დამახასიათებელი. ამგვარ ქვეყნებში საბანკო სისტემები, როგორც წესი, ბოლო ათწლეულში გაცილებით სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ჩნდებოდა ბანკების სახსრების ფორმირებისათვის საჭირო რეალური ფულადი კაპიტალის წყაროები<sup>61</sup>.

<sup>61</sup> Осипов В. М. "Банковская система Республики Беларусь: актуальные проблемы взаимодействия с реальным сектором экономики". Деньги и кредит. с. 38.

კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსების ყველაზე საიმედო და სტაბილურ წყაროდ საწესდებო ფონდი რჩება. საწესდებო ფონდის წილი საბანკო ფონდების საერთო მოცულობაში დამოკიდებულია არა მხოლოდ ბანკების ფინანსურ მდგომარეობაზე, ის აჩვენებს მთლიანობაში საბანკო სისტემის განვითარების ხარისხსაც.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სახსრები კომერციული ბანკების რესურსების ყველაზე საიმედო და სტაბილურ წყაროდ რჩება, ამ წყაროს მნიშვნელობა თანდათანობით შემცირდება ფინანსური ბაზრის შემდგომი განვითარების შედეგად. გარდა ახალი ტენდენციებისა ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ურთიერთობაში (საკრედიტო, აუქციონის, ოპერაციების გაფართოება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით) ბოლო დროს მნიშვნელოვანი განვითარება პოვა ბანკთაშორისმა ბაზარმა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ბანკების განკარგულებაში არსებული სახსრები ყველაზე ეფექტურად იქნეს გამოყენებული. მისი განვითარების მიზანია, რომ თანდათანობით გაიზარდოს მოსახლეობის დეპოზიტების წილი საკრედიტო რესურსებში (ანაბრები)<sup>62</sup>.

**ლიკვიდობის პოლიტიკა.** ლიკვიდობის პოლიტიკა დაკავშირებულია დილემის „ლიკვიდობა-რენტაბელურობა“ გადაწყვეტასთან. ამიტომ, ბანკების წინაშე დგას ამოცანა – მიუხედავად ყოველგვარი შეზღუდვისა და გაურკვევლობის ზოგიერთი ფაქტორისა, ოპერაციები მართონ მაქსიმალური შემოსავლების მიღების მიზნით.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბანკის ხელმძღვანელობას არ შეუძლია, წინასწარ ზუსტად განსაზღვროს, როდის და რა მასშტაბის ლიკვიდობის პრობლემა წარმოიქმნება. აღნიშნული პრობლემის გაჩენის შემთხვევაში ზომების მიღება შეიძლება მხოლოდ წინასწარ შექმნილი რეზერვების, განსაკუთრებული სტრუქტურის აქტივებისა და პასივების საფუძველზე.

<sup>62</sup> Абдуллаев Ш. Э. "О регулировании национальной банковской системы" на примере Азербайджанской Республики. Деньги и кредит. с. 47.

**კომერციულ ბანკში ლიკვიდურობის მართვა ხორციელდება ორი კრიტერიუმის გამოყენებით:**

1. დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ შესაძლებელი იქნება შესაბამისი, არაძვირადღირებული დაფინანსების მიღება მოკლე ვადაში. ეს, შესაძლოა, მოიცავდეს აქტივების ისეთი პორტფელის ფლობას, რომლის გაყიდვაც ადვილადაა შესაძლებელი; ანდა სხვა ფინანსურ დაწესებულებებთან საკრედიტო ლიმიტების შენარჩუნებას.
2. ლიკვიდურობის მართვა უნდა აგმაყოფილებდეს რენტაბელურობის მოთხოვნებს. ფინანსური სტაბილურობის საკითხები უკავშირდება სწორედ აღნიშნული ლიკვიდურობა-რენტაბელურობის ურთიერთობას: ბანკებმა უნდა მართონ რეზერვებისა და შემოსავლების ლიკვიდურობა ყველაზე მომგებიანი გზით, რაც რისკის ქვეშ არ დააყენებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას.

ა. კროკეტის<sup>63</sup> თანახმად, ლიკვიდურობა არ არის დამოკიდებული გარეშე ფაქტორებზე (ბაზრის ინფრასტრუქტურა, დაბალი ოპერაციული ხარჯები, მყიდველებისა და გამყიდველების დიდი ოდენობა, ვაჭრობისთვის განკუთვნილი აქტივების გამჭვირვალე მახასიათებლები); მასზე უმნიშვნელოვანეს ზემოქმედებას ახდენს შიდა ფაქტორები, განსაკუთრებით კი ბაზრის მონაწილეთა დინამიკური რეაქცია აქტივების ღირებულებასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა და ცვლილებების მიმართ.

პრაქტიკულად, ლიკვიდობის მართვის თეორია კომერციული ბანკების ორგანიზაციასთან ერთად შეიქმნა. დღესდღეობით ოთხი სხვადასხვა მიღვომა არსებობს: სესხი, გადაადგილება, მოსალოდნელი შემოსავლები და პასივების მართვა<sup>64</sup>.

ლიკვიდობას უწოდებენ უნარს, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროულად შესრულება დანახარჯების მისაღებ დონეზე შენარჩუნებით. კომერციული ბანკის ლიკვიდობის დაკარგვის რისკის გამომწვევ ფაქტორებს განეკუთვნება სისტემური ფაქტორები: ცალკეული ბაზრების განუვითარებლობა, სადაც რთულია ბანკის აქტივების მისაღებ ფასად მყიდველების მოძიება; ანდა კრიზისი, რომელიც ეხება ფინანსურ ბაზრებს. ამ ფაქტორების გამო ბანკს აღარ შეუძლია, იქონიოს ფულადი სახსრების მოზიდვის იმედი.

<sup>63</sup> Crockett A. "Market Liquidity and Financial Stability," *Banque de France Financial Stability Review*, 2008, pp. 13-18.

<sup>64</sup> Усоцкин М. "Современный коммерческий банк, управление и операции", М., Финансы и статистика, 1994, с. 86-102.

## კონკურენტი ბანკისთვის დამახასიათებელი ფაქტორებია:

- მოთხოვნებისა და ვალდებულებების სტრუქტურის შეუსაბამობა, რაც ფულადი ნაკადების დისბალანსს იწვევს;
- აქტივების არასაკმარისი ლიკვიდობა ან ლიკვიდური აქტივების არასაკმარისი ოდენობა;
- პასიური ბაზის არასტაბილურობა.

ლიკვიდობის დაკარგვის რისკის მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებს კომერციული ბანკი ყოველდღიურად აწყდება. ამ საკითხის მიმართ უყურადღებობამ საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ორგანიზაციების გადახდისუუნარობა ან თუნდაც კრახი. თუ ბანკმა დროულად ვერ შეასრულა მეანაბრეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და ამის შესახებ კლიენტებისთვის ცნობილი გახდა, წარმოიქმნება დეპოზიტების და ანგარიშების ანგარიშზე არსებული ნაშთების მეწყერისებური გადინება, რასაც მივყავართ სრულ გადახდისუუნარობამდე და, შესაბამისად, ამას ბანკი თავს ვერ აარიდებს.

ლიკვიდობის დაკარგვის არაეფექტური მართვის სხვა შედეგებთან გვაქვს საქმე ჭარბი ლიკვიდობისას, რომელიც უარყოფითად ზემოქმედებს ბანკის შემოსავლიანობაზე. ჭარბი ლიკვიდობისას ბანკის დანაკარგებმა, რომლებიც წარმოიშვა ბანკის აქტივების ნაწილის ნაკლებშემოსავლიან, მაგრამ მაღალლიკვიდურ სახსრებში იმობილიზაციის შედეგად, საბოლოოდ ასევე შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ორგანიზაციის გაკოტრება<sup>65</sup>.

კომერციული სესხების თეორია ცნობილია მე-18 საუკუნის ინგლისის საბანკო პრაქტიკიდან. ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ კომერციული ბანკი მანამდე იქნება ლიკვიდური, სანამ მისი აქტივები განლაგებულია მოკლევადიან სესხებში, რომლებიც, როგორც ნორმალური მდგომარეობის მქონე საქმიანი აქტივები, თავის დროზე დაიფარება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკებმა უნდა დააფინანსონ საქონლის თანმიმდევრული მოძრაობის სტადიები, წარმოებიდან – მოთხოვნამდე. ჩვენს დროში ამ სესხებს სასაქონლო მარაგის ქვეშ აღებული სესხები, ანუ საბრუნავი კაპიტალის შესავსები სესხები ჰქვია.

<sup>65</sup> Зайцева Н. В.. "Оперативный анализ риска потери ликвидности в коммерческом банке". Деньги и кредит. с. 40.

გარდა აღნიშნულისა, ეს თეორია გულისხმობდა, რომ საქმის ნორმალური მიმდინარეობისას ყველა სესხი თავის დროზე დაიფარებოდა, მაგრამ ეკონომიკური ვარდნის პერიოდში ან ფინანსური პანიკის შემთხვევაში ჯაჭვი „ნაღდი სასაქონლო მარაგი – რეალიზაცია – დებიტორები ანგარიშსწორების მიხედვით – ნაღდი ფული“ ირდვევა და ფირმა გასაჭირდი ვარდება, ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება ბანკის სესხის დაფარვა.

ამ თეორიის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მოკლევადიანი, თვითლიკვიდირებული სესხი ლიკვიდობას უზრუნველყოფს მხოლოდ ნორმალური ეკონომიკური განვითარების პირობებში და არა ეკონომიკური ვარდნის პერიოდში, როცა ლიკვიდური სახსრები აუცილებელია.

ეკონომიკური ვარდნის დროს სასაქონლო მარაგისა და დებიტორული დავალიანებების ბრუნვა შენელებულია და მრავალ ფირმას ვადის ამოწურვისას უჭირს სესხების დაფარვა. ამასთან, თუ ცალკეულ ბანკებს შეუძლიათ სახსრების თვითლიკვიდურ სესხებად მოთავსების გზით ლიკვიდობის შენარჩუნება, საბანკო სისტემა მძიმე პერიოდში საერთოდ განიცდის ლიკვიდური თანხების უპმარისობას.

**გადაადგილების თეორია.** გადაადგილების თეორია ეფუძნება მტკიცებულებას, რომ ბანკი შეიძლება ლიკვიდური იყოს იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მისი აქტივების სხვა კრედიტორებისთვის მიყიდვა, ან ინვესტორებისთვის გადაცემა ნაღდ ფულზე<sup>66</sup>.

ამრიგად, ცალკეული კომერციული ბანკის ლიკვიდურ რესურსზე მოთხოვნები იმ შემთხვევაში შეიძლება დაიფაროს, თუ ბანკში განუწყვეტლივ იქნება გასაყიდი აქტივები. ანალოგიურად, საბანკო სისტემა ლიკვიდური იქნება, თუ ცენტრალური ბანკი თავისუფლად იყიდის გადასაფასებლად შეთავაზებულ აქტივებს.

იოლად რეალიზებადი საბაზრო ფასიანი ქაღალდები კარგა ხანს განიხილებოდა, როგორც ლიკვიდური რესურსების მოხერხებული წყარო. ასეთი ფასიანი ქაღალდები შეიძლება იოლად იქცეს ნაღდ ფულად, ამიტომ მათ მოიხსენიებენ მეორე რიგის რეზერვებად.

იმისათვის, რომ კონვერტირებადობა დანაკარგებისა და დაქვითვების გარეშე იქნეს უზრუნველყოფილი, მეორადი რეზერვები უმაღლესი ხარისხის სამ მოთხოვნას უნდა შეიცავდეს, რომელთაც მიუკუთვნება: მაღალი ხარისხი, დაფარვის მოკლე გადა და რეალიზებადობა. ისინი უნდა გათავისუფლდნენ როგორც

<sup>66</sup> ოქრუაშვილი ც. „კომერციული ბანკების მენეჯმენტი“. თბილისი. 2006 წ. გვ. 59.

საკრედიტო, ასევე საბაზო საპროცენტო განაკვეთების რისკებისაგან, აგრეთვე გაიყიდონ ბაზარზე მოკლევადიანი შეტყობინების შემდეგ. რაც შეეხება დაფარვის ვადას, აქტივებს, რომლებსაც რეზერვად იყენებენ, განსაკუთრებული მოთხოვნები არ წაეყენება, მაგრამ, ამასთან, საერთო მოთხოვნა უნდა იყოს ის, რომ, რაც მოკლე ვადა, მით უკავესია ბანკისთვის. ასეთი მიღგომა მით უფრო რეალისტურად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც ნომინალურ განაკვეთზე ცვლილების რისკის ზემოქმედების ძალა უმნიშვნელო იქნება.

მრავალ ბანკირს ნორმალურად მიაჩნია ის, რომ იოლად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების მეორე რიგის რეზერვებში გადართვით დაფარვის ვადა ერთი წელი ან უფრო ნაკლები იქნება.

მთელი რიგი ფასიანი ქაღალდები აკმაყოფილებს ხარისხისა და რეალიზების მოთხოვნებს. კერძოდ, მეორად რეზერვებად ყველაზე უფრო ხელსაყრელია სახაზინო ვალდებულებები, ასევე, სახელმწიფოს მიერ გამოშვებული სხვა ფასიანი ქაღალდები. მთავრობის ობლიგაციები მისაღებად ჩაითვლება, თუ მათი დაფარვის ვადა ახლო მომავალში დგება, რადგან ნომინალური პროცენტის ნორმის ცვლილების რისკი მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მოკლეა ვადა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 20-30-იან წლებში დასავლეთის ასობით ბანკი, რომლებიც გადაადგილების თეორიის მიმდევრები იყვნენ, მაინც ვერ ასცდნენ ლიკვიდობის პროცედურას. 30-იანი წლების სავალალო გამოცდილების მიუხედავად, გადაადგილების თეორიას დღესაც მრავალი მიმდევარი ჰყავს. უკანასკნელ ხანებში ლიკვიდობის მხარდასაჭერად ყურადღება გამახვილებულია საბანკო სახსრების დაბანდებაზე მთავრობის იოლად რეალიზებად ფასიან ქაღალდებში.

**მოსალოდნელი შემოსავლების თეორია.** ამ თეორიის თანახმად, საბანკო ლიკვიდობა შეიძლება დაიგეგმოს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტების დაფარვის გრაფიკს საფუძვლად დაედება მსესხებლის მომავალი შემოსავლები.

მოსალოდნელი შემოსავლის თეორია არ უარყოფს ზემოთ განხილულ თეორიებს, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ კრედიტებისა და ინვესტიციების დაფარვის ვადის სტრუქტურის შეცვლით შესაძლებელია საბანკო ლიკვიდობაზე ზემოქმედება.

მრეწველობაში მოკლევადიანი კრედიტები უფრო ლიკვიდურია, ვიდრე გრძელვადიანი სესხები, ხოლო სამომხმარებელო კრედიტები საქონლის განვადებით შესაძენად უფრო ლიკვიდურია, ვიდრე იპოთეკური სესხები. აღნიშნული თეორია ცნობს ისეთი ცალკეული სახეობის კრედიტების განვითარებასა და სწრაფ

ზრდას, რომლებიც დღეს კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, კერძოდ: ვადიან კრედიტებს საქმიანი ფირმებისათვის, განვადებით გასანადდებელ სამომხმარებლო კრედიტებს და უძრავ ქონებაზე გაცემულ სესხებს. ამ სესხების ერთი საერთო თვისებაა მზარდი ლიკვიდობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი შეიძლება განვადებით დაიფაროს. პორტფელი, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კრედიტები, რომლებზეც პროცენტების და ძირითადი თანხის გადახდები ყოველთვიურად ან ყოველგვარტალურად არის მოსალოდნელი, ლიკვიდურია, ვინაიდან ნაღდი სახსრების რეგულარული ნაკადები იოლად პროგნოზირებადია.

**ლიკვიდობის რისკი.** ბანკის ლიკვიდობა – ეს არის გადახდის საშულებად აქტივების გამოყენების და ამ აქტივების ნომინალური დირებულების შენარჩუნების შესაძლებლობა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუ მის განკარგულებაში არსებული თანხები საკმარისია პასივების მიხედვით ვალდებულებების დროულად და სრულად დასაფარავად<sup>67</sup>.

ბანკის ლიკვიდობის რისკი, როგორც კომპლექსური ცნება, დამოკიდებულია არამარტო აქტივის ან პასივის სტრუქტურაზე, არამედ მათ მთლიანობასა და მიზეზშედეგობრივ კავშირზე. ამასთან, არასაკმარისი ლიკვიდობა საწყის პერიოდში იწვევს დროებით ტექნიკურ გადახდისუუნარობას. რეალური გადახდისუუნარობა კი პირდაპირ არის დაკავშირებული ისეთ ცნებასთან, როგორიცაა გაკოტრება.

**პასივების მართვის თეორია.** ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ლიკვიდობის პრობლემის გადაწყვეტა ბაზრიდან მოზიდული დამატებითი სახსრების გზით შეუძლიათ.

ლიკვიდური რესურსების შესავსებად ბანკები ვალს იღებენ ცენტრალური ან კომერციული ბანკიდან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში ამა თუ იმ ფორმით ყველა თეორია გამოიყენება, მაგრამ, როგორც წესი, ცალკეული ბანკი უპირატესობას რომელიმე მათგანს ანიჭებს. ლიკვიდობის მართვაში შეიძლება ორი უკიდურესი მიმართულება გამოიყოს: რეზერვებზე მკაცრი კონტროლის პოლიტიკა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბანკში არ იქნეს დაშვებული ის სახსრები, რომლებიც მოგებას არ მოიტანს, ე.ი. ფაქტობრივად, არ

<sup>67</sup> Ковзанадзе И. "Контроль за деятельностью коммерческих банков". журнал Финансы. № 10. Москва. 2000 г. с. 71.

დაიშვას ნებისმიერი ჭარბი სახსრები; რეზერვების იმ დონეზე შენარჩუნება, რაც საკმარისია სავალდებულო რეზერვების ნორმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დეპოზიტების ჭარბი ზრდის პერიოდში.

ყველა მსხვილ ბანკს ხელსაყრელად მიაჩნია ნადდი სახსრების მკაცრი გაკონტროლება, მცირე ბანკებიც უფრო და უფრო გამოარჩევენ იმ ანაბარს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სალაროს მოხერხებული მართვა ოპერაციის საერთო მომგებიანობის უზრუნველსაყოფად.

პრაქტიკულად, შემუშავებულია ლიკვიდურობის მართვის სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც ეყრდნობა აქტივების, პასივების მართვას ან ერთდროულად ორივეს<sup>68</sup>.


ლიკვიდობის მართვის ყოველ მეთოდს, სხვა მეთოდთან შედარებით, აქვს თავისი როგორც უპირატესობა, ისე ნაკლოვანება. ამასთან, ლიკვიდობის მართვის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობა განპირობებულია: 1. საბანკო პორტფელის ხასიათით; 2. საბანკო ოპერაციების თავისებურებებით; 3. იმ გარემოთი, რომელშიც ბანკი საქმიანობს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი იყენებს სახსრების მოზიდვის სხვადასხვა წყაროს, ლიკვიდობის მართვა რთულდება, მაშინ შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს ფონდების კონვენციის მეთოდის გამოყენება, რომელიც გულისხმობს როგორც აქტივების, ისე პასივების მართვას და პირიქით, როცა რესურსების ბაზა საკმაოდ ერთფეროვანია, ფულად ბაზარზე ოპერაციების გამოყენების შესაძლებლობა კი – შეზღუდული, შეიძლება მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ნაკლებად რთული საფონდო პულის მეთოდი.

აღნიშნული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ყველა საბანკო რესურსი განიხილება, როგორც საბანკო სახსრების ერთიანი პული; ამ შემთხვევაში ბანკის მიზანია ლიკვიდობის უზრუნველსაყოფი პირველადი და მეორადი რეზერვების შექმნა. პირველადი რეზერვები შედგება აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივების – სალაროსა და საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული თანხებისაგან. მეორადი სახსრების შემადგენლობაში შედიას მაღალლიკვიდური აქტივები, რომლებიც შეიძლება სწრაფად იქნეს რეალიზებული და რომელსაც დიდი ბრუნვა ახასიათებს. განვითარებულ ქავენებში ასეთია მოკლე და საშუალო ვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. პრინციპში, ისინი ფორმირებულია საბანკო აქცეუტებიდან, თამასუქებიდან,

<sup>68</sup> Вейс Г. Платонов В. “Банковское дело: Стратегическое руководство. Управление активами и пассивами”; М.: Консалтбанкир, 1998 г. с. 163-168.

ზოგიერთ შემთხვევაში, პირველი კლასის ემიტენტების ობლიგაციებისაგან, იმ პირობებში, როდესაც მაღალლიკვიდური სახეობის უცხოური ვალუტა უზრუნველყოფს შემოსავლებს სანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ეს უცხოური ვალუტა შეიძლება განხილული იქნას, როგორც მეორადი რეზერვი. ფულადი სახსრების რეზერვები საჭიროა ბანკის ყოველდღიური ოპერაციებისათვის. პირველადი რეზერვები მიეკუთვნება არაშემოსავლიან აქტივებს, მეორადი რეზერვები კი ბანკს გარკვეული შემოსავლით უზრუნველყოფს.

### გრაფიკი № 3



2008 წელს კომერციული ბანკების ლიკვიდური აქტივებისა და მთლიანი აქტივების საშუალო კოეფიციენტი იყო 29,06%, 2009 წლის საშუალო მაჩვენებელი კი გაუტოლდა 26,61%-ს. რაც შეეხება 2010 წელს, შესაბამისი კოეფიციენტი ბანკებისთვის შეადგენდა 26,33%-ს (იხილეთ გრაფიკი №3).

**გარდვევის ანალიზი (გეპი).** საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა რისკის მართვა ბანკის რენტაბულობაზე საბაზო საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი მერყეობის უარყოფითი გავლენის მინიმიზაციაში მდგომარეობს. განსახილველი რისკის სახეობის განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ზემოქმედება შეიძლება ბანკისათვის გამოდგეს როგორც უარყოფითი, ისე პოზიტიური მნიშვნელობისა.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა რისკისადმი მიღრეკილების გაზომვის საკვანძო მეთოდი უკავშირდება იმ მეთოდიკის გამოყენებას, რომელსაც გარდვევის ანალიზი ეწოდება.

გარდვევის ანალიზის საწყის პუნქტად გვევლინება მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა რისკის განსაზღვრის პორიზონტალური დაგეგმვა. მაგალითისათვის, მენეჯმენტმა შეიძლება შეაფასოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებათა რისკის გავლენა პერსპექტივაში ერთი კვარტალის ან მხრივ ერთი თვის მანძილზე. დაგეგმვის პორიზონტით უშუალოდ ხდება გარდვევის შეფასება.

აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი გვიჩვენებს, თუ რამდენად ლიკვიდურია ბანკი. ანალიზის პროცესის გარდვევის მეორე ნაბიჯად გვევლინება ბანკის აქტივებისა და პასივების დაყოფა ორ ფართო კატეგორიად:

- აქტივები / პასივები, რომლებიც მგრძნობიარება საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მიმართ (სგცმა/სგცმპ);
- აქტივები / პასივები, რომლებიც არამგრძნობიარება საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მიმართ.

პირველებს განეკუთვნება ის აქტივები და პასივები, რომელთა შემოსავლიანობაზე გასაანალიზებელი პერიოდის მანძილზე უშუალოდ ახდენს გავლენას საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

საპროცენტო განაკვეთების მიმართ მგრძნობიარე აქტივები და პასივები მოიცავს ისეთ აქტივებსა და პასივებს, რომლებიც გადაფასებული იქნება საანალიზო პერიოდის მანძილზე.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მგრძნობიარე პასივებს მიეკუთვნება:

- ანაბრები (დეპოზიტები), რომელთა დაფარვის სახელშეკრულებო ვადა იწურება;
- ცვალებადი საპროცენტო განაკვეთიანი ანაბრები;
- ბანკთაშორისი კრედიტები, რომლებიც საანალიზო პერიოდში იქნება დაბრუნებული.

ხოლო, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მგრძნობიარე ქტივებს მიეკუთვნება:

- კრედიტები, რომელთა დაფარვის სახელშეკრულებო ვადა იწურება;
- კრედიტები მცურავი საპროცენტო განაკვეთით.

სხვა სიტყვებით, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი მგრძნობიარე აქტივებსა და პასივებს განეკუთვნება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ყველა აქტივი და პასივი, აგრეთვე ზოგი იმათგანი, რომლებიც საანალიზო პერიოდში იფარება. გრძელვადიანი კრედიტები და დეპოზიტები ხვდება საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობისაკენ მიდრექილი აქტივების რიცხვში, მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი განაღდების ვადა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის პორიზონტალურ დაგეგმვას უახლოვდება.

გარდვევის ანალიზის მესამე ნაბიჯი მდგომარეობს უშუალოდ მის რაოდენობრივ განსაზღვრებაში საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი მგრძნობიარე აქტივებიდან, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი მგრძნობიარე პასივების გამოქვითვის გზით. მიღებულ განსხვავებას ეწოდება გარდვევა ანუ გეპი (ინგლისური gap — გარდვევა).

**გარდვევა = სგმა – სგმპ,**

სადაც, საპროცენტო განაკვეთების მგრძნობიარე აქტივები და საპროცენტო განაკვეთების მგრძნობიარე პასივები შესაბამისად, ის აქტივები/პასივებია, რომლებიც მგრძნობიარე იყო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისადმი დროის საანალიზო პერიოდში.

თუ საპროცენტო განაკვეთების მიმართ მგრძნობიარე აქტივების მოცულობა მეტია, ვიდრე პასივების მოცულობა, საქმე გვაქვს დადებით გარდვევასთან, საპირისპირო შემთხვევაში კი – უარყოფით გარდვევასთან.

ბანკები, ტრადიციულად, თავის პროდუქციაზე ფასწარმოქმნის პროცესებს გარღვევის სამართავად იყენებენ. მაგალითად, თუ ბანკს აქვს დადებითი გარღვევა დროის გარკვეულ პერიოდში, აქტივებისა და პასივების მმართველ კომიტეტს შეუძლია კლიენტების სტიმულირება – მათ თანხა მიიღონ მცურავი საპროცენტო განაკვეთით და დაუდგინდეთ იმაზე უფრო ხელსაყრელი პროცენტები, რაც დროის იმავე პერიოდში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში ექნებოდათ. ანალოგიურად შეიძლება მივუდგეთ საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც უნდა ემყარებოდეს: 1. კრედიტების გაცემას მცურავი საპროცენტო განაკვეთით; 2. დაკრედიტების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას; 3. კრედიტების დაფარვის მოქნილ გრაფიკს.

ზემოაღნიშნულის შედეგად, გარღვევა მცირდება, მაგრამ პრაქტიკაში აღნიშნული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია. განვითარებული და სტაბილური ბაზრის პირობებში ეს განპირობებულია, პირველ რიგში, კონკურენციით და იმის მიხედვით, თუ რომელ საბანკო პროდუქტს აირჩევენ კლიენტები. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს არჩევანი არ დაემთხვევს რისკის კონტროლის იმ სახეობას, რომელსაც ბანკი ირჩევს. იგივე ფაქტორები მოქმედებს გარდამავალ ეკონომიკაში და, შესაბამისად, ბანკებისათვის, რომელთა საქმიანობაც საბაზრო ურთიერთობის და დრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს, საგრძნობლად იზღუდება მანევრირების შესაძლებლობები რიგ მომსახურებებზე რეალური გადახდისუნარიანობის გამო, ხოლო ზოგიერთი ოპერაცია პრინციპულად მიუღებელია.

მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ გრძელვადიანი დაკრედიტება. მისი განხორციელების შესაძლებლობები შეზღუდულია, ერთი მხრივ, ეფექტურად და კარგად დამუშავებული საინვესტიციო პროგრამების უქონლობის გამო, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია რეალური სექტორის დრმა კრიზისით, ხოლო, მეორე მხრივ, ბანკების მანევრირებით, რასაც ისინი გრძელვადიანი დაბანდებების მიმართ ახორციელებენ, და ამით მათ ზღუდავენ როგორც პოლიტიკური რისკის თვალსაზრისით, ისე დაბანდებული სახსრების გრძელი ვადით.

მსგავს სიტუაციაში მოხვედრის შემთხვევაში, დასავლეთში გამოიყენება საპროცენტო ფიქტერსები და ოპციონები, ასევე გარღვევის შემცირების არატრადიციული მეთოდები, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია საპროცენტო სვოპები, რომლებიც დასავლეთ ევროპაში პირველად 1981 წელს დაინერგა, ხოლო დღეისათვის ამ ოპერაციების მოცულობა 3 ტრილიონ დოლარს აჭარბებს. პროცენ-

ტული სვოპის პირობებში ორი ფირმა ცდილობს, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკის საწინააღმდეგოდ შეცვალონ პოზიცია. ისინი ერთმანეთში ცვლიან პროცენტების გადახდის ვალდებულებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საპროცენტო სვოპის პირობებში რეალურად არავითარი გაცვლა ფინანსური აქტივებისა/პასივებისა არ ხდება. გარიგების საგანია მხოლოდ შემოსავლის გადახდის ფორმის ცვლილება, მაგალითად, ერთი მხარე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მაგივრად იხდის ფიქსირებადი განაკვეთით და პირიქით.

ა) პირველი გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ ერთ მხარეს აქვს გრძელვადიანი აქტივები, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, რომელთა ფიქსირებაც ხდება მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე მოკლევადიანი ვალდებულებებით (უარყოფითი გარდვევა);

ბ) არსებობს სხვა ფირმა, რომელსაც აქვს მოკლევადიანი დაბანდება მცურავი საპროცენტო განაკვეთით და რომლის დაფინანსება ხდება გრძელვადიანი წყაროების მეშვეობით. ეს უკანასკნელი მიღებულია ფიქსირებული პროცენტით. (დადებითი გარდვევა).

ორივე მხარე ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკს, მაგრამ მოცემული რისკის პროფილი განსხვავებული აქვთ: პირველი იღებს შემოსავალს საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, მეორე კი განიცდის ზარალს, მაგრამ თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, მაშინ ისინი ადგილებს იცვლიან.

მოცემული რისკის პროფილის მქონე ორივე ფირმას საპროცენტო გადასახადების ურთიერთგაცვლა ურთიერთსარგებლის საშუალებას აძლევს – გარდვევა შეუმცირდება როგორც ერთ, ასევე მეორე ფირმასაც.

### **ანგარიშგება აქციონერთა კაპიტალის მდგომარეობის შესახებ**

კომერციული ბანკის კაპიტალი მრავალ ფუნქციას ასრულებს, რომელთაგან ხასგასმით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე:

- ბუღალტრული თვალსაზრისით, კაპიტალი ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას წარმოადგენს. ამრიგად, კაპიტალი კრედიტორთა ინტერესების დაცვის უმთავრეს გარანტია. აქტივების ღირებულების შემცირებისას კაპიტალი პოტენციური ზარალის დაფარვის რეზერვი ხდება და აქედან გამომდინარე, ის თავისი არსით ასრულებს

ბუფერის როლს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. სწორედ კაპიტალი აძლევს საშუალებას ბანკს, გაუთვალისწინებელი დიდი დანაკარგების არსებობის პირობებში განაგრძოს თავისი საქმიანობა და გადაჭრას მის წინაშე მდგარი ფინანსური პროცედური;

- კაპიტალი ორგანიზაციის (იქნება ეს ბანკი თუ სხვა არასაფინანსო საწარმო) შექმნისა და ფუნქციონირების თავდაპირველი დაფინანსების წყაროა. კომერციული ბანკის საქმიანობის საწყის ეტაპზე სწორედ კაპიტალის ხარჯზე იძენენ ბანკისათვის აუცილებელ შენობას, მოწყობილობებს, ქირაობენ პერსონალს და აფინანსებენ ყველა იმ ხარჯს, რომლებიც დეპოზიტების მოზიდვისა და საბანკო საქმიანობის დაწყებისათვისაა აუცილებელი;
- კაპიტალი ის წყაროა, რომლის ხარჯზეც ფინანსდება ახალი საბანკო პროდუქტების შემუშავება და მომხმარებლისათვის მიწოდება. ამიტომ, რაც უფრო დიდია ბანკის კაპიტალი, მით უფრო მეტ საშუალებას ფლობს ბანკი, უკეთესი პროდუქტები და მომსახურების ფართო სპექტრი შესთავაზოს მომხმარებელს. კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კაპიტალის სიდიდე;
- კაპიტალი, მისი სიდიდე, კრედიტორების ნდობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ნდობა, თავის მხრივ, ბანკის არსებობის და ფუნქციონირების აუცილებელი ატრიბუტია;
- და ბოლოს, კაპიტალი ბანკის მომავალი ზრდის რეგულატორია, სწორედ კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს ბანკის აქტივების, მისი ოპერაციების მომავალ ზრდას. ნებისმიერ ბანკს ჯერ ბაზარი და შემდგომ მარეგულირებელი ორგანოები კარნახობენ კაპიტალსა და აქტივებს შორის აუცილებელი თანაფარდობის დაცვის ლოგიკას. ბანკი, რომელიც სწრაფად აფართოებს თავისი კრედიტებისა და დეპოზიტების მოცულობას, დებულობს სიგნალს ბაზრიდან ან მარეგულირებელი ორგანოებიდან, რომ შეანელონ ზრდა ან მოიზიდონ დამატებითი კაპიტალი.<sup>69</sup>

ბანკის საკუთარი სახსრების სტრუქტურა არაერთგვაროვანია თვისებრივი შედგენილობის მიხედვით და იგი იცვლება წლის განმავლობაში.

<sup>69</sup> თუთბერიძე გ. „კომერციული ბანკის კაპიტალის საქმარისობის საკითხისათვის“: „ბანკი“. სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი №1 2000 წ. თბილისი. გვ. 18.

**საკუთარი სახსრების სიდიდეზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:**

1. აქტივების ხარისხი;
2. საკუთარი მოგების გამოყენების მიმართულებები;
3. ბანკის კაპიტალის ბაზის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გატარებული პოლიტიკა.

### **კაპიტალის საკმარისობა (ადეკვატურობა)**

საქართველოში კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი.

ტერმინი „საკმარისობა“ (ადეკვატურობა) განსაზღვრავს ბანკის საიმედოობას იმ დაცვის წყალობით, რომელსაც საკუთარი კაპიტალი დაუპირისპირებს საგანგებო ხარჯებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის 1998 წლის 3 დეკემბრის №118 ბრძანების „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების წესის შესახებ“ თანახმად, ბანკის „მთლიანი (საკუთარი) კაპიტალი“ ორი კომპონენტისაგან შედგება: „პირველადი კაპიტალი“ და „მეორადი კაპიტალი“.

### **პირველადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:**

1. ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
2. არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
3. აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
4. სარეზერვო ფონდი, რომელიც შექმნილია წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან;
5. წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).

### **პირველადი კაპიტალის დაქვითვა მოიცავს ორ ელემენტს:**

1. ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ფიქსირებული აქტივების გადაფასება;
2. არამატერიალური აქტივები, გუდვილი.

ბანკის მეორადი კაპიტალი (ბანკის საზედამხედველო კაპიტალის დამატებითი წყარო) შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1. მიმდინარე წლის წმინდა მოგება (ზარალი);
2. მიზნობრივი ფონდები;
3. საერთო რეზერვები, არაუმეტეს საკრედიტო და საბაზო რისკის მიხედვით შეწონილი 1,25%-ის ოდენობისა;
4. პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით, გარდა პირველად კაპიტალში ასახული არაუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციებისა;
5. ბანკის აქციებში კონვერტირებადი ვალი, იმ პირობით, თუ იგი სრულიად აკმაყოფილებს სუბორდინირებული ვალის შინაარსს; ასეთი ვალის ბანკის აქციებში კონვერსიის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებით;
6. სუბორდინირებული ვალი, მიღებული მინიმუმ 5 წლით სარგებლობის ვადით და ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ვალის 20%-ით შემცირებული ოდენობით, იმ პირობით, თუ სუბორდინირებული ვალი მიღებულია ყოველგვარი უზრუნველყოფისა და გამოყენების შეზღუდვების გარეშე და რომელიმე მხარის მიერ ასეთი სუბორდინირებული ვალის პირობების შეცვლა და/ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში; და თუ ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებაში.

მოცემული კაპიტალის გაანგარიშება მაქსიმალურად ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ბაზელის 1988 წლის ივლისის შეთანხმებას (იხ. Международная конвенгерция оценки капитала и стандартов капитала. июль. 1988 г.).

არსებობს ბანკის კაპიტალის აღეკატურობის განმსაზღვრელი კაპიტალის კოეფიციენტები: პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი.

1. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, რომლის მიხედვითაც

ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8%-ისა;

2. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, რომლის მიხედვით ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12%-სა.

საქართველოში მოქმედი ბანკისათვის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა დგინდება ბანკის ნორმატიული აქტით.

ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამისაგან და უდრის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამს გამოკლებული საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა. საზედამხედველო კაპიტალი თავისი შინაარსით წარმოადგენს კაპიტალის სახეობას, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების /ზარალის განეიტრალებისა და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილებისათვის.<sup>70</sup>

**საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:**

1. ინვესტიციები საქართველოს რეზიდენტი ბანკების საწესდებო კაპიტალში;
2. არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალში.

საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში აიღება მასში შემავალი კომპონენტები მოლიანი ლირებულებით, გარდა პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვის კომპონენტებისა, რომლებიც აიღება წმინდა დირებულებით.

ბანკის პირველადი კაპიტალი არის ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ძირითადი წყარო და უდრის პირველადი კაპიტალის შემადგენელი კომპონენტების თანხობრივ ჯამს, გამოკლებული პირველადი კაპიტალის დაქვითვის კომპონენტების თანხობრივი ჯამი.

რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გამოიყენება ბანკის კაპიტალის აღმასატურობის განსაზღვრისათვის, რაც მოიცავს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილ აქტივებს.

<sup>70</sup> ბერიძე რ. „ბანკის საკუთარი კაპიტალი”, „საბანკო მენეჯმენტი”. გამომცემლობა „უნივერსალი”. თბილისი. 2009 წ. გვ. 266.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, „საპიტალი“ წარმოადგენს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას; ანუ ბუღალტრულად გაანგარიშებული კაპიტალის დირებულება ხშირად არ ემთხვევა კაპიტალის საბაზო დირებულებას. კაპიტალის საბაზო დირებულება უდრის გამოშვებული აქციების მიმდინარე საკურსო დირებულება გამრავლებული აქციების რაოდენობაზე.<sup>71</sup>

კაპიტალის სიდიდეს უფრო ზუსტად ასახავს საბაზო დირებულება. ჩვენს შემთხვევაში მისი გამოყენება შეუძლებელია, რადგანაც განუვითარებელია საფინანსო ბაზარი და, აქედან გამომდინარე, საქართველოს საფინანსო ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკები მოკლებული არიან იმ შესაძლებლობას, რომ ფართოდ განათავსონ საკუთარი აქტივები მეორად ბაზარზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული ბანკების კაპიტალიზაციის შეფასებისას გამოიყენება ბუღალტრული გაანგარიშების მეთოდი.

ბანკებისათვის აუცილებელი კაპიტალის მოცულობის განსაზღვრა საბანკო საქმის თეორიაში დღემდე სადაცო საკითხია. ისმება კითხვა: ვინ უნდა დაადგინოს ბანკისათვის კაპიტალის სტანდარტები – ბაზარმა თუ მარეგულირებელმა ორგანოებმა? როგორია საბანკო კაპიტალის საქმარისი მოცულობა?<sup>72</sup>

მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კომერციული ბანკების მიერ კაპიტალის სტრუქტურისა და მოცულობის არჩევისას ძირითად როლს ასრულებს არა მარეგულირებელი ორგანოები, არამედ ბაზარი. საბანკო კაპიტალის სიდიდის რეგულირების ძირითადი მოტივებია:

- ბანკის გაკოტრების რისკის შეზღუდვა;
- ბანკების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნება.

განვითარებული ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში ძირითად მნიშვნელობას საბანკო სისტემის რეგულირებისას კაპიტალის საქმარისობის დადგენილი სტანდარტების დაცვას ანიჭებენ. კომერციულ ბანკებში დიდი მოცულობითაა თავმოყრილი როგორც ფიზიკური, ასევე სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის დროებით თავისუფალი სახსრები, რომელთა დაცვა ბაზარს სულაც არ აინტერესებს და ეს არც არის მისი ფუნქცია. მეორე მხრივ, ბანკების გადახდისუნარობამ შეიძლება გამოიწვიოს საბანკო კრიზისი, რომელსაც

<sup>71</sup> Питер Р. С. "Банковский менеджмент". Пер. с. англ. со 2-ого изд.-М.: Дело, 1997. Москва с. 452.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 453.

შესაძლოა, მოჰყვეს მეტად სავალალო შედეგები, როგორც ეპონომიკური სუბიექტებისათვის, ასევე მთლიანად სახალხო მეურნეობისათვის. ამ შემთხვევაშიც ბაზარს არც ცალკეული ბანკის ინტერესები აწუხებს და ის არც არის მოწოდებული ამისთვის. და ბოლოს, მესამე მხრივ, ბაზარი ვერ მიიღებს დროულად და სრულად იმ ინფორმაციას, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, დაედგინა ამა თუ იმ ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობა. ეს სამი ზემოაღნიშნული მიზეზი განაპირობებს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების აუცილებლობას, რის ძირითადი ელემენტია კაპიტალის საკმარისობის სტანდარტების დადგენა.<sup>73</sup>

### ბაზელის შეთანხმებები კაპიტალთან დაკავშირებით

როგორც პირველი, ასევე მეორე დონის კაპიტალი პირველად იქნა განმარტებული კაპიტალის შესახებ ბაზელის I შეთანხმებაში, ხოლო ბაზელის II შეთანხმებაში განმარტებების რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

ფინანსური გარემოს სტაბილურობისა და სიძლიერის გაზრდის მიზნით 1974 წელს 10 ქვეყნის ოფიციალური პირის მიერ შეიქმნა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი.

1988 წელს გამოქვეყნდა „ბაზელი I“ და 1992 წელს ძალაში შევიდა კანონის საფუძველზე, რომელიც მიიღეს „ათიანის ჯგუფის ქვეყნებმა“ 8%-იანი კაპიტალიზაციის კოეფიციენტის მოთხოვნით, „ბაზელი I“-ის მიზანი საერთაშორისო საბანკო სისტემის გამყარება და სტაბილურობის გაზრდა იყო. შემდგომ, 1999 წლის ივნისში, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა კაპიტალის აღეკვატურობის ახალი მოთხოვნები და სტრუქტურა შეიმუშავა. ასეთი ქმედება მიმართული იყო 1988 წლის შეთანხმების შეცვლისკენ. ახალი დოკუმენტი შეთანხმება „ბაზელი II“-ის სახელითაა ცნობილი.

განსხვავებით „ბაზელი I“-ისგან, რომელიც შედგება ერთი ნაწილისაგან და, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს მინიმალური კაპიტალის ოდენობაზე, შეთანხმება „ბაზელი II“ (გამოქვეყნდა 2004 წლის ივნისში) გამოიცა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომისიის მიერ (BCBS). BCBS-ის საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკის სამდივნო მდებარეობს ბაზელში (შვეიცარია) და კომიტეტის სხდომებიც აქვე იმართება. „ბაზელი II“ მოიცავს ორ დამატებით

<sup>73</sup> თუთბერიძე გ. „კომერციული ბანკის კაპიტალის საქმარისობის საკითხისათვის“. „ბანკი“. სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი №1. 2000 წ. თბილისი. გვ. 20.

ნაწილს და ჯამში სამი ძირითადი იდეის მატარებელია: მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები, ზედამხედველობა და საბაზო დისციპლინა. „ბაზელი I“-ისგან განსხვავებით, „ბაზელი II“-ის კაპიტალის ახალი მოთხოვნები არის უფრო მეტად მგრძნობიარე პორტფელის რისკების მიმართ. უნდა ითქვას ისიც, რომ ახალი შეთანხმება არის მეტად კომპლექსური და თავდაპირველად იგი გათვალისწინებული იყო განვითარებული ქვეყნების საბანკო სექტორისათვის, თუმცა „ბაზელი II“ დანერგილ იქნება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც, რაც შედარებით დიდ სირთულეებთან ასოცირდება, რადგან განვითარებად ქვეყნებში არსებული პრობლემები, დაკავშირებული ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა გამჭვირვალობა, კანონთან შესაბამისობა, რეგულირება, წინააღმდეგობაში მოდის „ბაზელი II“-ის საფუძვლებთან<sup>74</sup>.

„ბაზელი I“-ისგან განსხვავებით, „ბაზელი II“ არ არის შეზღუდული მხოლოდ საკრედიტო და საბაზო რისკებით; „ბაზელი II“ ითვალისწინებს ასევე საოპერაციო რისკსაც და განსაზღვრავს მას, როგორც მოსალოდნელი ზარალის რისკს, რომელიც, შესაძლოა, გამოწვეულ იქნას არაადეკვატური თუ არასწორად წარმართული შიდა პროცესების, მენეჯმენტისა და სისტემის, ასევე გარე ფაქტორების გავლენის შედეგად. ახალი შეთანხმების მთავარი სიახლე კი საოპერაციო რისკის გაზომვის სამი ძირითადი მეთოდია. პირველი – ეს არის საბაზისო ინდიკატორების მეთოდი, რომელიც კაპიტალს ზომავს, როგორც მოელი შემოსავლის 15%-ს. მეორე – სტანდარტული მიდგომა, რომელიც ადგენს მოელი შემოსავლის ზომას საქმიანობების მიხედვით და შემდგომ აჯამებს მათ. მესამე მეთოდი – ეს არის განვითარებული შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს საკუთარი რისკის შეფასების იდენტიფიცირების ტექნიკის დანერგვას.

ბაზელის ახალი მოთხოვნებით რეგულატორებს ევალებათ ბანკების ობიექტური მონიტორინგი. ზედამხედველობის ეს პროცესი შედგება რამდენიმე ძირითადი პრინციპისგან. მაგალითად, ზედამხედველებს ევალებათ ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი. ის თავის თავში მოიცავს ისეთ რისკებს, როგორიცაა რეპუტაციის, ლიკვიდურობის, საბაზო, საკრედიტო თუ საპროცენტო განაკვეთების რისკები. 2007 წლიდან საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი მოელოდა ახალი რეგულირების დანერგვას დაახლოებით 100 ქვეყანაში, გარკვეული სატრანზიტო პერიოდის გათვალისწინებით. ამავე დროს,

<sup>74</sup> Takang Felix Achou, Ntui Claudine Tenguh: "Bank Performance and Credit Risk Management". UNIVERSITY OF SKOVDE. p.13.

ბევრი განვითარებადი ქვეყნის საბანკო სექტორმაც გამოთქვა სურვილი, მათ ბანკებშიც მომხდარიყო კომიტეტის ახალი რეკომენდაციების ადაპტაცია. ერთ-ერთ ასეთ მოხალისე ქვეყანას წარმოადგენს საქართველო. საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლობამ 2008 წელს გამოთქვა სურვილი, უახლოეს მომავალში საქართველოშიც განხორციელდეს აღნიშნული პროცესი. მიუხედავად ახალი მოთხოვნების/რეკომენდაციების კომპლექსურობისა, ბანკებს აქვთ მრავალი მიზეზი, მისი გათვალისწინების სურვილი გამოთქვან. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ „ბაზელი II“ იქნება ხელშემწყობი ფინანსური და საოპერაციო რისკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა არსებობაც დამახასიათებელია სწრაფად მზარდი საბანკო სექტორისათვის.

მეორე მხრივ, ადსანიშნავია შემდეგი გარემოება: თუკი საერთაშორისო ბანკი, რომელიც ითვალისწინებს „ბაზელი II“-ის მოთხოვნებს და გადაწყვეტს განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე შესვლას, სადაც საბანკო სისტემა აწყობილია „ბაზელი I“-ის მოთხოვნებზე, მოსალოდნელია, მოხდეს ეწ. რეგულირების კონფლიქტი (Regulatory Clash). ეს კონფლიქტი აუცილებლად იქნება არაეფექტური, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბანკებისათვის. ეფექტურობის დაკარგვამ კი შესაძლოა, ადგილობრივი საბანკო სისტემის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ სურთ განვითარებად ქვეყნებს ახალი რეკომენდაციების გათვალისწინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ბაზელი II“-ის დანერგვა განვითარებად ქვეყნებში წარმოადგენს ხელსაყრელ პირობას როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში ოპერირებადი ბანკების პერსპექტივისათვის<sup>75</sup>.

**2010 წლის დეკემბერში კომიტეტმა მიიღო ახალი შეთანხმება „ბაზელი III“.** 2012 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა კაპიტალის ადეკვატურობის განახლებული დებულებები, რომელიც ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ბაზელი II“-ისა და „ბაზელი III“-ის დოკუმენტებს. განახლებული მიდგომა უფრო მეტადაა მორგებული კომერციული ბანკების რისკის პროფილზე. შესაბამისად, უფრო მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში ჩართულ კომერციულ ბანკებს მკაცრი ზედამხედველობა მოქმედდება.

<sup>75</sup> Bryan J. Balin The Johns Hopkins University School of Advanced International Studies (SAIS), Washington DC20036, USA.

კაპიტალის ადეკვატურობის განახლებული ჩარჩო შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან:

- „საყრდენი 1“-ის სტანდარტიზებული მიღება, რომელიც გულისხმობს სტანდარტიზებული ფორმულით კომერციული ბანკების მიერ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებას;
- „საყრდენი 2“, რომლის ფარგლებში კომერციული ბანკი, საკუთარი რისკის პროფილის გათვალისწინებით, აკეთებს თავისთვის მატერიალური რისკების იდენტიფიცირებასა და ითვლის საჭირო კაპიტალის ოდენობას. „შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი“ ფასდება „საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის“ ფარგლებში;
- „საყრდენი 3“, რომელიც არეგულირებს კომერციული ბანკების მიერ რისკების შესახებ მნიშვნელოვანი რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ინფორმაციის გამჭვირვალობის წესებს.

„ბაზელი II/III“-ის „საყრდენი 1“-ის ფარგლებში კომერციული ბანკების მიერ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება მრავალი მიმართულებით ცვლის არსებულ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს. შეიძლება აღინიშნოს შემდეგი ცვლილებები:

- მნიშვნელოვნად იცვლება განმარტება კაპიტალის ინსტრუმენტებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნას საზედამხედველო კაპიტალის ნაწილად. თუ არსებული ჩარჩოს ფარგლებში საზედამხედველო კაპიტალში ჩართვისათვის უურადღება ექცეოდა ინსტრუმენტის ბუღალტრულ დასახელებას, განახლებულ „ბაზელი III“-ზე დაფუძნებული პრინციპი გულისხმობს ინსტრუმენტების შეფასებას კონკრეტული საერთო კრიტერიუმების მიხედვით. მათ შეიძლება მიეკუთვნებოდეს ვადიანობასთან, სუბორდინაციასთან, დივიდენდების გადახდის ვალდებულებასთან, გამოთხოვნის პირობებთან, საპროცენტო განაკვეთის მატებასთან დაკავშირებული და სხვა კრიტერიუმები;
- რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშებისათვის შესაძლებელი ხდება აღიარებული სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული რეიტინგების გამოყენება;

- სხვადასხვა პრუდენციული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება საცალო და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების 75% და 35% რისკის წონებით შეწონა;
- კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალი მოეთხოვებათ საოპერაციო რისკისათვის (არსებული დებულებისაგან განსხვავებით);
- კომერციულ ბანკებს შეეძლებათ საკრედიტო რისკის მიტიგაციის გათვალისწინება რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშების მიზნით.

ბაზელის ჩარჩოთი გათვალისწინებული მოთხოვნებისაგან განსხვავებით, პრუდენციული მიზნებისათვის ძალაში რჩება გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული საკრედიტო რისკისათვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა „საყრდენი 1-ის“ ფარგლებში, თუმცა განახლებული დებულებით უფრო კონკრეტულად განისაზღვრა, თუ რომელ აქტივებზე ვრცელდება ასეთი რისკი და არსებულ დებულებისთან შედარებით რიგი სესხები ასეთი რისკის მიხედვით შეწონას აღარ დაექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკების მიერ შიდა კაპიტალის შეფასების პროცესი ადეკვატურად გაითვალისწინებს მოცემულ და სხვა რისკებს, სებ-ი მომავალში „საყრდენი 1“-ის მოთხოვნებში მოცემული რისკის კატეგორიის მიმართ მოთხოვნებს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.

„საყრდენი 2“-ის მოთხოვნების შესაბამისად, კომერციული ბანკები ვალდებული იქნებიან, დაითვალონ დამატებით კაპიტალი („საყრდენი 1“-ით გათვალისწინებულის ზემოთ), რომელიც საჭიროა ზარალის დაფარვისთვის მათი ბანკისათვის მნიშვნელოვანი რისკების პოტენციური მატერიალიზაციის შემთხვევაში. ასეთ დამატებით რისკებს შესაძლებელია, მიეკუთვნებოდეს კონცეტრაციის, რეპუტაციის, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა რისკები. ასეთი რისკების დათვლისთვის კომერციული ბანკების მიერ გამოყენებული მეთოდები დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს სებ-ისთვის. მათ შეფასებას სებ-ი ახორციელებს „ბაზელ II/III“-ით განსაზღვრული „საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის“ ფარგლებში. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, იქნება სებ-ის რისკების შეფასების საერთო სისტემის ნაწილი. სებ-ის მხრიდან მონიტორინგს დაექვემდებარება კომერციული ბანკების რისკებისა და მათი გაანგარიშების

პროცესი, რომელზე დაყრდნობითაც გამოიანგარიშება თითოეული ბანკისთვის საჭირო ინდივიდუალური კაპიტალის მოთხოვნა.

„საყრდენი 3“-ის ფარგლებში კომერციული ბანკები ვალდებული იქნებიან, საჯარო გახადონ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მნიშვნელოვანი რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ინფორმაცია მათი რისკების შესახებ.

საყურადღებოა, რომ საქართველოში კაპიტალის როგორც ოდენობა, ასევე ხარისხი ახალ ჩარჩოზე გადასვლისთვის სავსებით საკმარისია. ასევე მნიშვნელოვანია კონტრიკლური ბუფერის პრაქტიკული გამოყენების მხრივ უკვე არსებული გამოცდილება, რაც ბოლო წლებში სავალუტო რისკის ცვლილებებში გამოიხატა. ამავე მიმართულებით, არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების პორტფელი სადღეისოდ, პრაქტიკულად, არ არსებობს. ამასთან, „საყრდენი 2“-ის სრულყოფილი დანერგვა საკმაოდ მნიშვნელოვან სამუშაოებთან იქნება დაკავშირებული როგორც ბანკების, ასევე საბანკო ზედამხედველობის მხრივ.

სებ-ი კომერციული ბანკებისაგან გარდამავალ ეტაპზე მოითხოვს კაპიტალის აღეპვატურობის როგორც არსებულ, ასევე განახლებულ დებულებასთან შესაბამისობას. სადღეისოდ არსებული გუგმით, 2013 წელს კომერციულმა ბანკებმა უნდა დაიცვან განახლებული და არსებული დებულების მოთხოვნებით განსაზღვრული კაპიტალის აღეპვატურობის კოეფიციენტები სრულად, 2014 წელს – არსებულის 95%, 2015 წელს – 90%, ხოლო 2016 წელს – შესაბამისად, 80%.<sup>76</sup>

„ბაზელი III“-ის მიერ რეკომენდებული ლიკვიდობის მართვის ჩარჩო – ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტები (Liquidity Coverage Ratio – LCR) – ამჟამად საქართველოში დანერგვის პროცესშია. ის ითვალისწინებს ბანკის ლიკვიდობასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ვალდებულებების ვადიანობა, კონცენტრაცია (მათ შორის არარზიდენტების ჭრილში), ლიკვიდური აქტივების ხარისხი, აქტივების ლიკვიდურად გარდაქმნის შესაძლებლობა, დეპოზიტების ვადაზე ადრე დარღვევის შესაძლებლობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ „ბაზელ III“-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი საკმაოდ კონსერვატულ მიდგომად ითვლება, ქართული ბანკებისთვის მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან, არსებული კანონმდებლობით, ისინი აკმაყოფილებენ ლიკვიდობის კოეფიციენტს, რაც მთლიანობაში, LCR-ზე ბევრად

<sup>76</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. „ბაპიტალის აღეპვატურობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება“. წლიური ანგარიში. 2012 წ. გვ. 65-66.

უფრო კონსერვატულია. ამასთან, კაპიტალის ადეკვატურობის არსებული ჩარჩოს მსგავსად, ცალკე აღებული მხოლოდ არსებული კოეფიციენტი ვერ უზრუნველყოფს ლიკვიდობის უფრო ზუსტ და, შესაბამისად, ეფექტიან მართვას.<sup>77</sup>

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბაზელი III“ ბევრი ბანკისთვის ევოლუცია უფროა, ვიდრე რევოლუცია, რომელიც შემუშავებულ იქნა არსებული „ბაზელი II“-ის შეთანხმების ჩარჩოებში და, რაც მთავარია, ბანკებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სხვაობას წარმოადგენს ლიკვიდურობის, Leverage ratios-ისა და გაზრდილი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა.

**ცხრილი №9** შეთანხმება „ბაზელი III“: შეთანხმება „ბაზელი II“-ის გაუმჯობესება

	ბაზელი II		ბაზელი III
„საყრდენი 1“	მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა	„საყრდენი 1“	გაზრდილი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა და ლიკვიდურობის მოთხოვნა
„საყრდენი 2“	ზედამხედველობის პროცესი	„საყრდენი 2“	ზედამხედველობის გაუმჯობესების პროცესი
„საყრდენი 3“	გამჭდარება და საბაზრო დისკიპლინა	„საყრდენი 3“	გამჭდარება და საბაზრო დისკიპლინა

წყარო: Figure 1 Basel iii: An enhancement of Basel ii

„ბაზელი III“-ის შეთანხმების ეფექტური განხორციელება მარეგულირებლებს, მომხმარებლებსა და აქციონერებს დაუმტკიცებს, რომ ბანკები წარმატებით უმკლავდებიან 2008 წლის გლობალურ საბანკო კრიზისს. მისი სწრაფი განხორციელება ასევე ხელს შეუწყობს ბანკების კონკურენტუნარიანობას, რაც საშუალებას მისცემს მათ, ისარგებლონ მომავალი შესაძლებლობების უპირატესობით.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაზელი III“-ის შეთანხმება იქნება მხოლოდ ევოლუციური ნაბიჯი მრავალი ორგანიზაციისთვის, „ბაზელი III“-ის შეთანხმების გავლენა საბანკო სექტორზე არ უნდა შეფასდეს არასათანადოდ, ვინაიდან ეს იქნება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა გაცნობიერება და მოგვარებაც აუცილებელია. თითოეული ბანკისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი იქნება „ბაზელი III“-ის შეთანხმების განხორციელებისთვის ყველაზე რენტაბულური მოდელის შემუშავება<sup>78</sup>.

<sup>77</sup> იქმა, გვ. 77.

<sup>78</sup> MOODY'S ANALYTICS „Implementing Basel III: Challenges, Options & Opportunities“ WHITE PAPER SEPTEMBER. 2011. p.3.

„ბაზელი III“-ის შეთანხმება ცვლის მეთოდს, რომლითაც ბანკები აგვარებენ რისკებისა და ფინანსების მართვის საკითხეს. ახალი რეგიმი ცდილობს ფინანსებისა და რისკის მართვის ფუნქციების უფრო ფართო მაშტაბებით ინტეგრაციას. „ბაზელი III“-ის შეთანხმებისთვის დამახასიათებელია რისკის მართვაზე ახალი აქცენტის გაკეთება, რაც მოითხოვს რისკის მართვის სტრუქტურის წარმოდგენას ან განვითარებას. ეს კი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსების მართვის არსებული ინფრასტრუქტურა.

სხვადასხვა ქვეყანა და რეგიონი აწყდება სხვადასხვა გამოწვევას „ბაზელი III“-ის შეთანხმების გამოყენებისას. ევროკავშირი თანამიმდევრული იყო საერთაშორისო ანგარიშების ბანკის რეგულაციების მიღებისას და, შესაბამისად, იმედოვნებს, რომ უმტკიგნეულოდ გადავა „ბაზელი II“-დან „ბაზელი III“-ზე. ევროკავშირი გეგმავს ერთიანი წესების გავრცელებას ევროპის მაშტაბით, „მოძროვების“ (Gold plating) შესუსტებას და თამაშის ერთიანი წესების არსებობას, მარეგულირებელი არბიტრაჟის შესაძლებლობების გაუქმებას.

ზოგიერთმა ქვეყანამ, შესაძლოა, აირჩიოს სუფთა ფურცლიდან დაწყება და სხვა წესების სრული კომპლექტის შესრულება. სხვებმა შეიძლება, უბრალოდ, უპირატესობა მიანიჭონ შეთანხმება „ბაზელი III“-ის გამოყენებას სრული პაკეტის სარგებლობის გარეშე. მაგალითად, რუსეთმა განაცხადა, რომ 2015 წლიდან საკრედიტო რისკების გამოთვლის სტანდარტიზებული მიღვომიდან გადავა შიდა რეიტინგებზე (IRB) (International ratings-based approach) დაფუძნებულ მიღვომაზე. შეა აზის ზოგი ქვეყანა ამჟამად არის IRB მოდელისკენ მიმავალ გზაზე.

ზოგიერთ ქვეყანას შესაძლოა, პქონდეს სხვა მარეგულირებელი მემკვიდრეობა, რაც გარკვეულ შემთხვევებში გულისხმობს ზოგიერთი ეროვნული წესის შეცვლას შეთანხმება „ბაზელი III“-ით, თუმცა შეიძლება საჭირო იყოს მათი პარალელურ რეჟიმში განხორციელება. ზოგიერთმა, შესაძლოა, შეთანხმება „ბაზელი III“-ის მოთხოვნები საკუთარი შეხედულებისამებრ აითვისოს, მოთხოვნების „მოძროვების“ (Gold plating), თუ იგი მიიჩნევს, რომ შეთანხმება „ბაზელი III“ არ აკმაყოფილებს კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებს. ამან, შესაძლოა, შექმნას იდიოსინკრეზული მოთხოვნები და პროცესები, რაც მოგვარებული უნდა იყოს განხორციელების პროცესში<sup>79</sup>.

<sup>79</sup> ოქმ- გვ- 4.

**ცხრილი №10** სხვადასხვა ქვეყანა საბანკო რეგულირების სხვადასხვა ეტაპზეა  
(ინფორმაცია 2011 წლის მონაცემებით).

		<b>შეთანხმება „ბაზელი II/III“-ის განხორციელების პერიოდი</b>
<b>ჩრდილოეთი ამერიკა</b>	აშშ, კანადა და მექსიკა	ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი III“-ს 2013 წელს.
<b>ევროპა</b>	ევროპაგშირი	ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი III“-ს 2013 წელს, CDR 4-ის შესაბამისად.
<b>რუსეთი</b>		ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი II“-ის IRB-ს 2015 წელს.
<b>ლათინური ამერიკა</b>	ბრაზილია	ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი III“-ს 2013 წელს და სხვა სახელმწიფოები მუშაობენ შეთანხმება „ბაზელი II/III“-ის განხორციელებისთვის საკუთარი გრაფიკის შესაბამისად.
<b>აფრიკა</b>	სამხრეთი აფრიკა	ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი III“-ს 2013 წელს. სხვა სახელმწიფოები ახორციელებენ შეთანხმება „ბაზელი II/III“-ს საკუთარი გრაფიკის შესაბამისად.
<b>იაპონია</b>		ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი III“-ს 2013 წელს.
<b>სამხრეთ- აღმოსავლეთი აზია</b>	სინგაპური და მალაიზია	ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი III“-ს 2013 წელს. სხვა სახელმწიფოები მიიღებენ შეთანხმება „ბაზელი II/III“-ს მოგვიანებით.

<b>ავსტრალია და ახალი ზელანდია</b>		ახორციელებს შეთანხმება „ბაზელი III“-ს 2013 წელს.
--	--	---

**წესრიგი:** Different countries are at different stages in banking regulations. information correct September 2011.

ეს გლობალური კომპლექსურობა წარმოშობს დამატებით სირთულეებს, რადგან ბანკებს დასჭირდებათ სხვადასხვა რეგულაციის განხორციელება სხვადასხვა იურისდიქციის ფარგლებში; ბანკი ვალდებული იქნება ანგარიშგებაზე შეთანხმება „ბაზელი II“-ის შესაბამისად ერთ ქვეყანაში, და შეთანხმება „ბაზელი III“-ის შესაბამისად – მეორეში, მიუხედავად ბანკის ადგილმდებარეობისა.

კიდევ ერთი მულტინაციონალური სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ბევრი მარეგულირებელი მოითხოვს ასევე ანგარიშების მიწოდებას შეთანხმება „ბაზელი II“-ის შესაბამისად, საკრედიტო რისკის გამოთვლისათვის სტანდარტული მოდელის გამოყენებით. ეს საშუალებას აძლევს მარეგულირებლებს, იქონიონ თანამიმდევრული სტრუქტურა მათ მიერ მართული ყველა ბანკის შედარებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რას გამოიყენებს თავად ბანკი საერთაშორისო რეიტინგზე დაფუძნებულ მიდგომას, (IRB-International Ratings-based Approach) თუ სტანდარტულ მოდელს. ევროპაში ბანკებისათვის, რომლებიც გამოიყენებენ IRB-ს, მარეგულირებლები ითხოვენ, რომ „ბაზელი II“-ის ზღვარი უნდა იყოს გამოთვლების დაახლოებით 80-90% უფრო დირებული სტანდარტული მიდგომის გამოყენებით. აშშ-ში ზღვარი არის 100%.

ეს, ფაქტობრივად, შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბანკებს უხდებათ, უზრუნველყონ შეთანხმება „ბაზელი I, II და III“-ის მიქსთან შესაბამისობა, მათი საქმიანობის წარმოების ადგილისა და ადგილობრივი მარეგულირებლების მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშებში ასახული უნდა იყოს თანამიმდევრული გზავნილი, მარეგულირებლისა და ბაზრის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით.

ფრაგმენტულ მონაცემთა მოდელის მქონე ორგანიზაციებს დაეკისრებათ დამატებითი და ზედნადები ხარჯები იმ ორგანიზაციებთან შედარებით, რომლებსაც აქვთ უფრო ცენტრალიზებული მიდგომა შეთანხმება „ბაზელი I, II და III“-ის შესაბამისად ანგარიშების შედგენის, კონსოლიდაციისა და მიწოდებისადმი.

ეს მრავალმხრივი სურათი საჭიროებს ყურადღებით განხილვას ბანკისა და შეთანხმება „ბაზელი III“-ის პრინციპების ბანკთან მიმართებით გამოყენებისას და გადაწყვეტილების მიღების დროს.<sup>80</sup>

შეთანხმება „ბაზელი III“-ის კომპლექსურობა და მოთხოვნები და საბანკო სამყაროს კომერციული მოთხოვნები მოითხოვს შეთანხმება „ბაზელი III“-ის მოქნილ მენეჯერულ გადაწყვეტილებას, რაც უზრუნველყოფს სისწრაფეს, სიზუსტეს და განხორციელებას კონკურენტუნარიანი უპირატესობის მისაღებად. ბანკებს, რომლებიც იღებენ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, ექნებათ არა მხოლოდ იღეალური პლატფორმა შეთანხმება „ბაზელი III“-ის განსახორციელებლად, არამედ ასევე მყარი საფუძველი თავიანთი მომავალი კომერციული განვითარებისათვის<sup>81</sup>.

### **2.1.1. საქართველოს კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებათა გამოკვლევა**

კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტი არის ფულადი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პროცესის მართვა. ის მჭიდრო კავშირშია ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ მენეჯმენტთან, რაც გულისხმობს ბანკის ქვედანაყოფების მართვას, მათ ურთიერთქმედებას საბანკო მოღვაწეობის სხავადსხვა დონეზე, მათ შორის ბანკის პერსონალის მართვა. ფინანსური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათის პრობლემებთან ერთად კომერციულ ბანკში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური მენეჯმენტის უზრუნველყოფის საინფორმაციო და ლოგიკურ-ანალიტიკური ხასიათის პრობლემებს, აგრეთვე კომერციული ბანკის, როგორც სამეურნეო სუბიექტის მოღვაწეობის, მასში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების და საორგანიზაციო სტრუქტურების ოპტიმიზაციას. ეს უკანასკნელი მიეკუთვნება სისტემური ანალიზის პრობლემებს.

კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის მიზნები და ამოცანებია განსაზღვრონ ოპტიმალური საორგანიზაციო სტრუქტურების და ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური სისტემების მოქმედების რეჟიმის მოწყობის მეთოდოლოგიური საფუძვლები და რაციონალური მოთხოვნები, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ, როგორც კომერციული ბანკის ფინანსური ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას, აგრეთვე მის მდგრადობას მოცემული პარამეტრების პირობებში – ბანკის ფინანსური მოღვაწეობის დაგეგმვა, ფულადი

<sup>80</sup> იქმა, გვ. 5.

<sup>81</sup> იქმა, გვ. 9.

სახსრების მოზიდვისა და განთავსების პროცესების მართვა. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ამოცანებში არ შედის საბანკო მოღვაწეობის შემდეგი მიმართულებები:

- ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება;
- სავალუტო რეგულირება;
- საბანკო სამართალი;
- ეკონომიკური ნორმატივების მართვა, მათ შორის სავალდებულო რეზერვების და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება.

ეს იმით არის განპირობებული, რომ ზემოთხამოთვლილი საკითხები წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შემოღებულ დირექტიულ ნორმებს და ისინი არ ექვემდებარებიან ბანკის შიდა და გარე რეზერვების გამოყენებით მართვას. ფინანსური მენეჯმენტის მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელია განვსაზღვროთ კომერციული ბანკის ქვედანაყოფების ძირითადი ფუნქციები. ამ ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. სტრატეგიული დაგეგმვა – პერსპექტიული ფინანსური ამოცანების განსაზღვრა და ეფექტური მოქმედების პროგრამის შემუშავება, რომლებიც გამიზნებულია ამ ამოცანების შესრულებაზე. ამოცანას ამ შემთხვევაში წარმოადგენს გარკვეულ პირობებში მოღვაწეობის მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას ამ პირობების გარდაქმნის გზით დამტკიცებული პროცედურის თანახმად.
2. მოდელირება – მეთოდების, ტექნოლოგიების და ინსტრუმენტალური საშუალებების ერთობლიობათა გამოყენება ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელსაც ხელმწიფება დაარწმუნოს უმაღლესი მენეჯმენტი წარმოდგენილი პროექტების ეფექტურობასა და შეთავაზებული მოქმედების მიზანშეწონილობაში, აგრეთვე მართვის ობიექტის მიმდინარე და საპროგნოზო მდგომარეობის შეფასებაში. მოდელი-მატერიალური ობიექტი, რომელიც წარმოადგენს განსახილვები თბიექტის სტრუქტურას ან ფუნქციონირების იმიტაციას.
3. ოპერატორული დაგეგმვა – მიმდინარე ფინანსური ამოცანების გადაწყვეტის რაციონალური მეთოდების განსაზღვრა ბანკის პერსპექტიული ფინანსური მიზნების მიღწევის აუცილებლობის გათვალისწინებით.
4. მონიტორინგი – მართვის ობიექტის და გარემო პირობების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრება.

5. დიაგნოსტირება – ობიექტის დამახასიათებელი პარამეტრების მიმდინარე მნივნელობათა შესაბამისობის შეფასება.
6. მართვის მიზანი – მართვის ობიექტის საიმედოობის უზრუნველყოფა.

აქედან გამომდინარეობს კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის საგნობრივი არე – საბანკო პროდუქტების შექმნა. ფინანსური მენეჯმენტის საგნობრივი არეს შემდგომი იდენტიფიკაციის მიზნით განვიხილოთ მცნება „საბანკო ოპერაცია“ და მისი კავშირი მცნებებთან „საბანკო პროდუქტი“ და „საბანკო მომსახურება“.<sup>82</sup>

საბანკო პროდუქტი – ბანკის კლიენტურაზე მომსახურების გაწევის საშუალება; მომსახურების გაწევის პროცესში ბანკის თანამშრომელთა ურთიერთობის რეგლამენტი ბანკის კლიენტებთან, ანუ ურთიერთდაკავშირებულ ორგანიზაციულ, საინფორმაციო, ფინანსურ და იურიდიულ დონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტის მომსახურების ერთიანი ტექნოლოგიით.

საბანკო მომსახურება – ბანკის კლიენტის მოთხოვნათა (საკრედიტო, საკასო, საგადასახადო, საგარანტიო, ფასიანი ქაღალდების და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის და სხვა) დაკმაყოფილების ფორმა.

საბანკო პროდუქტების ხაზი – ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული მომსახურებათა სპექტრი.

მარტივი პროდუქტი – პროდუქტი, რომლის რეალიზაცია ხორციელდება ბანკის ერთი ქვედანაყოფის მიერ კლიენტისათვის ერთი მომსახურების გაწევის მეშვეობით.

რთული პროდუქტი – პროდუქტი, რომლის რეალიზაციაში ჩართულია ბანკის რამოდენიმე ქვედანაყოფი ხანგრძლივი დროის მანძილზე კლიენტისათვის კომპლექსური მომსახურების გაწევის მეშვეობით.

საბანკო პროდუქტების სპექტრის განვითარებაში იგულისხმება საბანკო პროდუქტების რაოდენობის ზრდის შემდეგი მექანიზმი:

- ა) ახალ საბანკო პროდუქტებში კლიენტების მოთხოვნათა შესწავლა;
- ბ) ამოცანის დამუშავება ახალი პროდუქტების შექმნის მიზნით, რომლის რეალიზაციაც უზრუნველყოფს საჭირო მომსახურების გაწევას;

---

1. Балабанов И.Т. Основы финансового менеджмента: Учеб. пособие. - М.: Финансы и статистика, 2000.

- (3) საჭირო მომსახურების გაწევის რეგლამენტის შემუშავება;
- (დ) მომსახურების გაწევის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფის მეთოდიკის დამუშავება;
- (ე) მომსახურების გაწევის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების დამუშავება;
- (ვ) საჭირო მომსახურების გაწევის ღირებულების დადგენის საკითხების დამუშავება;
- (გ) მომსახურების გაწევის და პროდუქტის შემქმნელი პერსონალის მატერიალური სტიმულირების საკითხების დამუშავება.

მიზნობრიობის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ოპერაციათა შემდეგი კლასი:

1. პასიური ოპერაციები – საბანკო მომსახურებათა გაწევის მიზნით ფულადი რესურსების აკუმულირება;
2. აქტიური ოპერაციები – საკუთარი და მოზიდული სახსრების გამოყენება მიმდინარე და სამომავლო შემოსავლების მიღების მიზნით;
3. საშუალო ტრანზაქტები – კლიენტების მომსახურება საკომისიო ანაზღაურების საფუძველზე.

განვიხილოთ დეტალურად საგნობრივი სექტორის სტრუქტურა “ბანკის საშუალო ტრანზაქტები”. ამ მიზნით ვიყენებთ ახალ განმარტებას “საბანკო ტრიადა”, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად.

საბანკო ტრიადა – სამი მიღგომის ერთობლიობა “პროდუქტი-ოპერაცია-მომსახურება”.

პროდუქტი – რეგლამენტი დაწესებული კლიენტის მომსახურებისათვის საჭირო ოპერაციების ჩასატარებლად.

ოპერაცია – მოქმედებათა მოწესრიგებული ერთობლიობა კლიენტის შეკვეთილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მომსახურება – კლიენტის მომსახურების შედეგი (ოპერაციათა განხორციელება).

სირთულის ხარისხის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ “საბანკო ტრიადა” შემდეგი სამი სახეობა: ელემენტარული, კიმბინირებული, ინტეგრირებული. “საბანკო ტრიადის” მცნების შემოღების მიზანშეწონილობა მიზნად ისახავს მისი მეშვეობით დაზუსტდეს შემდეგი მცნების შინაარსი “კლიენტთა მომსახურების

საბანკო ტექნოლოგია”. შესაბამისობის დადგენის სქემა მცნებებს შორის “კლიენტთა მომსახურების საბანკო ტექნოლოგია” და “საბანკო ტრიადა” შემდეგია:  
 $\text{ტექნოლოგია} = (\text{მასალა} + \text{ინსტრუმენტი} + \text{მოქმედებათა ნაკრები}) \rightarrow \text{მოთხოვნის დაკმაყოფილება}$ .

კლიენტთა მომსახურების საბანკო ტექნოლოგია = (კლიენტთა მოთხოვნები + პროდუქტები + ოპერაციები)  $\rightarrow$  მომსახურებები = საბანკო ტრიადა + მის ელემენტებს შორის კავშირი.

დადგენილი შესაბამისობა იძლევა კლიენტთა მომსახურების საბანკო ტექნოლოგიების კლასიფიცირების საშუალებას საბანკო ტრიადების მსგავსად – ელემენტარული, კომბინირებული და ინტეგრირებული. კლიენტთა მომსახურების პროცესების რეინჯირინგის ობიექტს წარმოადგენს კომბინირებული და ინტეგრირებული კლიენტთა მომსახურების საბანკო ტექნოლოგიები. კლიენტთა მომსახურების პროცესების რეინჯირინგის მოდვაწეობის საგანს წარმოადგენს კლიენტთა მომსახურების ინდივიდუალური ინტეგრირებული საბანკო ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა.<sup>83</sup>

კლიენტთან მუშაობა ფორმალურად შეიძლება აღიწეროს ბანკის თანამშრომელთა კლიენტთან ურთიერთქმედების შემდეგი თანმიმდევრობით.

1. კლიენტის ინფორმირება ბანკის მომსახურეობების შესახებ.
2. მომსახურებათა შეძენის წესის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე კლენტის კონსულტირება.
3. კლიენტის მომსახურების პირობების და სისტემის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.
4. კლიენტის მომსახურების რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საბუთების მომზადება ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ დასამტკიცებლად.
5. კლიენტის მომსახურება და მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი.
6. წინადადებების მომზადება შემდგომი კალენდარული წლისათვის შეთანხმების დასადებად.

ამჟამად ცნობილია კლიენტთან მუშაობის ორი სისტემა:

---

2. Ширинская Е. Б. Операции коммерческих банков и зарубежный опыт – М.: Финансы и статистика, 2005

1. სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ფუნქციებზე და რომელიც იყენებს შრომის დანაწილების პრინციპს;
2. სისტემა, რომელიც ორიენტირებულია პროცესზე და რომელიც იყენებს ცალკეული ოპერაციების ინტეგრირების პრინციპს კლინტის მომსახურების ინტეგრირებულ ტექნოლოგიაში.

ვინაიდან პირველი სისტემა ეფექტურია საშუალო და წვრილი კლიენტების, აგრეთვე, ცალკეული ფუნქციონალური მომსახურეობების მოთხოვნების მქონე კლიენტების მომსახურებისას, ხოლო მეორე სისტემა ეფექტურია მსხვილი კლიენტების მომსახურეობისას, რომლებიც საჭიროებენ კომპლექსურ ურთიერთდაკავშირებულ საბანკო მომსახურეობებს შესაბამისად თანამედროვე ბანკები იყენებენ მათ ერთიან კომპლექსში. აქედან გამომდინარე, ფინანსური მენეჯმენტის შემდგომი საგნობრივი არე, პროდუქტთა რიგის შექმნა არა მარტო პასუხობს კომერციული ბანკის მოთხოვნებს მისი კომერციული და ფუნქციონალური მდგრადობის მართვის თვალსაზრისით, არამედ უზრუნველყოფს მართვის ობიექტის საიმედოობას, კლიენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილების კვალდაკვალ. აქედან გამომდინარეობს ნებისმიერი კომერციული ბანკის ძირითადი კონცეფცია: საიმედო კლიენტი – საიმედო ბანკი.<sup>84</sup>

### **პროგნოზირება, როგორც მმართველობითი გადაწყვეტილებების მხარდაჭერის ძირითადი ინსტრუმენტი**

ფინანსური დაგეგმვა (ბიუჯეტის შედგენა) წარმოადგენს ცალკეული ინიციატივების ინტეგრირების ინსტრუმენტს ბანკის ერთიანი ფინანსური მოდელის ჩარჩოებში. ფინანსური დაგეგმვის პროცესის მიზანს წარმოადგენს ბანკის განვითარების გეგმის დასაბუთება და მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემის სხვადასხვა პერსპექტივების განსაზღვრული მიზნების შეთანხმება. დასაბუთების ქვეშ იგულისხმება:

- ბანკის მოღვაწეობის ფინანსური წყაროების განსაზღვრა და მათი გადანაწილება დაგეგმილი მიმართულებებით;

---

3. "Банковское дело" Под ред. О.Лаврушина., М. 1993.

- გეგმიური ალტერნატივების შეფასება ბანკის დაგეგმილი მიმდინარე უდანაკარგო მოღვაწეობის კუთხით და საბანკო ოპერაციების გრძელვადიანი ეფექტურობის კუთხით;
- გეგმების შეთანხმება ბანკის ყველა ტიპის რესურსის (შრომითი, მატერიალური, არამატერიალური, საინფორმაციო) და ფინანსური პოტენციალის გამოყენების მიზნით;
- განსახილვები გეგმიური ალტერნატივების და რისკების დაფარვის წყაროების რისკების შეფასება, ამ დაფარვის წყაროების გადანაწილება რისკების წარმოქმნის წერტილების მიხედვით;
- ბანკის ინოვაციური პროექტების დასაბუთება, მათი თვითგამოსყიდვის ვალების განსაზღვრა;
- ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგი ბიზნეს-რისკების და მათი წარმოქმნის წერტილების გამოვლენის მიზნით.

ამასთან გეგმიური ალტერნატივა შეიძლება არჩეულ იქნას მაშინ თუ გეგმის დასაბუთების ყველა ეტაპზე მიღებულია დადებითი შედეგები. ფინანსური დაგეგმვის პროცესში უნდა იყოს შეთანხმებული მიმდინარე და სამომავლო გეგმები. თუმცა ამასთან გეგმების იერარქია არ უნდა გახდეს ურყევი კონსტრუქცია. სტრატეგია მოითხოვს მუდმივ ადაპტაციას გარემო პირობებისადმი და ამგვარად თავისი ფინანსური დასაბუთების განახლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ძირითადი მოთხოვნები ფინანსური დაგეგმვის ტექნოლოგიებთან.

- დაგეგმვის პროცესის საფუძველში უნდა იდოს საიმიტაციო მოდელი, რომელიც ბანკის დაგეგმილი ოპერაციების და გარიგებების მონაცემებს გარდაქმნის ბიუჯეტურ მაჩვენებლებად;
- სისტემაზე უნდა უზრუნველყოს საწყისი მონაცემების განაწილებული შეუვანა მოდელისათვის ბანკის სხვადასხვა ქვედანაყოფებში, რამეთუ მის საფუძველს ბანკის თანამშრომელთა მოტივირებული განსჯები წარმოადგენს;
- მოტივირებული შეფასებები, რომელთა საფუძველზე ფორმირდება გეგმა, უნდა ინახებოდეს შემდგომი გეგმიური ანალიზისათვის;
- დაგეგმვის ყველა ობიექტს უნდა გააჩნდეს ერთიანი დინამიური აღწერა ფულადი ნაკადების დისკონტირების ტექნიკის გამოყენების.<sup>85</sup>

4. Кондратова И.Г. Основы управленческого учета, М.: Финансы и статистика, 1998 и др.

## **ფინანსური მართვის მეთოდები და ინსტრუმენტები**

ფინანსური მართვის პროცესში მისი სუბიექტები ახდენენ სისტემურ ზემოქმედებას ობიექტების მდგომარეობაზე, იყენებენ რა შემდეგ ინსტრუმენტებს:

- მმართველობით აღრიცხვას;
- პერსპექტიულ დაგეგმვას;
- ოპერატიულ დაგეგმვას;
- რისკების მართვას.

ფინანსური დაგეგმვის ყველა ინსტრუმენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება მმართველობით აღრიცხვას, რადგან მასში დაგროვილი პირველადი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებებისა და პროგნოზების აგებისთვის გამოიყენება ფინანსური აღრიცხვის ყველა დანარჩენ პროცესში.

გარდა ამისა, მმართველობითი აღრიცხვა განსაზღვრავს მმართველობითი აღრიცხვის ანალიტიკური გაზომვის სისტემების იერარქიულ სტრუქტურას, რომლის ფარგლებშიც იგება ყველა დაგეგმილი და ოპერატიული ანგარიშგება და ასევე რისკების ანგარიშგებები.

პერსპექტიული და ოპერატიული დაგეგმვა და რისკების მართვა, ასევე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ინფორმაციულად და მეთოდოლოგიურად. ფინანსური მართვის პროცესში გამოიყენება ზოგადი და სპეციფიკური მეთოდები. ზოგად მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ბანკის ფინანსური მოდელის აგებულება და საბიუჯეტო ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპებს მმართველობითი აღრიცხვის ზოგადი მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ჩვეულებრივ აღწერილ არიან ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაში მმართველობითი აღრიცხვის მიზნებში და ასევე ბანკში რისკების შეფასების მეთოდოლოგიაში;
- საბიუჯეტო მაჩვენებლების სტრუქტურისა და ალგორითმების განსაზღვრა;
- ფინანსური მართვის ობიექტების იერარქიული სტრუქტურის განსაზღვრა. მოცემული იერარქია გამოიყენება იმ ფაქტორების თანმიმდევრული გახსნისთვის, რომლებიც განსაზღვრავენ კონსოლიდირებული ბიუჯეტის მაჩვენებლების ჩამოყალიბებას და რომლებიც მოცემულნი არიან მმართველობითი აღრიცხვის მეთოდოლოგიით.

- ბანკის მოდელის აგება, რომლის მიზანს წარმოადგენს პირველადი და წარმოებული მმართველობითი ინფორმაციის სტრუქტურის განსაზღვრა. მმართველობითი ანგარიშგებების აგებისთვის საბაზისო პირველად მონაცემებს წარმოადგენს ინფორმაცია ბანკის ხელშეკრულებებისა და გარიგებების შესახებ, რომელიც წარმოდგენილია უნიფიცირებულ ფორმატში, ხოლო საბაზისო წარმოებულ ინფორმაციას – ბიუჯეტების (საანგარიშგებო, გეგმიური, საპროგნოზო) იერარქია;
- პირველადი მმართველობითი ინფორმაციის შეგროვებისა და შენახვის წესის რეგლამენტაცია;
- ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესის რეგლამენტაცია;
- პერსონალის და ბანკის ხელმძღვანელობისთვის სამოტივაციო სისტემების პრინციპებისა და კონკრეტული მდგომარეობების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული სუბიექტებისა და მთლიანობაში ბანკის მიზნების შეთანხმებას.

სპეციფიკური მეთოდები გამოიყენებიან მმართველობითი ანგარიშგებებისა და განსხვავებული ტიპის ფინანსური მაჩვენებლების გასაანგარიშებლად. მათ მიეკუთვნებიან:

- ტრანსფერულტული ფასწარმოქმნის მეთოდები;
- ბანკის ხარჯების ალოკაციის მეთოდები;
- ფუნქიონალურ-დირექტულებითი ანალიზის მეთოდები;
- საგადასახადო პოზიციის (ლიკვიდურობის) პროგნოზირების მეთოდები;
- სცენარული ფინანსური მოდელირების მეთოდოლოგია, რომელიც შემუშავებულია ბანკის ფინანსური მოდელის ბაზაზე ფინანსური დაგეგმვის მიზნებისთვის;
- გარე და შიდა ფინანსური პარამეტრების პროგნოზირების მეთოდები, რომლებიც გამოიყენებიან ფინანსური დაგეგმვის პროცესში;
- დელტა-ნორმალური მეთოდოლოგია და რისკების შეფასების სხვა პარამეტრული მოდელები;
- ისტორიული მოდელირების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება რისკების შეფასებისთვის;
- სტრატიგური ფინანსური მოდელირების მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გამოიყენება ბანკის რისკების შეფასებისთვის და რომელიც ეფუძნება სცენარული ფინანსური მოდელირების მეთოდოლოგიას და ა.შ.

მეთოდის კლასიფიცირება შემდეგი სახითაა შესაძლებელი:

- ფინანსური ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდები;
- საინფორმაციო მეთოდები;
- ადმინისტრაციული მეთოდები.

ამ მეთოდების, რომელებიც რეალიზებულნი არიან ერთიან ინფორმაციულ და მმართველობით კონტექსტში, ერთობლიობის განხილვა შეიძლება როგორც ფინანსური მართვის ტექნოლოგია.

### **ფინანსური მართვის ტექნოლოგიებისადმი თანამედროვე მოთხოვნები**

ფინანსური მართვის ტექნოლოგია – ეს არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მხარდაჭერას ფინანსური მენეჯენტის პროცესებში, რომელიც მოიცავს:

- საწყისი ინფორმაციის შეგროვებისა და შენახვის ორგანიზაციას, რომელიც აუცილებელია მართველობითი ანგარიშგებების მიღებისთვის;
- სტანდარტული და არასტანდარტული მმართველობით ანგარიშგებების თანამედროვე მომზადებას ბიუჯეტირების, ფინანსური ანალიზისა და ფინანსური რისკების დამტკიცებული მეთოდოლოგიების საფუძველზე;
- ერთიან საინფორმაციო პაკეტში (ესპ) მმართველობითი ანგარიშგებების შენახვის ორგანიზაციას და მათდამი ბანკის თანამშრომლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მათი თანამდებობრივი უფლებამოსილებების შესაბამისად;
- მმართველობითი ინფორმაციის მასივის მთლიანობისა და არაწინააღმდეგობრიობის მხარდაჭერას;

თანამედროვე პირობებში ტრადიციული მოთხოვნები, რომლებიც წაყენებულნი არის ფინანსური მართვის ტექნოლოგიებისადმი, არსებითად იცვლება:

- უპირველეს ყოვლისა, აქცენტი კეთდება არა წარსული პერიოდების ანგარიშგებების მიღებაზე, არამედ მომავალი შედეგების პროგნოზირებაზე;
- ამასთან მომავლის განუსაზღვრელობის გამო, როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი პროგნოზებისთვის გამოიყენება სცენარული მოდელირება;
- ბანკის საქმიანობის პროგნოზირება სულ უფრო მეტად ეფუძნება არა სტატისტიკურ მოდელებს, რომელიც სწრაფად ძევლდებიან გარე და შიდა გარემოს ცვალებადობის გამო, არამედ სპეციალისტების მოტივირებულ მოსაზრებებს. შესაბამისად, მოცემული მოტივირებული მსჯელობები

რეგულარულად უნდა იქნან შეყვანილნი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერის სისტემაში (შემდგომში მგმს) და უნდა ინახებოდნენ მასში;

- რადგან ბანკის მართვა სულ უფრო მეტი პრეროგატივა ხდება მისი ყველა თანამშრომლისთვის, რომლებიც ფლობენ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ამა თუ იმ ინფორმაციას, ერთი მხრივ, სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემების, რომლებიც წარმოდგნილნი არიან ბანკის ყველა ფინანსური უზრუნველყოფის ცენტრის (ЦФО –ს) მიერ, განაწილებულად შეყვანას, მეორე მხრივ კი – მმართველობითი ინფორმაციის ერთობლივად გამოყენებას იმ სამუშაო ადგილებში, სადაც ეს გათვალისწინებულია თანამდებობის პირების უფლებამოსილებებით;
- იმისთვის, რომ მმართველობითი ანგარიშგებების ოპერატიულად გამოყენება შესაძლებელი იყოს მართვის ყველა დონეზე მმართველობითი ქვედანაყოფების მონაწილეობის გარეშე, ფინანსური მართვის ტექნოლოგია უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებლის მოსახერხებელ ინტერფეისს, ვიზუალიზაციის საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მმართველობითი მონაცემების მრავალზომიერი ანალიზის შესაძლებლობას და რეჟიმს გარიგებების დონემდეც კი;
- გარდა ამისა, მმართველობითი ინფორმაციისადმი ოპერატიულობის მოთხოვნა იწვევს იტერაქტიული სისტემის შექმნის აუცილებლობას, რომელიც იძლევა ახალი მაჩვენებლების სწრაფად დაყენების საშუალებას მენეჯერების მოთხოვნის საფუძველზე პროგრამისტების მონაწილეობის გარეშე;
- ფინანსური მართვის ტექნოლოგიები ასევე უნდა უზრუნველყოფდნენ ისტორიული და საგეგმო მაჩვენებლების შეპირისპირებულობას; თუკი საადრიცხო პოლიტიკის წესები და ანგარიშგებების ფორმატები იცვლებიან, ისინი გამოყენებულ უნდა იქნან ძველი ინფორმაციის პრეზენტაციისთვის ახალი მოთხოვნების შესაბამისად;
- მმართველობითი ინფორმაციის კოლექტიური გამოყენების სიტუაციაში ჩნდება მომხმარებლების მხრიდან, რომლებიც აღჭურვილნი არიან სხვადასხვა უფლებამოსილებებით, მისი ხელმისაწვდომობის უფლებების განსაზღვრისა და კონტროლის აუცილებლობა. მოცემული ამოცანის გადაწყვეტისთვის აუცილებელია ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება;

- ფინანსური მართვის ყველა პროცესის ინტეგრაციის ამოცანები მოითხოვენ ერთიანი ლოგიკის და ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენებას და პროგნოზირებას მართვის სტრატეგიულ და ოპერაციულ პორიზონტებზე და ასევე ბანკის საქმიანობის ეფექტიანობისა და რისკების ანალიზის ჩატარებას. მოცემული მეთოდოლოგიის საფუძველი შეიძლება გახდნენ პრინციპები და სტანდარტები, რომლებიც გამოყენებულ იქნენ საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტული პირობებისადმი;
- ფინანსური მმართველობის მეთოდოლოგიის ერთიანობა, ასევე ვარაუდობს ბარიერების რღვევას სხვადასხვა მმართველობით ქვეგანყოფილებებს შორის და ერთიანი მგმელის შექმნას, რომელიც ანალიტიკოსებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ყველა მათთვის აუცილებელი ინსტრუმენტი. ლოკალური ტექნოლოგიების დრო, რომლითაც სარგებლობდა ერთი ქვეგანყოფილება, წავიდა. მართვის სხვადასხვა დონესა და სხვადასხვა პროცესებში გამოყენებულ მაჩვენებლთა შეთანხმება და ერთმნიშვნელოვნება უნდა უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური მართვის ტექნოლოგიით;
- ახალ პირობებში, რომლებიც მოითხოვენ ინფორმაციის მომზადებას on-line რეჟიმში, ანალიტიკოსთა საქმიანობის ყურადღება უნდა მახვილდებოდეს არა ინფორმაციის შეგროვებაზე, გაფილტვრასა და დაჯგუფებაზე, არამედ გადაწყვეტილებათა კონკრეტული პროექტების მომზადებაზე ერთობლივი საქმიანობისა და ბანკის ყველა მენეჯერისა და თანამშრომლისთვის დასკვნების პრეზენტაციის საფუძველზე, რომლებზეც დამოკიდებულია წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა. ამიტომ ფინანსური მართვის ტექნოლოგიები უნდა უზრუნველყოფილების მონაცემებისადმი სწრაფ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა წყაროებიდან და მათ სწრაფ აგრეგაციას.<sup>86</sup>

### **ფინანსური მენეჯმენტის პრობლემები კომერციულ ბანკში**

ახლანდელ დროში ხშირად გამოყენებად ცნებას “ფინანსური მენეჯმენტს” აქვს მრავალრიცხვოვანი განმარტებები. მაგრამ მთლიანობაში მკვლევარები ერთ აზრამდე მიღიან – რომ ფინანსური მენეჯმენტი - ეს არის ფულადი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ურთიერთობების მართვა.

5. Литвак Б.Г. Разработка управленческого решения: Учебник. - М.: Дело, 2000. - 392 с.

სამამულო ავტორების მიერ შემუშავებულია კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის პრობლემა გაცილებით ნაკლებ ხარისხში, ვიდრე ზოგადი ფინანსური მენეჯმენტი. მიზეზი მდგომარეობს კომერციული ბანკის, როგორც ფულადი ნაკადების მართვის შუამავლის, საქმიანობის სპეციფიკაში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ფულის ფუნქციების ერთობლიობა. ამ პრობლემის გაშუქებასთან, როგორც წესი, ავტორები მიღიან სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნებისა და ნორმატივების პოზიციებიდან, რომლებიც პასუხს აგებენ მთლიანობაში საბანკო სისტემის ლიკვიდურობაზე.

თავისი საქმიანობის პროცესში კომერციული ბანკი ძირითადად გამომდინარეობს მაკროეკონომიკური ფაქტორებიდან და კლიენტების მდგრადობიდან. ასეთი მიდგომა ყველაზე უფრო აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რადგან ეკონომიკურ ჯაჭვში პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) შექმნის პირველად რგოლს წარმოადენენ მატერიალური ფასულობების შემქმნელები. შესაბამისად, კომერციული ბანკიც პირველადია საბაზრო ეკონომიკისთვის, ხოლო ცენტრობანკი – საბანკო სისტემის ხელახლა გადაწყობის კონსტრუქტორია.

**საბანკო პროდუქტების და მომსახურებების თვითდირებულება და მათი ფორმირება**  
კომერციული ბანკი, იწყებს რა თავის საქმიანობას ფინანსური ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტში ან იღებს რა გადაწყვეტილებას შემდგომი გაფართოების შესახებ, დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ყველა დანახარჯი ანაზღაურდება და მოიტანს მოგებას. დანახარჯებისა და შედეგების თანაგაზომვა ბანკში ფინანსური მენეჯმენტის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს. მის გათვალისწინების გარეშე შეიძლება დაშვებულ იქნან გამოუსწორებელი შეცდომები ბანკის ეკონომიკური პოლიტიკის არჩევის, მნიშვნელოვანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დროს, საბანკო საქმიანობის სახის განსაზღვრისა და აქტიური და პასიური ოპერაციების ოპტიმალური მოცულობებისა და სტრუქტურის განსაზღვრისას და ასევე მომსახურების ტარიფების დადგენისას, რაც წარმოადგენს ბანკისთვის იმიჯის შექმნის მნიშვნელოვან ფაქტორს.

ერთი შეხედვით, ცხადია ბაზრის სუბიექტების, კერძოდ კი, ბანკების ეკონომიკური ქცევა, რომლის შესაბამისადაც ისინი ვალდებულნი არიან “გააკეთონ ეკონომია”. პრაქტიკულად ყველა ბანკში არიან რეზერვები დანახარჯების

შემცირებისთვის რაციონალურ დონემდე. ეს იძლევა არა მხოლოდ საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის საშუალებას, არამედ იძლევა კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების საშუალებასაც, ვინაიდან დანახარჯების შემცირება ბანკს საშუალებას აძლევს დაადგინოს უფრო დაბალი და მოქნილი ტარიფები, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს კონკურენტების წინაშე.

თუმცა, არის რიგი სრულებით ობიექტური ფაქტორებისა, რომელთა ზეგავლენით ბანკი ხშირად იძულებულია გაზარდოს დანახარჯები: ბანკის იმიჯის გამყარება, ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისების აუცილებლობა, მატერიალური და არამატერიალური ბაზის ფორმირება, მაღალკვალიფიციური, შესაბამისად კი მაღალანაზღაურებადი სპეციალისტების მოთხოვნის დაკმაყოფილება და ა.შ. შესაბამისად, ბანკის წინაშე დგას არა მხოლოდ მიმდინარე და მომავალი წარმოშობადი დანახარჯების დონის შემცირების ამოცანა, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათი ოპტიმიზაცია ბანკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების და ასევე საბანკო მომსახურების ბანკის მოთხოვნების ადექვატურად. მოცემული ამოცანა შეიძლება გადაწყვეტილი იყოს მხოლოდ დანახარჯების ეფექტიანი მართვის სისტემის საფუძველზე. მხოლოდ ასეთ მიღებას შეუძლია რეალურად ხელი შეუწყოს ბანკის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

დანახარჯებისადმი, როგორც ფინანსური მენეჯმენტის განსაკუთრებული ელემენტისადმი, სულ უფრო მზარდი ინტერესის პირობებში ჩნდება მათი განზოგადებისა და სისტემატიზირების მოთხოვნილება - თუ როგორ უნდა იმართებოდნენ დანახარჯები რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის კაპიტალის ფინანსური მდგრადობა; როგორი ხერხებითა და მეთოდებით არის შესაძლებელი ბანკის დანახარჯების ოპტიმიზირება. დანახარჯების მართვა წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის აუცილებელ ელემენტს, ვინაიდან იგი ასახავს ბიზნესის ფილოსოფიას მიუხადვად მისი ფუქნციონირების სფეროსი: უდიდესი მოგების მიღება უმცირესი დანახარჯების დროს.<sup>87</sup>

ძირითადი კონცეფციები - ფულადი რესურსების დროებითი ფასეულობაა, ფულადი ნაკადები, კაპიტალის ფასი დ სხვ., რომლებსაც ეფუძნება ფინანსური მენეჯმენტი და რომლებმაც ასახვა პპოვეს დასახელებული ავტორების

6. Белоглазова Г. Н. Кроливецкая Л. П. Банковское дело. СПб: «Питер», 2005

ნაშრომებში, გარაუდობენ ბრუნვაში ჩაშვებული კაპიტალისა და მიღებული მოგების მუდმივ თანაფარდობას. როგორც სამართლიანად აღნიშავენ ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება, არის რა სუბიექტური, აქვს სქოლასტიკური ბუნება, მისი ობიექტურობის ხარისხი კი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, კერძოდ კი სახსრების წყაროების ფასზე, მათი მიღების შესაძლებლობაზე, ფულადი ნაკადის პროგნოზირებადი დინამიკის სიზუსტეზე. თავის მხრივ, ყოველი დაფინანსების წყაროს, რომელიც განისაზღვრება საწარმოს მიერ, აქვს თავისი ფასი, ხოლო მისი მომსახურება ყოველ ცალკეულ საწარმოს სხვადასხვანაირად შეიძლება უჯდებოდეს.

გარკვეული აზრით დანახარჯებმა შეიძინეს საწარმოს კაპიტალის მართვის უმნიშვნელოვანების ელემენტის, ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგების საბაზისო ელემენტის და ბოლოს, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის უმნიშვნელოვანების მიმართულების სტატუსი. ამასთან ერთად, საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის საყოველლთაოდ აღიარებულ მიზანს, მისი საქმიანობის სფეროსა და მასშტაბების მიუხედავად, კონკურენტებთან ბრძოლაში ლიდერობასთან ერთად, საწარმოს “ფასის” მაქსიმიზაციასთან, წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობების ზრდასთან, მოგების მაქსიმიზაციასთან ერთად, წარმოადგენს ხარჯების მინიმიზაცია და საქმიანობის რენტაბელურობის უზრუნველყოფა.<sup>88</sup>

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმსახურებს ს.ა. კოტლიაროვის ნაშრომი “დანახარჯების მართვა”, რომელსაც ავტორი, დღეისთვის ერთ-ერთი მეცნიერთაგანი, სპეციალურ კვლევას უძღვნის საწარმოს დანახარჯების მართვის საკითხებს, საკმაოდ სრულად განიხილავს რა დანახარჯების მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ისტორიული განვითარებისა და დამყარების ასპექტებს. საწარმოს მართვის ეფექტიანობა მრავალ რამეში დამოკიდებულია მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე, საწარმოების განვითარების შესაძლო და მიზანშეწონილი ტემპების შეფასებაზე მათი ფინანსური უზრუნველყოფის პოზიციიდან გამომდინარე. ამასთან, დანახარჯების მართვა ერთს მხრივ შეიძლება გარაუდობდეს დანახარჯების რეგულირების ტრადიციულ სისტემებს (cost control system) – ღონისძიებათა კონკლექსს, რომლებიც არ დაუშვებენ დანახარჯების ზრდას, როდესაც შენარჩუნებულია სტატუს-ქვო, რომლის დროსაც საწარმოს,

7. Бланк И.А. Управление формированием капитала. - Киев.: Ника-Центр, 2000.

ახორციელებს რა საქმიანობის გარკვეულ სახეებს, არ აქვს განხილული დანახარჯების დაწყობილი სისტემა. მეორე მხრივ – დანახარჯების მრავალმხრივი მართვა (cost management) ვარაუდობს აქცენტის გაკვთვებას არა მხოლოდ ზრდის შეჩერებაზე, არამედ დანახარჯების შემცირებაზეც.

ცნება “დანახარჯები” საბანკო საქმეში ტრადიციულად უკავშირდება საბანკო მომსახურებების თვითდირებულებისა და ფასების ფორმირებას. მოცემული ცნების მნიშვნელობა თავისი არსით გენეტიკურად გამომდინარეობს დანახარჯების ზოგადი ცნებიდან. ჩვეულებრივ, დანახარჯებში გულიხმობენ “მოხმარებულ რესურსებსა და ფულს, რომლებიც უნდა გადახდილ იქნან საქონლისა და მომსახურებებისთვის”. ამასთან, ფინანსურ აღრიცხვაში ტერმინი “დანახარჯები” განისაზღვრება როგორც რესურსების რაოდენობის მაჩვენებელი ფულად გამოხატულებაში, რომელიც გამოყენებულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად. მმართველობით აღრიცხვაში ეს ტერმინი გამოიყენება საწარმოს კონკრეტული მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტაზე დამოკიდებულებით: ზოგი დანახარჯი გათვალისწინებულია მარაგების შეფასებისა და შემოსავლების დადგენისთვის, სხვები – დაგეგმვისთვის, ბიუჯეტის შედეგნისა და კონტროლისთვის.

ცნებების “დანახარჯები”, “ხარჯები”, “გასავალი” მიღიომების განსაღვრისადმი შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათი ბუნება ერთია, თუმცა ყოველ მათგანს აქვს საკუთარი ეკონომიკური შინაარსი. ასე, დანახარჯები (ტევადმარაგიანი და არატევადმარაგიანი) წარმოადგენენ რესურსებს, რომლებიც “ნადგურდებიან” ბანკის ფუნქციონირების პროცესში. ტევადმარაგიანი ბანკის დანახარჯები აისახებიან ბანკის აქტივების ანგარიშებში და ამცირებენ ბანკის კაპიტალს მათი ცვეთის ზომის მიხედვით. არატევადმარაგიანი ბანკის დანახარჯები წარმოადგენენ მის ხარჯებს (საოპერაციო და არასაოპერაციო), რომლებიც აისახებიან ფინანსური შედეგების აღრიცხვის ანგარიშებში და რომლებიც ამცირებენ ბანკის კაპიტალს დანახარჯების სრული მოცულობით. მათგან მოგების ლოდინი მათი შესრულების პერიოდს მიღმა არ ღირს.

დანახარჯების ასეთი დაყოფას ტევადმარაგიან დანახარჯებად და ხარჯებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ბანკისა და მისი ქვედანაყოფების მუშაობის შედეგების შეფასებისა და ანალიზისთვის და ასევე პროდუქტებისა და მომსახურებების თვითდირებულების განსაზღვისათვის. ბანკის დანახარჯების ანალიზი მათი მომავალი კომპენსაციის თვალსაზრისით, იძლევა რესურსების

გამოყენების მიზნის მკაფიოდ წარმოდგენის საშუალებას, რადგან წარმოებული დანახარჯები რაიმე სახის კომპენსაციის გარეშე დანაკარგებს მიეკუთვნებიან და ამცირებენ ბანკის კაპიტალს კვლავწარმოების იმედის გარეშე. თუ კომპენსაცია თავად დანახარჯების დონეზე დაბალია, მაშინ სხვაობა წარმოადგენს ზარალს და იძლევა რესურსების არაეფექტურიანად გამოყენების შესახებ სიგნალს.

დანახარჯების ცნებების კვლევა და მათი დაყოფას ტევადმარაგიან დანახარჯებად, ხარჯებად და გასავლად, მათი არსის ახსნას, აქვთ პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი ადგილი საბანკო ოპერაციების, პროდუქტებისა და მომსახურებების თვითდირებულების განსაზღვრისას და ასევე საბანკო დანახარჯების ანალიზისა და დაგეგმვისას. საბანკო პროდუქტის, მომსახურების თვითდირებულების ქვეშ ეკონომიკურ დიტერატურაში გულისხმობენ ფულად ფორმაში გამოხატულ ბანკის დანახარჯებს პროდუქტისა ან მომსახურების შექმნასა და რეალიზაციაზე. თუმცა, ადგნიშნოთ, რომ ზოგადი ცნებას “თვითდირებულებასა” და “ბანკის თვითდირებულება”-ს შორის არის სხვაობა. საბანკო პროდუქტების განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მათი არამატერიალური ფულადი ხასიათი. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი საქონლის თვითდირებულებაში მატერიალური დანახარჯების ღირებულება მთლიანად შედის. საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მატერიალურ დანახარჯებს წარმოადგენენ მოზიდული სახსრები. ამასთან, ბანკი ითვლის მხოლოდ საკუთარ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სახსრების მოზიდვასთან, რომლებიც შემდეგომში განლაგებისთვის გამოიყენებიან. როგორც ცნობილია, კომერციული ბანკები კლიენტებს გადასცემენ არა საკუთრებას, არამედ დროებით სარგებლობას. დანარჩენი მატერიალური რესურსები, ფულადი რესურსების გარდა, მთლიანად შედიან საბანკო პროდუქტის ღირებულებაში (ამორტიზაცია, ქაღალდი, დისკენტები და სხვ.). არსებითად, კონომიკურ დიტერატურაში საბანკო პროდუქტების და მომსახურებების თვითდირებულება, წარამოადგენს საბანკო ოპერაციების შიდა ღირებულებას, რაც მას ერთ რიგში აყენებს ისეთ ცნებებან ერთად, როგორებიც არიან ოპერაციათა შემოსავლიანობა და ბანკის მოგება. საბანკო პროდუქტების და მომსახურებების ფასის ძირითად ფორმებს წარმოადგენენ პროცენტი, დისკონტი, საკომისიო. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ დროს ფასები იმყოფებიან სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ქვეშ.<sup>89</sup>

8. Стоянова М.В. Финансовый анализ в банке.-М.:Перспектива, 2005.

აშკარაა გარე და შიდა ფაქტორების ურთიერთკავშირი. შიდა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საბანკო პროდუქტის ან მომსახურებების ფასის ფორმირებაზე, უშუალოდ არიან განპირობებული გარე ფაქტორების ზემოქმედებაზე – დაწყობილი მოთხოვნითა და საბაზო ფასით, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკისთვის ზედა საფასო ზღვარს, და ასევე პროდუქტის ან მომსახურების სავარაუდო რეალიზაციის მოცულობაზე.

შიდა ფაქტორებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ პროდუქტის ან ბანკის მომსახურების ფასს, შეიძლება გამოვყოთ:

- 1) ძირითადი ფაქტორი – თვითდირებულება, რომელიც განისაზღვრება დანახარჯების ამონაგების ვადით და იწყობა პროდუქტისა და მომსახურებების შექმნასა და რეალიზაციაზე ბანკის მიერ გაწეული ხარჯებისგან. მოგების ვადა, თავის მხრივ, განისაზღვრება ბანკის მესაკუთრეების საინვესტიციო პოლიტიკით. ამ დროს ძირითადი დანახარჯები შეიძლება იყონ მატერიალური აქტივების შეძენაზე, კერძოდ კი ბანკომატების, ბანკოტექნიკის მთვლელების და სხვ. გაწეული დანახარჯები, ქვედანაყოფის პერსონალის ხელფასის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროდუქტის ან მომსახურებების შექმნასა და რეალიზაციაზე და ფართების ქირის ღირებულება;
- 2) დამატებითი ფაქტორები:
  - აუცილებელი რენტაბელურობა, რომელიც უკავშირდება კაპიტალის რენტაბელურობის მიზნობრივ მითითებებს. ასე, მაგალითად, მოცემული კაპიტალი (ფაქტიურად ბანკის საკუთარი კაპირალი ზრდის პროგნოზების გათვალისწინებით) წლის დასაწყისში შეადგენს 1000 პირობით ერთეულს. ბანკის მესაკუთრეების მიზნობრივ მითითებას წარმოადგენს ROE-ს (კაპიტალის რენტაბელურობის) მაჩვენებლების მიღწევა წლიური 50%-ის დონეზე – 500 პირობითი ერთეული. ამ მიზნის მიღწევისთვის ბანკის მენეჯერებმა უნდა ჩადოს პროდუქტის ან მომსახურებების ფასში აუცილებელი მარჟა (სხვაობა ფასსა და თვითდირებულებას შორის), რომელიც საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების მთელი ერთობლიობის დაგეგმილი მოცულობების რეალიზაციისას მოიტანს აუცილებელ მოგებას (500 პირობითი ერთეული) მოცემული კაპიტალის პირობებში;
  - ბანკის მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც განისაზღვრება ბანკის შიდა საფასო პოზიციით ბაზრის ფასთან შედარებით. ასე, მაგალითად,

აგრესიული მარკეტინგული პოლიტიკის ჩატარებისას, რომელიც გულისხმობს ბიზნესის გაფართოებას ან ექსპანსიას საბანკო პროდუქტების ან მომსახურებების ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტში, ბანკი ადგენს ფასებს საკუთარ პროდუქტებზე ან მომსახურებებზე საბაზრო ფასებზე ნაკლებ ფასებში თვითდირებულებაზე ფასნამატის შემცირების ან თავად თვითდირებულების შემცირების ხარჯზე.

როგორც ცნობილია, ბანკის დანახარჯები წარმოადგენენ მისი ოპერაციული საქმიანობისა და ფუნქციონირების კანონზომიერ შემადგენელს.

საბანკო თეორიასა და პრაქტიკაში დანახარჯების მართვის პროცესი ტრადიციულად ეფუძნება ბანკის ხარჯების კლასიფიკაციას, რომლებიც იყოფიან პირობითად მუდმივად ან ცვალებად ხარჯებად.

ბანკის ფუნქციონირების პირობებში პირობითად მუდმივ ხარჯებს წარმოადგენენ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების უდიდესისი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფენ მის სიცოცხლისუნარიანობას, კერძოდ კი, ხარჯები საწვავისა და ინკასატორების მანქანების შეძენაზე, პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებაზე. ცვალებადს მიეკუთვნებიან – პერსონალის სწავლებაზე, ავეჯის შეძენაზე გაწეული ხარჯები.

ამასთან, პირობითად მუდმივი ხარჯების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი აყალიბებენ თავად ბანკის თვითდირებულების ზღვარს და მოგების გათვლის საბაზისო დონის ზღვარს, რომელიც მიიღება ბანკის მიერ და რომელიც უზრუნველყოფს მის არაწამგებიან საქმიანობას.

სამეურენო ხარჯებთან ერთად ცვალებად ხარჯებს მიეკუთვნებიან ბანკის ოპერაციული ხარჯებიც, რომლებიც განისაზღვრებიან ბრუნვაში მოქცეული პასივების მოცულობითა და ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციების მასშტაბებით. ოპერაციული დანახარჯები, თავის მხრივ, იყოფიან პროცენტულ და არაპროცენტულ დანახარჯებად. დანახარების დაყოფა პროცენტულად და არაპროცენტულად ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობისა და ბანკის ზოგადი მდგომარეობის ანალიზის პროცესში მოზიდული რესურსების ღირებულება წარმოადგენს გამშვებ საბაზისო მაჩვენებელს. ბანკის მენეჯერები პირველ რიგში აანალიზებენ ჩამოყალიბებულ სარპოცენტო პორტფელებს, რის შემდეგ ერთმანეთს ადარებენ მოზიდვისა და განთავსების საპროცენტო განაკვეთებს. მის საფუძველზე აფასებენ საპროცენტო

მარტას, რომელიც ახასიათებს სახსრების დაბანდების ეფექტიანობასა და მათ შემოსავლიანობას.

- პასიური ოპერაციების ჩატარებაზე გაწეული ხარჯები  
როგორც ცნობილია, კომერციული ბანკის დანახარჯების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ფულადი რესურსების მოზიდვასთან. ამასთან, პასივების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უკავიათ დეპოზიტურ ოპერაციებს (სასწრაფო და მოთხოვნამდე).
- აქტიური ოპერაციების ჩატარებაზე გაწეული ხარჯები  
დანახარჯების ფორმირება კომერციული ბანკის მოზიდული რესურსების განთავსების პროცესში და მათ მიერ აქტიურ ოპერაციათა ჩატარება წარმოადგენს საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთ ურთულეს ამოცანას, განსაკუთრებით დინამიურად განვითარებადი საბანკო სისტემის პირობებში.<sup>90</sup>

---

9. Ковалев В.В. Финансовый анализ: Управление капиталом. Выбор инвестиций. Анализ отчетности. - М.: Финансы и статистика, 1995

## 2.2 კომერციული ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობის ანალიზისა და შეფასების ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელები

ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელების აღწერით ჩვენ საშუალება გვეძლევა, შევისწავლოთ და აღვწეროთ ბანკის შემოსავლიანობის მოდელები და შემოსავლების სტრუქტურა და კომპონენტები.

ბუღალტრული მოდელები იძლევა იმის საშუალებას, რომ შევაფასოთ საბანკო საქმიანობა ბუღალტრული მაჩვენებლების საფუძველზე. ფინანსური მენეჯმენტის თეორია შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვავლინოთ კომპანიის შეფასებასთან დაკავშირებული მსგავსებები და განსხვავებები ბუღალტრულ და ეკონომიკურ მოდელებს შორის.

ბუღალტრული მოდელი, ეკონომიკურისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს საბალანსო და არა საბაზრო ღირებულებას. მასში აისახება გადაფასებები, მაგრამ, ძირითადად, ის მაინც საბალანსო ღირებულების გარშემო ტრიალებს.

კერძოდ, ROA და ROE არის ბუღალტრული მოდელები, სადაც ROA მაჩვენებელი ბანკების შემთხვევაში დამოკიდებულია კრედიტების ხარისხზე.

ქვემოთ ცხრილი №-11-ის სახით მოცემულია საქართველოს საბანკო სისტემის დაჯგუფებული აქტივებისა და კაპიტალის უკუგების მაჩვენებლები (ROA) (წლიურ გამოსახულებაში).

### ცხრილი №-11

ბანკების რაოდენობა	2010 წელი ROA %-ში (წლიური)	2011 წელი ROA %-ში (წლიური)
5 მსხვილი ბანკი	1,30	2,53
5 საშუალო ბანკი	-1,47	0,53
ყველა ბანკი	1,48	2,55

შენიშვნა: 2010 – 2011 წელს ხუთი მსხვილი ბანკი იყო: „საქართველოს ბანკი”, „თიბისი ბანკი”, „პროკრედიტ ბანკი” „რესპუბლიკა ბანკი” და „ვითიბი ბანკი ჯორჯია”. ხუთი საშუალო ბანკი: „ბითიგი ბანკი სილქ როუდ”, „სტანდარტ ბანკი”, „ტაოპრივატ ბანკი”, „ბაზის ბანკი” და „ინვესტბანკი.”

2010 წელს ROA კოეფიციენტი „ხუთი საშუალო ბანკისთვის“ უარყოფითი იყო და შეადგინა (-1,47%). ROA კოეფიციენტის ვარდნა გამოიწვია რამდენიმე ბანკის, კერძოდ, „ბითიები ბანკის“ -1 505 და „პრივატ ბანკის“ -12 422 მლნ ლარის წმინდა მოგების ზარალზე გასვლამ.

2011 წელს ROA კოეფიციენტის მაჩვენებელი „ხუთი საშუალო ბანკისთვის“ გაიზარდა 64%-ით და შეადგინა 0,53%. ზრდა განაპირობა აღნიშნული ბანკების ზარალის შემცირებამ 86%-ით.

„ხუთი მსხვილი ბანკის“ და „ყველა ბანკის“ უკუგება აქტივებზე (ROA კოეფიციენტი) დადგებითი იყო და აღემატებოდა 1%-ს.

ნახაზი №1 გვიჩვენებს საბანკო საქმიანობის ეფექტურობის ანალიზს, რომელიც ეფუძნება თანაფარდობას: რისკი/მოგებასთან. ეს სურათი ასახავს საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობას (ROE) და მის ცვალებადობას.

რისკის ცნებაში (ცხრილი №1) შედის რისკის ხუთი ტიპი:

1. პორტფელის ან საბალანსო რისკი, მათ შორის გარებალანსური ოპერაციების რისკი;
2. რეგულირების რისკი;
3. ტექნოლოგიური რისკი;
4. საოპერაციო რისკი;
5. სტრატეგიული რისკი (მათ შორის საბაზო სტრატეგიებისა და კორპორატიული კონტროლის რისკი).

პორტფელური და საოპერაციო რისკები გავლენას ახდენს მოგების მაჩვენებლის მოკლევადიან დინამიკაზე. პორტფელურ რისკებს განეკუთვნება საკრედიტო, საპროცენტო, ლიკვიდობის და სავალუტო რისკები. სწორედ მათ საფუძველზე განისაზღვრება ბანკისათვის აუცილებელი კაპიტალის სიდიდე. გარდა ამისა, კაპიტალის საკმარისობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე გარებალანსური ოპერაციების რისკი.

საერთაშორისო საბანკო თეორიასა და პრაქტიკაში რისკის პრობლემატიკა ერთ-ერთ უმთავრეს ადგილზეა. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში რისკები, რასაკვირველია, უფრო მაღალია, ვიდრე სტაბილურ ეკონომიკაში. პრაქტიკაში ეს პრობლემები ყველას შეეხო. თუმცა საბანკო რისკების პრობლემა ისევ და ისევ არასაკმარისადაა გათვითცნობიერებული, შესაბამისად, ის შეუსწავლელი და ეროვნული მენტალიტეტისთვის უცხო რჩება. სხვადასხვა რისკისაგან დაცვის

მეთოდებიც, საბანკო პრაქტიკაში მათი გამოყენების მიუხედავად, აშკარად არასაკმარისია.


კომერციული ბანკის საქმიანობაში რისკი, პრაქტიკულად, ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას არსებობს. რისკის გარეშე მეწარმეობა წარმოუდგენელია. საბანკო ოპერაციების მართვა, არსებითად, საბანკო პორტფელთან დაკავშირებული რისკების მართვაა.

კომერციულ ბანკებს ზოგჯერ „რისკების მყიდველებს და გამყიდველებს“ უწოდებენ, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი ნაკისრ რისკსა და ბანკის საქმიანობასთან მიღებულ სავარაუდო შემოსავალს შორის. უფრო მაღალ შემოსავალს, როგორც წესი, ახასიათებს მეტი რისკი. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საერთო კანონზომიერება: რაც მეტია სავარაუდო შემოსავალი, მით ნაკლებია მისი მიღების ალბათობა, განსხვავებით გარკვეული მინიმალური გარანტირებული შემოსავლის პრაქტიკულად ურისკო მიღებისაგან<sup>91</sup>.

---

<sup>91</sup> Жоваников В.Н. "Риск-менеджмент в комерческом банке в условиях переходной экономики" ДЕНГИ И КРЕДИТИ 5/2002 с. 60.

## ნახატი №1



წყარო: Синки Д. "Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг". с. 210

ამრიგად, საბანკო საქმიანობა უკავშირდება მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან რისკებს. ამიტომ მენეჯმენტის უმთავარესი ამოცანაა, შექმნას რისკების კონტროლის ეფექტური მექანიზმი. საბანკო რისკების შეფასებას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მარეგულირებელი ორგანოებიც. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან (1996 წლიდან) ფართოდ გამოიყენება რისკების შეფასების მოდელი CAMEL. C – კაპიტალის საკმარისობა, A – აქტივების ხარისხი, M – მენეჯმენტი, E – მოგება და L – ლიკვიდურობა.

ბოლო პერიოდში CAMEL-ის მეთოდი გაფართოვდა და მას დაემატა ახალი კომპონენტი – S, CAMELS. S არის სისტემური რისკი. ვინაიდან ფინანსებში რისკების გასაზომად და პროგნოზირებისათვის ფართოდ იყენებენ მოგების

მნიშვნელობის ცვალებადობას (მაგალითად, სტანდარტული გადახრა EPS), ჩვენც იმავე მოდელის გამოყენებით შევეცადეთ, ქართული საბანკო სისტემის რისკის მოცულობა განგვესაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვიანგარიშეთ ROA-ს ცვალებადობა, მისი სტანდარტული გადახრა SROA და ROA კოეფიციენტის გარიაციის კოეფიციენტი.

მაჩვენებელი ROE შესაძლებელია, გამოხატული იყოს, როგორც ლევერიზის წარმოებული მაჩვენებელი (EM) და, ასევე, აქტივების რენტაბულურობა (ROA):

$$\text{ROE} = \text{ROA} \times \text{EM}$$

ROE არის მოგება, გაყოფილი საშუალოდ საკუთარ კაპიტალზე ან საკუთარი კაპიტალის ოდენობაზე პერიოდის დასრულების მომენტში (წელი ან კვარტალი); ROA კი არის მოგება, გაყოფილი აქტივების მოცულობაზე (პერიოდის დასრულების მომენტში). კაპიტალის მულტიპლიკატორი (EM) – ეს არის აქტივების ჯამური მოცულობა, გაყოფილი საკუთარი კაპიტალის ჯამურ მოცულობაზე. EM საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, თუ რა მოცულობის აქტივები მოდის ბანკის საკუთარი კაპიტალის ყოველ დოლარზე (A/E)<sup>92</sup>.

**ROA მაჩვენებლისაგან გამოიყოფა ორი კომპონენტი:**

1. მომგებიანობის კოეფიციენტი (PM);
2. აქტივების გამოყენება (AU).

$$\text{ROA} = \text{PM} \times \text{AU}$$

სადაც  $\text{PM} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საერთო შემოსავალები}} = \frac{\text{შეფარდებული საერთო შემოსავალთან}}{\text{(პროცენტულ შემოსავალის დამატებული არაპროცენტული შემოსავალი)}}.$

AU = საერთო შემოსავალი, შეფარდებული საშუალო ზომის აქტივებთან.

$$\text{PM} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საერთო შემოსავლები} \times \text{შემოსავლები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საერთო შემოსავლები} \times \text{შემოსავლები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საერთო შემოსავლები}} \times \frac{1}{\text{შემოსავლები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საერთო შემოსავლები}} \times \text{შემოსავლები}^{-1}$$

$$\text{AU} = \frac{\text{საერთო შემოსავლები} \times \text{შემოსავლები}^{-1}}{\text{საშუალო აქტივები}} = \frac{\text{საერთო შემოსავლები} \times \text{შემოსავლები}^{-1}}{\text{საშუალო აქტივები}} = \frac{\text{საერთო შემოსავლები} \times \text{შემოსავლები}^{-1}}{\text{საშუალო აქტივები}} = \frac{\text{საერთო შემოსავლები} \times \text{შემოსავლები}^{-1}}{\text{საშუალო აქტივები}}$$

<sup>92</sup> Синки Д. "Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг". с. 211.

**ROE-ს მოდელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამი კომპონენტის კომბინაცია:**

1. საკუთარი კაპიტალის რენტაბულურობა;
2. აქტივების რენტაბულურობა;
3. მომგებიანობის კოეფიციენტი.

ზემოაღნიშნულ სამივე კომპონენტს (ROE, ROA და PM) აქვს საერთო მრიცხველი (მოგება) და განსხვავებული მნიშვნელი (საკუთარი კაპიტალის საშუალო დირებულება, აქტივების მოცულობის საშუალო დირებულება და შემოსავლები), რაც საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ საბანკო საქმიანობის ეფექტურობა.

ROE-ს ბუდალტრული სიდიდე გვიჩვენებს ბანკის მუშაობის შედეგებს მისი მფლობელებისათვის.

- საკუთარი კაპიტალის რენტაბულურობა = აქტივების რენტაბულურობა × კაპიტალის მულტიპლიკატორზე =  $ROA \times EM = \text{მომგებიანობის კოეფიციენტი} \times \text{აქტივების გამოყენებასთან} \times \text{კაპიტალის მულტიპლიკატორზე} = PM \times AU \times EM$
- $\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საშუალო საკუთარი კაპიტალი}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საოპერაციო მოგება}} \times \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{საშუალო აქტივები}} \times \frac{\text{საშუალო აქტივები}}{\text{საშუალო საკუთარი კაპიტალი}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საშუალო აქტივები}}$   
 $\frac{\text{საშუალო აქტივები}}{\text{საშუალო საკუთარი კაპიტალი}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საშუალო საკუთარი კაპიტალი}}$

**შენიშვნა:** ROE-ს ანალიზისათვის აუცილებელია, ვიცოდეთ შემდეგი ბუდალტრული მონაცემები: 1) წმინდა მოგება; 2) მთლიანი საოპერაციო მოგება ან გაყიდვების მოცულობა; 3) აქტივების საშუალო მოცულობა; 4) საკუთარი კაპიტალის საშუალო მოცულობა (გრძელვადიანი კაპიტალის გამორიცხვით). პირველი ორი მნიშვნელობა ეხება ფულად ნაკადებს (მიმოქცევას) და აისახება საბანკო ანგარიშებში, მოგებასა და ზარალში, ხოლო მეორე ორი მნიშვნელობა აისახება ბუღალტრულ ბალანსში<sup>93</sup>.

როგორც რ. ე. ჯილბერტი და დ. ს. უილოკი<sup>94</sup> აღნიშნავენ, ბანკის მუშაობის ეფექტურობის უკლაჩე პოპულარული ფინანსური ინდიკატორებია საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობა (ROE) და მთლიანი აქტივების მოგება (ROA), რითაც შესაძლებელია, გამოვლინდეს ბანკების სიდიდე.

ქვემოთ ცხრილ №12-ში მოცემულია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ფინანსური მაჩვენებლები, სადაც წარმოდგენილია ROE კოეფიციენტის დეკომპოზიციის ანალიზი 2002-2012 წლების პერიოდისათვის

<sup>93</sup> იქვე, გვ.212-213.

<sup>94</sup> Gilbert R. A. and Wheelock D. C. (2007). Measuring Commercial Bank Profitability: Proceed with Caution. Federal Reserve Bank of St. Louis Review, November/December, 89(6), pp. 515-532.

**ცხრილი №12.** კომერციული ბანკების ROE კოეფიციენტის დეკომპოზიციის ანალიზი  
პროცენტებში

კომერციული ბანკების მონაცემები პროცენტებში (2002-2012წწ.)					
წელი	ROE	ROA	EM	AU	PM
2002	0,1530	0,0430	3,53	0,1806	0,2155
2003	0,1500	0,0390	3,78	0,1881	0,1972
2004	0,0790	0,0190	4,56	0,1629	0,0994
2005	0,1510	0,0300	5,31	0,1554	0,1560
2006	0,1570	0,0270	4,71	0,1361	0,1616
2007	0,0970	0,0190	4,9	0,1317	0,1151
2008	-0,1260	-0,0260	5,84	0,1754	(-0,1387)
2009	-0,0430	-0,0080	5,47	0,1661	(-0,0474)
2010	0,0960	0,0170	5,91	0,1470	0,1006
2011	0,1730	0,0290	6,03	0,1607	0,1585
2012	0,0580	0,0100	6,01	0,1493	0,0626

**შენიშვნა:** კაპიტალის მულტიპლიკატორი (EM) ტოლია: ROE/ROA (ROE=ROA x EM და ROA= AU x PM)

ცხრილი №12-დან ნათლად ჩანს, რომ საოპერაციო მოგება (AU) მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. ამ დროს მომგებიანობის კოეფიციენტი (PM), რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: **წმინდა მოგება / საერთო შემოსავლებთან განიცდის სერიოზულ ცვლილებებს.**

2002 წელს საქართველოში მოქმედი ბანკების წმინდა მოგებამ შეადგინა 43,464 ათასი ლარი, ხოლო ამ წელს საოპერაციო შემოსავლების მოცულობა გაუტოლდა 201,636 ათას ლარს და, შესაბამისად, PM-ის მნიშვნელობამ შეადგინა 21,55%.

2003 წლის მონაცემებით, საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 251,400 ათასი ლარი, წმინდა მოგებამ – 49,569 ათასი ლარი და PM-ის მნიშვნელობამ – 19,72%.

2004 წლის მონაცემებით, საოპერაციო შემოსავლებმა 276,338 ათასი ლარი შეადგინა, რაც 10%-ით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. ხოლო ამ წელს საბანკო სექტორის წმინდა მოგების მაჩვენებელმა განიცადა 45%-იანი შემცირება და შეადგინა 27,480 ათასი ლარი. აღნიშნული მაჩვენებლის შემცირება, ძირითადად, გამოიწვია საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ და დამატებითი რეზერვების შექმნის შედეგად დარეზერვების ხარჯების ზრდამ. ამ პერიოდისთვის საბანკო სექტორის წმინდა მოგების უკუგებამ აქტივებზე (ROA) შეადგინა 1,9%, რაც 2%-ით

ნაკლები იყო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან, ხოლო ROE კოეფიციენტის მაჩვენებელი იყო 7,9%, რაც 7,1%-ით ჩამოუვარდებოდა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წმინდა მოგების მოცულობის დაბალმა მაჩვენებელმა გამოიწვია PM-ის მნიშვნელობის მკვეთრი ვარდნა, რამაც 9,94% შეადგინა.

2005 წელს PM-ის მნიშვნელობა, 2004 წელთან შედარებით, გაიზარდა და შეადგინა 15,60%. ზრდა განაპირობა შემოსავლების მოცულობის 43%-იანმა მატებამ რამაც შეადგინა 395,970 ათასი ლარი (წმინდა მოგება – 61,756 ათასი ლარი).

2006 წელს შემოსავლები გაიზარდა 45%-ით და შეადგინა 575,327 ათასი ლარი, ხოლო წმინდა მოგება, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 50%-ით (92,970 ათასი ლარი) იმავე პერიოდში PM-ის მნიშვნელობა იყო 16,16%. ზრდის ტენდენცია გაგრძელდა 2008 წლამდე. მაგრამ, წინა წლებთან (2005-2006) შედარებით, 2007 წელს PM-ის მნიშვნელობამ განიცადა კლება და 11,51% შეადგინა. საოპერაციო შემოსავლები, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 65%-ით და 949,335 ათასი ლარი შეადგინა. 2007 წელს PM-ის მნიშვნელობის შემცირება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ, წინა წელთან შედარებით, წმინდა მოგება გაიზარდა მხოლოდ 18%-ით და 109,282 ათასი ლარი შეადგინა.

2008 წლის აგვისტოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყნის საბანკო სისტემაში მნიშვნელოვანი ვარდნა შეინიშნებოდა. 2008 წელს საქართველოს საბანკო სისტემაში საოპერაციო შემოსავლის მოცულობამ შეადგინა 1,555 მლნ. ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ – 215,744 მლნ ლარი, რაც 97%-ით ნაკლები იყო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. შესაბამისად, PM-ის მნიშვნელობა შემცირდა და ის გახდა უარყოფითი სიდიდე -13,87%. 2008 წლის მეორე ნახევრიდან ქვეყანა შევიდა რეცესიის ფაზაში. 2008 წლის მეორე ნახევრიდან გაიზარდა ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა, შესაბამისად, პრობლემური სესხების ამორტიზაციისა და რექსტრუქტურიზაციის ხარჯებიც, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია საბანკო სისტემის ზარალზე გასვლა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თავი იჩინა ფინანსურმა სიძნელეებმა, რაც კიდევ უფრო გააღრმავა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საბანკო სექტორის აქტივები. 2009 წელს ლიკვიდობის კრიზისის გამო წარმოქმნილი პანიკის ფონზე გაიზარდა მოთხოვნილება ფიზიკური და იურიდიული პირების ფულად სახსრებზე, რასაც მოჰყვა მათი გადინება, შეიქმნა სერიოზული პრობლემები ასევე გაცემული

სესხების დაბრუნების კუთხით, ლარის გაცვლითი პურსის დაცემის გამო კი იმატა არაპირდაპირმა დანაკარგებმაც. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გააუარესა ქართული ბანკების ფინანსური მდგომარეობა<sup>95</sup>.

საბანკო სისტემისთვის მძიმე აღმოჩნდა 2009 წელიც. შემოსავლებმა შეადგინა 1,337 მლნ. ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ – -65,317 ათასი ლარი, PM-ის მნიშვნელობა კი იყო -4,74%.

2008-2009 ზარალიანი წლების მიუხედავად, 2010-2011 წლები საბანკო სისტემისთვის შედარებით სტაბილური იყო. 2010 წელს ბანკების საოპერაციო შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 13%-ით გაიზარდა და 1,553 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 139%-ით, შეადგინა 156,270 ათასი ლარი და, შესაბამისად, გამოიწვია PM-ის მნიშვნელობის ზრდა (10,06%).

2011 წელს წმინდა მოგებამ მიაღწია სარეკორდო მაჩვენებელს (323,037 ათასი ლარი), საოპერაციო შემოსავალმა 2,038 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო PM-ის მნიშვნელობამ – 15,85%.

რაც შეეხება 2012 წელს, საოპერაციო შემოსავლები იყო 2,143 მლნ. ლარი, ხოლო წმინდა მოგებამ განიცადა მკეთრი შემცირება წინა წლებთან (2010-2011წწ.) შედარებით, შეადგინა 134,231 ათასი ლარი, და, შესაბამისად, გამოიწვია PM-ის მნიშვნელობის მკეთრი გარდნა 6,26%-მდე. ასეთი მკეთრი გარდნა განაპირობა საკრედიტო აქტივობის შემცირებამ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში შეინიშნებოდა. მაგალითად, წლის დასაწყისში საბანკო სისტემა ზარალზე გავიდა 7,63 მლნ ლარით. უნდა აღინიშნოს, რომ 19 კომერციული ბანკიდან იანვრის თვე 5 ბანკმა ზარალით დაასრულა. წინა წელთან შედარებით, წმინდა მოგება 60%-ით ნაკლები იყო. 2012 წლის წმინდა მოგების შემცირება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ, წინა წელთან შედარებით, საოპერაციო შემოსავლები მხოლოდ 5%-ით გაიზარდა.

2008 წელს ROA კოეფიციენტის მაჩვენებელი იყო -2,6%. კაპიტალის მულტიპლიკატორის (EM) მნიშვნელობამ შეადგინა 5,84, ხოლო ROE კოეფიციენტის მაჩვენებელმა – -12,6%.

<sup>95</sup> ოუთბერიძე გ. კუნძულია პ. „საქართველოს საბანკო სისტემის ლიკვიდობის, კაპიტალის და აქტივ-პასივების ხარისხის შესახებ პოსტკრიზისულ პერიოდში“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი №3 (22). 2011 წ. ISSN 1512-4649. თბილისი. გვ. 12-21.

2009 წელს ROA კოეფიციენტის მნიშვნელობა გაუტოლდა -0,8%-ს. კაპიტალის მულტიპლიკატორის მნიშვნელობამ შეადგინა 5,47, ხოლო ROE კოეფიციენტის მაჩვენებელმა – -4,3%.

2010-2011 წლებში ბანკებისთვის აღნიშნული მაჩვენებლები გაუმჯობესდა, კერძოდ: 2010 წელს ROA კოეფიციენტის მნიშვნელობა, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა და შეადგინა 1,7%. ზრდა განაპირობა აქტივების მოცულობის 27%-იანმა მატებამ და შეადგინა 10,564 მლნ ლარი. 2011 წელს ROA კოეფიციენტის მნიშვნელობამ 2,9% შეადგინა და აქაც ზრდის ტენდენცია გამოიწვია აქტივების 20%-იანმა ზრდამ, რამაც აბსოლუტურ მნიშვნელობაში 12,679 მლნ ლარი შეადგინა.


შეიძლებ ითქვას, რომ ბოლო წლებში საბანკო საქმიანობის ეფექტურობის ზრდა შემდეგი ფაქტორების გავლენამ განაპირობა:

- კრედიტების ხარისხის გაუმჯობესებამ;
- დადებითმა ცვლილებებმა საკომისიოს შექმნის დარგში და სხვა არასაპროცენტო შემოსავლებმა;
- საოპერაციო ეფექტურობის ზრდამ.

რა თქმა უნდა, კრედიტების ხარისხის გაუმჯობესება აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკები არ ელოდებიან დიდ დანაკარგებს კრედიტებზე მათ მიერ არ იქმნება მნიშვნელოვანი რეზერვები სესხების შესაძლო დანაკარგებზე, რომელიც ამცირებს მოგებას. სტაბილური, მზარდი ეკონომიკა უზრუნველყოფს პირობებს, როდესაც მსესხებლები დიდი ალბათობით მთლიანად აბრუნებენ აღებულ თანხას. ბოლო ორი ფაქტორი მიეკუთვნება არასაპროცენტო შემოსავალს („საბანკო ტგირთი“) ესაა მაჩვენებელი, რომლის ამაღლებასაც ბანკის მენეჯერები მუდმივად ცდილობენ და მას ბანკის ანალიტიკოსები განიხილავენ, როგორც ძირითად ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის მუშაობის საბოლოო შედეგს.

გრაფიკ №4-ში მოცემულია საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული დეპოზიტებისა და ბანკების მიერ გაცემული სესხების მიმართება მშპ-სთან, რაც ადასტურებს საქართველოს საბანკო სისტემაში მათი საქმიანობის ეფექტურობის ზრდას და მათ მნიშვნელოვან როლს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგრმარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში.

#### გრაფიკი №4




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <http://nbg.gov.ge/index.php?m=306>

გრაფიკი №4-დან ჩანს, თუ როგორ იზრდება საბანკო დეპოზიტებისა და სესხების წილი მშპ-თან მიმართებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლიდან შეინიშნება სესხების მკვეთრი ზრდა დეპოზიტთან მიმართებით.

ნახაზ №2-ში ვარმოდგენილია ROE კოეფიციენტის დეკომპოზიციური ანალიზის სტრუქტურა.

ნახაზი №2 გვიჩვენებს მესამე ეტაპის ROE-ს დეკომპოზიციის ანალიზს.



<sup>1</sup> ROA – აქტივების რენტაბულობა

<sup>2</sup> PM – მომგებიანობის კოეფიციენტი

### **³ AU – აქტივების გამოყენება**

**Чуарм:** Синки Д. "Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг" с. 217.

ცხრილ №13-ზი მოცემულია საქართველოს ბანკების 2006 და 2011 წლის ფინანსური მაჩვენებლები. ბანკები დაყოფილია სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებად, სადაც ასახულია მათი შედარებითი ანალიზი (წმინდა არაპროცენტული შემოსავლები ერთ დოლარ აქტივებთან მიმართებით).

### ცხრილი №13

ჯგუფი	2006 წელი			2011 წელი			ცვლილება	
	არაპროცენტული შემოსავლი	არაპროცენტული ისარჯები	შემოსავლი	არაპროცენტული შემოსავლი	არაპროცენტული ისარჯები	შემოსავლი	საბანკო ტკინო	%
ხუთი მსხვილი ბანკი	2,47	5,14	-2,67	1,87	4,52	-2,65	-0,02	0,75
ხუთი საშუალო ბანკები	2,17	4,68	-2,51	3,49	9,11	-5,63	-3,12	-124
ყველა ბანკი	4,24	6,11	-1,87	5,80	7,68	-1,88	-0,01	-0,53

„ხუთი მსხვილი ბანკი“: „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „პროერედიტ ბანკი“, „ვითიბი ბანკი“, „რესპუბლიკა ბანკი“

„ხუთი საშუალო ბანკი“: „ბითიეი ბანკი“, „სტანდარტ ბანკი“, „ტაოპრივატ ბანკი“, „ბაზის ბანკი“ და „ინვესტბანკი“.

2006 წელს ეს მაჩვენებელი „ყველა ბანკის“ ჯგუფისათვის შეადგენდა 4,24%-ს, ხოლო 2011 წლისთვის იგი გაიზარდა 5,80%-მდე. 2006 წელს ამ ჯგუფის ბანკისთვის არაპროცენტული ხარჯი გაუტოლდა 6,11%-ს, ხოლო 2011 წლისთვის – 7,68%-ს. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მივიღოთ წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის სიდიდე ერთ ლარ აქტივთან („საბანკო ტკირთი“), რომელმაც 2006 წელს „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის შეადგინა -1,87% და 2011 წელს – -1,88%. 2006 წელთან შედარებით, 2011 წელს „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის წმინდა არაპროცენტული შემოსავალი („საბანკო ტკირთი“) უმნიშვნელოდ (0,01%-ით) გაუარესდა და შეადგინა 1,88%.

2006 წელს ეს მაჩვენებელი „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფისთვის შეადგენდა 2,47%-ს, ხოლო 2011 წლისთვის ის გახდა 1,87%. 2006 წელს „ხუთი მსხვილი ბანკის“ არაპროცენტული ხარჯი გაუტოლდა 5,14%-ს და 2011 წლისთვის – 4,52%-ს; ანუ ამ საბანკო ჯგუფის „საბანკო ტკირთი“ 2006 წელს შეადგენდა -2,67%-ს და 2011 წელს – -2,65%-ს. 2006 წელთან შედარებით, 2011 წელს „ხუთი მსხვილი საბანკო“ ჯგუფის წმინდა არაპროცენტული შემოსავლის მაჩვენებლის („საბანკო ტკირთი“) ზრდა გამოწვეული იყო როგორც არაპროცენტული ხარჯების

კონტროლის გაუმჯობესებით, ისე ამ პერიოდის განმავლობაში არაპროცენტული შემოსავლების ზრდით.

რაც შეეხება „ხუთი საშუალო ბანკების“ ჯგუფს, 2006 წელს მათი არაპროცენტული შემოსავალი შეადგენდა 2,17%-ს, ხოლო 2011 წლისთვის ეს მაჩვენებელი გახდა 3,49%. 2006 წელს „ხუთი საშუალო ბანკების“ ჯგუფის არაპროცენტულმა ხარჯმა შეადგინა 4,68%, და 2011 წლისთვის – 9,11%. ანუ, ამ საბანკო ჯგუფის „საბანკო ტვირთი“ 2006 წელს შეადგენდა -2,51%-ს, 2011 წელს – -5,63%-ს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მენეჯერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ როგორც შემოსავლების შექმნაზე, ასევე ხარჯების კონტროლზე; კერძოდ, ყურადღებით უნდა განიხილონ საკომისიოს მიღების სქემა, შეთავაზებული პროდუქტების პაკეტი, ხელფასები და დახმარებები და სხვა ხარჯების შემადგენლობა.

საბანკო საქმიანობა, ძირითადად, წარმოადგენს კრედიტების დაფინანსებას დეპოზიტების ხარჯზე, რომელსაც მოაქვს წმინდა პროცენტული შემოსავალი. წმინდა პროცენტულმა შემოსავალმა, ანუ წმინდა საპროცენტო მარჟამ უნდა გადააჭარბოს კრედიტების შესაძლო დანაკარგების რეზერვს (PLL). წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი = არაპროცენტულ შემოსავალს – არაპროცენტული ხარჯი („საბანკო ტვირთი“) – გადასახადები – დივიდენდები.

ქვემოაღნიშნულ ცხრილში მოყვანილია სხვადასხვა საბანკო ჯგუფის საქმიანობის მონაცემები 2005 და 2011 წლებში. ამ ორივე განყოფილების შესწავლიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავინახოთ, როგორ მიღიან საბოლოო შედეგამდე სხვადასხვა სიდიდის მქონე ბანკები და გავიგოთ, როგორ ზეგავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები, ტექნოლოგიების განვითარება, საოპერაციო ცვლილებები, შემოთავაზებული პროდუქტების პაკეტი და კონკურენცია.

ცხრილი №14 გვიჩვენებს საბოლოო შედეგს, წარმოდგენილს, როგორც ROA (შემოსავლები და ხარჯები, როგორც საშუალო წმინდა კონსოლიდირებული აქტივების წილი).

#### ცხრილი №-14

განყოფილება A			
ქართული ბანკების მოგება-ზარალის ფინანსური მაჩვენებელი. 2005 წელი			
მაჩვენებელი	შემდა ბანკი (%)	ხუთი მსხვილი ბანკი (%)	ხუთი საშუალო ბანკი (%)
პროცენტული შემოსაგალი	8,75	8,64	8,82
პროცენტული ხარჯი	2,51	2,84	1,69
წმინდა პროცენტული მარჟა (NIM)	6,24	5,80	7,13
რეზერვი კრედიტების შესაძლო დანაკარგებზე (PLL)	0,84	0,52	2,34
წმინდა პროცენტული მარჟა PLL-ის შემდეგ	5,40	5,28	4,79
არაპროცენტული შემოსაგალი	6,79	3,08	3,12
არასაპროცენტო ხარჯი	8,64	4,96	6,49
„საბანკო ტგირთი“	-1,84	-1,88	-3,37
ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგება-ზარალი	0,12	0,10	0,04
მოგება გადასახადის გადახდე	2,95	3,29	1,33
გადასახადის გადახდა	0,52	0,70	0,43
წმინდა მოგება (ROA)	2,42	2,60	0,90
გაუნაწილებული მოგება *	75,87	54,33	1,85
ROE	12,88	20,01	3,39

განკოფილება B			
ქართული ბანკების მოგება-ზარალის ფინანსური მაჩვენებელი. 2011 წელი			
მაჩვენებელი	შემოსავალი	ხუთი მსხვილი ბანკი (%)	ხუთი საშუალო ბანკი (%)
პროცენტული შემოსავალი	10,28	10,34	16,12
პროცენტული ხარჯი	4,93	4,91	6,41
წმინდა პროცენტული მარჟა (NIM)	5,35	5,42	9,71
რეზერვი კრედიტების შესაძლო დანაკარგებზე (PLL)	0,23	0,54	10,47
წმინდა პროცენტული მარჟა PLL-ის შემდეგ	5,12	4,88	-0,76
არაპროცენტული შემოსავალი	5,80	5,35	3,21
არაპროცენტული ხარჯი	7,68	4,49	7,49
„საბანკო ტვირთი“	-1,88	0,86	-4,28
ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგება-ზარალი	0,16	0,29	0,00
მოგება გადასახადის გადახდამდე	2,84	2,77	-6,25
გადასახადის გადახდა	0,12	0,42	1,05
წმინდა მოგება (ROA)	2,72	2,35	-5,20
გაუნაწილებელი მოგება *	15,42	37,04	29,24
ROE	15,35	20,09	-17,88

შენიშვნა: 2005-2011 წლებში ხუთი მსხვილი ბანკი იყო: „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „პროგრამიტ ბანკი“, „რესპუბლიკა ბანკი“ და „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ხუთი საშუალო ბანკი: „ბიონიკ ბანკი სილქ როუდი“, „სტანდარტ ბანკი“, „ტაოპრივატ ბანკი“, „ბაზის ბანკი“ და „ინვესტბანკი“.

შენიშვნა: 2011 წლის ფინანსურ მაჩვენებელში მოხდა ცვლილება – „ხუთი საშუალო ბანკის“ რიგებში შემაგალ „ბაზის ბანკს“ ჩაენაცვლა „ბანკი ქართუ“.

გაუნაწილებელი მოგება\* – წინა წლების გაუნაწილებელი მოგება + საანგარიშო წლის წმინდა მოგება. NIM – წმინდა საპროცენტო მარჟა; PLL – რეზერვი კრედიტების შესაძლო დანაკარგებზე; საბანკო ტვირთი – წმინდა არაპროცენტული შემოსავალი = არაპროცენტულ შემოსავალს - არაპროცენტული ხარჯი.

2005 წელს „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის პროცენტული შემოსავალი შეადგენდა 8,75%-ს, ხოლო „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფისთვის – 8,64%-ს. ეს მაჩვენებელი „ხუთი საშუალო ბანკის“ ჯგუფისთვის შედარებით მაღალი იყო, ვიდრე წინა ორი საბანკო ჯგუფისთვის („ყველა ბანკი“ და „ხუთი მსხვილი ბანკი“) და შეადგინა 8,82%.

2005 წელს „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის პროცენტულმა ხარჯმა შეადგინა 2,51%, ხოლო დანარჩენი ორი ჯგუფის, „ხუთი მსხვილი“ და „ხუთი საშუალო ბანკის“, პროცენტული ხარჯი, შესაბამისად, იყო: 2,84% და 1,69%.

რაც შეეხება წმინდა პროცენტულ შემოსავალს, მოცემული საბანკო ჯგუფებისთვის ის ასე განაწილდა: „ყველა ბანკი“ – 6,24%, „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფი – 5,80%, „ხუთი საშუალო ბანკის“ ჯგუფი – 7,13%.

სხვადასხვა სიდიდის მქონე ბანკების წმინდა პროცენტულ შემოსავალს გამოკლებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი შეადგენდა: „ყველა ბანკისთვის“ – 5,40%, „ხუთი მსხვილი ბანკისთვის“ – 5,28%, „ხუთი საშუალო ბანკისთვის“ – 4,79%.

რაც შეეხება „საბანკო ტვირთს“, რომელიც მიიღება არაპროცენტული შემოსავლისა და არაპროცენტული ხარჯის სხვაობით, 2005 წლისთვის მოცემული საბანკო ჯგუფებისთვის ასე გამოიყურებოდა: „ყველა ბანკის“ და „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფებისთვის საბანკო ტვირთი თითქმის თანაბარი იყო და, შესაბამისად, შეადგინა -1,84% და -1,88%, ხოლო „ხუთი საშუალო ბანკის“ საბანკო ტვირთი გაცილებით უარესი იყო და შეადგინა -3,37%.

2005 წელს ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგება „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის შეადგენდა 0,12%-ს, რაც 0,02%-ით აღემატებოდა „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფის შესაბამის მაჩვენებელს და შეადგინა 0,10%. ხოლო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგება „ხუთი საშუალო ბანკისთვის“ გაცილებით დაბალი იყო და შეადგინა 0,04%.

2005 წელს წმინდა მოგებამ „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის შეადგინა 2,42%, რაც 0,18%-ით დაბალი იყო, ვიდრე „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფის წმინდა მოგება და შეადგინა 2,60%. ხოლო „ხუთი საშუალო ბანკის“ შესაბამისი მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო და შეადგინა 0,90%.

2011 წელს „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის პროცენტული შემოსავალი შეადგენდა 10,28%-ს, ხოლო პროცენტული შემოსავალი „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფისთვის იყო 10,34%. ეს მაჩვენებელი „ხუთი საშუალო ბანკის“ ჯგუფისთვის

შედარებით მაღალი იყო, ვიდრე წინა ორი საბანკო ჯგუფისთვის („ყველა ბანკი“ და „ხუთი მსხვილი ბანკი“) და შეადგინა 16,12%.

2011 წელს „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის პროცენტულმა ხარჯმა შეადგინა 4,93%, „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფისთვის – 4,91%, „ხუთი საშუალო ბანკისთვის“ – 6,41%.

2011 წელს წმინდა პროცენტული შემოსავალი მოცემული საბანკო ჯგუფებისთვის ასე განაწილდა: „ყველა ბანკი“ – 5,35%, რაც 0,07%-ით დაბალი იყო, ვიდრე „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფის მაჩვენებელი და შეადგინა 5,42%, ხოლო ყველაზე მაღალი წმინდა პროცენტული შემოსავალი ჰქონდა „ხუთი საშუალო ბანკის“ ჯგუფს, რამაც შეადგინა 9,71%.

სხვადასხვა სიდიდის მქონე ბანკების წმინდა პროცენტულ შემოსავალს გამოკლებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი საბანკო ჯგუფებისთვის შედგენდა: „ყველა ბანკისთვის“ – 5,12%-ს, „ხუთი მსხვილი ბანკისთვის“ – 4,88%-ს; ხოლო „ხუთი საშუალო ბანკისთვის“ ეს მაჩვენებელი იყო უარყოფითი და შეადგინა -0,76%. ამის მიზეზი კი გახდდათ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მაღალი მაჩვენებელი 10,47%.

რაც შეეხება „საბანკო ტვირთს“, რომელიც მიიღება არაპროცენტული შემოსავლისა და არაპროცენტული ხარჯის სხვაობით, 2011 წლისთვის მოცემული საბანკო ჯგუფებისთვის ასე გამოიყერებოდა: „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის ეს მაჩვენებელი იყო უარყოფითი და შეადგინა -1,88%, „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფისთვის კი „საბანკო ტვირთი“ დადებითი იყო და შეადგინა 0,86%. „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფის დადებითი მაჩვენებელი გამოიწვია ამ ჯგუფიდან რამდენიმე ბანკის („საქართველოს ბანკის“ და „რესპუბლიკა ბანკის“) მაღალი არასაპროცენტო შემოსავლით, რაც აღემატებოდა მათ არასაპროცენტო ხარჯებს. ხოლო „ხუთი საშუალო ბანკის“ მძიმე ტვირთი გაცილებით უარესი იყო და შეადგინა -4,28%.

2011 წელს ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგება „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის შეადგენდა 0,16%-ს, რაც 0,13%-ით დაბალი იყო, ვიდრე „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფის იგივე მაჩვენებელი, რამაც შეადგინა 0,29%. ხოლო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგება „ხუთი საშუალო ბანკისთვის“ ნულის ტოლი იყო.

2011 წელს წმინდა მოგებაშ „ეკელა ბანკის“ ჯგუფისათვის შეადგინა 2,72%, რაც 0,37%-ით მაღალი იყო, ვიდრე „ხუთი მსხვილი ბანკის“ ჯგუფის წმინდა მოგება და შეადგინა 2,35%. ხოლო „ხუთი საშუალო ბანკის“ შესაბამისი მაჩვენებელი უარყოფითი იყო და შეადგინა -5,20%.

საბანკო რისკი და აქტივების რენტაბელურობა (**ROA**), პირველ რიგში, დამოკიდებულია კრედიტების ხარისხზე. შეიძლება შევაფასოთ საბანკო საქმიანობის რისკი **ROA** კოეფიციენტის მნიშვნელობის ცვლილებების გაანალიზებით, რომელშიც გათვალისწინებულია არა მხოლოდ საკრედიტო რისკი, არამედ საპროცენტო, ლიკვიდურობის, საოპერაციო და სხვა ნებისმიერი რისკი, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საბანკო მოგებაზე. **ROA** კოეფიციენტის მნიშვნელობის ცვლილებები ადგილია, გაიზომოს **ROA-ს** მნიშვნელობის სტანდარტული გადახრების დახმარებით (გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გარკვეული ბანკისთვის და ბანკების ჯგუფებში მოცემული მომენტისათვის).

ცხრილ №15-ში მოცემულია **ROA-ს** მნიშვნელობები და მათი ცვლილებები საქართველოს ბანკების მაგალითზე 2006-2011 წლებში.

შევი შრიფტით გამოყოფილი მაჩვენებლები (2008-2009-2010წწ.) აღნიშნავს მაჩვენებლის ვარდნას.

#### ცხრილი №15

ROA კოეფიციენტი ბანკების სხვადასხვა ჯგუფებზე (2005-2011)			
წელი	ეგელა ბანკები %	ხუთი მსხვილი ბანკი %	ხუთი საშუალო ბანკი %
2005	3,0	2,68	1,10
2006	2,7	2,06	1,93
2007	1,9	1,02	1,78
<b>2008</b>	<b>-2,6</b>	<b>-1,02</b>	<b>-3,70</b>
<b>2009</b>	<b>-0,8</b>	<b>-1,23</b>	<b>-4,98</b>
<b>2010</b>	<b>1,7</b>	<b>1,3</b>	<b>-1,47</b>
2011	2,9	2,25	0,53
ქვეპერიოდები			
<b>2005-2011</b>			
საშუალო	1,30	1,0	-0,69
სტანდარტული გადახრა	1,98	1,45	2,55
ვარიაციის კოეფიციენტი	0,66	0,69	-0,27

<b>2005-2007</b>			
საშუალო	2,53	1,92	1,60
სტანდარტული გადახრა	0,47	0,69	0,36
ვარიაციის კოეფიციენტი	5,38	2,78	4,44
<b>2008-2011</b>			
საშუალო	0,30	0,33	-2,41
სტანდარტული გადახრა	2,14	1,50	2,11
ვარიაციის კოეფიციენტი	0,14	0,22	-1,14

**შენიშვნა:** ვარიაციის კოეფიციენტი (საშუალოსთან / სტანდარტული გადახრა)

**სუთი მსხვილი ბანკი:** საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, პროგრედიტ ბანკი, ვითიბი ბანკი, რესპუბლიკა ბანკი

**სუთი საშუალო ბანკი:** ბაზის ბანკი, ბიოცი ბანკი, სტანდარტ ბანკი, პრივატ ბანკი, ინვესტ ბანკი

შვიდწლიანი პერიოდის ROA-ს მნიშვნელობის დინამიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

**ROA** კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელმა „ყველა ბანკის“ ჯგუფისთვის ორივე პერიოდში, (2005-2011) და (2005-2007), შეადგინა, შესაბამისად, 1,3% და 2,53%. 2008-2011 წლების ROA-ს საშუალო მაჩვენებელი სამივე ჯგუფის ბანკებისათვის დაბალი იყო, თუ არ გამოვყოფთ „ხუთი საშუალო ბანკის“ „ჯგუფს რომლის მაჩვენებელმა შეადგინა -2,41%.

აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზი სტანდარტული გადახრის და ვარიაციის კოეფიციენტის გამოყენებით ნათლად ადასტურებს, რომ საბანკო სისტემისათვის სერიოზული საფრთხის შემცველია „საშუალო ბანკების“ ჯგუფი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მარეგულირებელ ორგანოებს მართებონ სპეციფიური პრუდენციული მოთხოვნების შემუშავება სწორედ ამ ჯგუფში შემავალი ბანკების მიმართ.

## ხუთი მსხვილი ბანკის მონაცემები

ცხრილ №16-ში მოცემულია 5 უმსხვილესი ქართული ბანკის რენტაბულობის მაჩვენებლების ანალიზი წინა პარაგრაფში განხილული ბუღალტრული მოდელების საფუძველზე.

### ცხრილი №16

ხუთი მსხვილი ქართული ბანკის ფინანსური მაჩვენებლები 2011 წელი					
ბიზნეს-ერთეულები	აქტივების საერთო მოცულობა ათას ლარებში	წმინდა მოგება ათას ლარებში	ROA %	წილი აქტივებში %	მოგების წილი
საქართველოს ბანკი	4665,00	136,00	2,92	36,79	42,01
თიბისი ბანკი	3300,00	93,00	2,82	26,03	28,78
პროკრედიტ ბანკი	972,00	20,00	2,06	7,66	6,09
ბანკი რესპუბლიკა	702,00	-31,00	-4,42	5,54	-9,72
ვითიბი ბანკი	424,00	9,00	2,12	3,34	2,88

**შენიშვნა:** წლიური წმინდა მოგება მოყვანილია 2011 წლის მდგომარეობით.

ცხრილ №16-ში ნაჩვენებია ფინანსური მაჩვენებელი ხუთი მსხვილი ბანკისა, რომელთა წილი საბანკო სისტემის მთლიან აქტივებში შეადგენს 79%-ს. აქტივების სიდიდით (36,79%) და მოგების (42,01%) მიხედვით ლიდერობს „საქართველოს ბანკი“. „თიბისი ბანკის“ აქტივების სიდიდე 26,03% და მოგების 28,78% შეადგინა. ხოლო, დანარჩენი ბანკების ფინანსური მაცვენებელი ასეთი იყო: „პროკრედიტ ბანკის“ საბაზრო წილი აქტივებში 7,66% და მოგების 6,09% იყო; „რესპუბლიკა ბანკის“ საბაზრო წილი აქტივებში იყო 5,54% და მოგებამ შეადგინა უარყოფითი მაჩვენებელი -9,72%; „ვითიბი ბანკისთვის“ საბაზრო წილი აქტივებში შეადგენდა 3,34%, ხოლო მოგების წილი 2,88%.

### „საქართველოს ბანკი“

საქართველოს ბანკი არის ლონდონის საფონდო ბირჟის FTSE 250-ე წევრი და მისი აქციები FTSE 250 ინდექსის ნაწილი გახდა. „საქართველოს ბანკი“ დააკმაყოფილა რამდენიმე უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტი და კრიტერიუმი, მათ შორის საბაზრო კაპიტალიზაციისა და აქციების დღიური ვაჭრობის დონე. FTSE 250-სა და FTSE 250 All Share Index-ში მოხვედრამ „საქართველოს ბანკის“ მისცა იმის საშუალება, რომ საკუთარი აქციების ლიკვიდურობა და სანდოობა

გაზარდოს. ქვემოთ (იხ. ცხრილი №17) მოცემულია საქართველოს ბანკის ფინანსური მონაცემები 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### ცხრილი №17

„საქართველოს ბანკი“		
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)		
პირველი განყოფილება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
ფული და ფულის ეკვივალენტები	628 731	13,48
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულების მიმართ	289 530	6,21
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	419 576	8,99
გაცემული სესხები	2 553 442	54,73
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	62 919	1,35
ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში	3 014	0,06
საინვესტიციო ქონება	101 686	2,18
ძირითადი საშუალებები	348 110	7,46
გუდვილი	46 195	0,99
სხვა არამატერიალური აქტივები	21 222	0,45
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები	8 487	0,18
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	14 852	0,32
წინასწარი გადახდები	29 929	0,64
სხვა აქტივები	137 568	2,95
<b>სულ აქტივები</b>	<b>4 665 261</b>	<b>100,00</b>
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	2 735 222	58,63

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	921 172	19,75
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	1 174	0,03
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	36 242	0,78
პირობით ვალდებულებებზე შექმნილი რეზერვი	386	0,01
სხვა ვალდებულები	158 462	3,40
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>3 852 658</b>	<b>82,58</b>
სულ კაპიტალი	812 603	17,42
<b>საერთო ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>4 665 261</b>	<b>100,00</b>
<b>მეორე განყოფილება</b> ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (ათას ლარებში)		
მაჩვენებელი	მლნ ლარებში	წილი აქტივებში (%)
პროცენტული შემოსავალი	501 358	10,75
პროცენტული ხარჯი	267 057	5,72
მთლიანი პროცენტული შემოსავალი	234 301	5,02
წმინდა მოგება (დანაკარგი), წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	4 984	0,11
წმინდა პროცენტული შემოსავალი PLL	239 285	5,13
არაპროცენტული შემოსავალი	441 219	9,46
არაპროცენტული ხარჯი	217 631	4,66
საკრედიტო რისკის დირებულება	22 196	0,48
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი „საბანკო ტვირთი“	201 392	4,32

მოგება გადასახადის გადახდამდე	150 929	3,24
მოგებაზე გადახდილი გადასახადი	15 219	0,33
<b>შემინდა მოგება</b>	<b>135 710</b>	<b>2,91</b>

წყარო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“

2011 წელს საქართველოს ბანკის საერთო შემოსავლები, 2010 წელთან შედარებით (346,633 მლნ ლარი), გაიზარდა 94,6 მლნ ლარით, ანუ 27,3%-ით და შეადგინა 441,219 მლნ ლარი. 2011 წელს საერთო შემოსავლების ზრდა გამოწვეულია შემინდა პროცენტული შემოსავლის ზრდით 14,8%, რაც შეადგენს 239,285 მლნ ლარს. 2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 208,518 მლნ ლარი, არასაპროცენტო შემოსავლები გაიზარდა 87,6%-ით, რამაც შეადგინა 108 859 მლნ ლარი 2010 წელს (58,032 მლნ ლარი). აღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვნდ გააუმჯობესა ბანკის აქტივების ხარისხი.

რაც შეეხება პროცენტულ შემოსავალს, 2011 წელს ის გაიზარდა 18,5%-ით და შეადგინა 501,358 მლნ ლარი. 2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 423,141 მლნ ლარი. ძირითადად, ზრდა გამოწვეულია კლიენტებზე გაცემული სესხებიდან და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან (დაფარვის გადამდე ფლობილი) მიღებული პროცენტული შემოსავლებით.

### „თიბისი ბანკი“

„თიბისი ბანკი“ რიგით მეორე ბანკია აქტივების სიდიდით და ლიდერია ბაზარზე საცალო დეპოზიტების სეგმენტში.

#### ცხრილი №18

„თიბისი ბანკი“		
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)		
პირველი განყოფილება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	374 153	11,34
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	291 009	8,82
პლიენტებზე გაცემული სესხები	2 008 745	60,87
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	266 436	8,07
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28 956	0,88
ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში	21 979	0,67
საინვესტიციო ქონება	27 082	0,82
გუდვილი	2 726	0,08
არამატერიალური აქტივები	10 064	0,30
ძირითადი საშუალებები	163 879	4,97
სხვა ფინანსური აქტივები	11 339	0,34
სხვა აქტივები	93 653	2,84
<b>სულ აქტივები</b>	<b>3 300 021</b>	<b>100,00</b>
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	110 378	3,34
პლიენტების ანგარიშები	1 999 256	60,58

სხვა ნასესხები თანხები	517 772	15,69
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	14 162	0,43
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	8 048	0,24
პირობით ვალდებულებებზე შექმნილი რეზერვი	8 434	0,26
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11 305	0,34
სხვა ვალდებულებები	19 405	0,59
სუბორდინირებული სესხი	142 480	4,32
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>2 831 240</b>	<b>85,79</b>
სულ კაპიტალი	468 781	14,21
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>3 300 021</b>	<b>100,00</b>

**მეორე განყოფილება**  
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (ათას ლარებში)

მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
პროცენტული შემოსავალი	360 215	10,92
პროცენტული ხარჯი	151 134	4,58
წმინდა პროცენტული შემოსავალი	209 081	6,34
რეზერვი კრედიტების შესაძლო დანაკარგებზე	16 049	0,49
წმინდა პროცენტული შემოსავალი PLL	193 032	5,85
არაპროცენტული შემოსავალი	81 347	2,47
არაპროცენტული ხარჯები	167 289	5,07
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი „საბანკო ტვირთი“	-85 942	-44,52
მოგება გადასახადის გადახდამდე	107 090	3,25

მოგებაზე გადახდილი გადასახადი	15 465	0,47
<b>შმინდა მოგება</b>	<b>91 625</b>	<b>2,78</b>

წყარო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“

2011 წელს „თიბისი ბანკის“ საერთო შემოსავლები, 2010 წელთან შედარებით (193,928 მლნ ლარი), გაიზარდა 80,451 მლნ ლარით, ანუ 42%-ით, და შეადგინა 274,379 მლნ ლარი. საერთო შემოსავლების ზრდა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: 2011 წელს შმინდა პროცენტული შემოსავლის ზრდით (47%), რომელმაც შეადგინა 193,032 მლნ ლარი; 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი იყო 131,494 მლნ ლარი; 2011 წელს არასაპროცენტო შემოსავლების 30%-იანი ზრდით, რომელმაც შეადგინა 81,347 მლნ ლარი; 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი იყო 62,434 მლნ ლარი.

რაც შეეხება პროცენტულ შემოსავალს, 2011 წელს ის გაიზარდა 33%-ით და შეადგინა 360,215 მლნ ლარი; 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი იყო 271,805 მლნ ლარი.

**ცხრილი №19 „პროგრედიტ ბანკი“**

<b>„პროგრედიტ ბანკი“</b>		
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)		
<b>პირველი განყოფილება</b> ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები	185 102	19,05
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	34 565	3,56
მოგების ან ზარალის საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები	56	0,01
გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	199	0,02
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	667 529	68,69
არამატერიალური აქტივები	4 309	0,44
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	67 095	6,90
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	1 723	0,18
სხვა აქტივები	11 268	1,16
<b>სულ აქტივები</b>	<b>971 846</b>	<b>100,00</b>
ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ	13 361	1,37
კლიენტთა ანგარიშები	513 420	52,83
სხვა ნასეხები სახსრები	242 163	24,92
სხვა ვალდებულებები	1 269	0,13
სხვა რეზერვები	856	0,09
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	1 476	0,15
<b>სუბორდინირებული სესხი</b>	<b>67 673</b>	<b>6,96</b>

<b>სულ გალდებულებები</b>	<b>840 218</b>	<b>86,46</b>
სულ კაპიტალი	131 628	13,54
<b>სულ კაპიტალი და გალდებულებები</b>	<b>971 846</b>	<b>100,00</b>
<b>მეორე განყოფილება</b>		
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (ათას ლარებში)		
მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
პროცენტული შემოსავალი	111 993	11,52
პროცენტული ხარჯი	41 231	4,24
<b>წმინდა პროცენტული შემოსავალი</b>	<b>70 762</b>	<b>7,28</b>
რეზერვი კრედიტების შესაძლო დანაკარგებზე	579	0,06
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი PLL</b>	<b>70 183</b>	<b>7,22</b>
არაპროცენტული შემოსავალი	16 376	1,69
არაპროცენტული ხარჯი	63 738	6,56
<b>წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი „საბანკო ტვირთი“</b>	<b>-47 362</b>	<b>-4,87</b>
მოგება გადასახადის გადახდამდე	22 821	2,35
მოგებაზე გადახდილი გადასახადი	3 147	0,32
<b>წმინდა მოგება</b>	<b>19 674</b>	<b>2,02</b>

წყარო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“

2011 წელს „პროკრედიტ ბანკის“ საერთო შემოსავლები, 2010 წელთან შედარებით (86,710 მლნ ლარი), შემცირდა 151 ათასი ლარით, ანუ 0,2%-ით და შეადგინა 86,559 მლნ ლარი. საერთო შემოსავლების შემცირება გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: 2011 წელს წმინდა პროცენტული შემოსავლის 0,72%-იანი კლებით, რამაც შეადგინა 70,183 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 70,689 მლნ ლარი); 2011 წელს არასაპროცენტო შემოსავლების 2,22%-იანი ზრდით,

რომელმაც შეადგინა 16,376 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 16,021 მლნ ლარი).

რაც შეეხება პროცენტულ შემოსავალს, 2011 წელს ის შემცირდა 8%-ით და შეადგინა 111,993 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 121,829 მლნ ლარი).

#### ცხრილი №20 „რესპუბლიკა ბანკი“

„რესპუბლიკა ბანკი“		
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)		
პირველი განყოფილება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	108 638	15,47
მოთხოვნები ბანკების მიმართ	32 938	4,69
კლიენტებზე გაცემული სესხები	408 198	58,11
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	166	0,02
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	48 809	6,95
ინვესტიციები მოკავშირე საწარმოში	1 290	0,18
ძირითადი საშუალებები	62 885	8,95
საინვესტიციო ქონება	12 328	1,76
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	2 460	0,35
სხვა აქტივები	24 738	3,52
<b>სულ აქტივები</b>	<b>702 450</b>	<b>100,00</b>
ვალდებულებები ბანკების მიმართ	221 114	31,48
კლიენტთა ანგარიშები	337 626	48,06
რეზერვები	214	0,03

სხვა ვალდებულებები	6 043	0,86
სუბორდინირებული სესხი	42 326	6,03
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>607 323</b>	<b>86,46</b>
სულ კაპიტალი	95 127	13,54
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>702 450</b>	<b>100,00</b>
<b>მეორე განყოფილება</b> ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (ათას ლარებში)		
მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
პროცენტული შემოსავალი	60 445	8,60
პროცენტული ხარჯი	27 655	3,94
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>32 790</b>	<b>4,67</b>
რეზერვი კრედიტების შესაძლო დანაკარგებზე	12 313	1,75
<b>წმინდა პროცენტული შემოსავალი (PLL)</b>	<b>20 477</b>	<b>2,92</b>
არაპროცენტული შემოსავალი	26 509	3,77
არაპროცენტული ხარჯი	17 185	2,45
<b>წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი („საბანკო ტგირთი“)</b>	<b>9 324</b>	<b>1,33</b>
ზარალი-მოგება მოგების გადასახადამდე	-36 781	-5,24
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)	5 367	0,76
<b>წლის წმინდა ზარალი-მოგება</b>	<b>-31 414</b>	<b>-4,47</b>

წყარო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“

2011 წელს „რესპუბლიკა ბანკის“ საერთო შემოსავლები, 2010 წელთან  
შედარებით (25,461 მლნ ლარი), გაიზარდა 21,525 მლნ ლარით, ანუ 85%-ით და  
შეადგინა 46,986 მლნ ლარი. საერთო შემოსავლების ზრდა გამოწვეულია შემდეგი

ფაქტორებით: 2011 წელს წმინდა პროცენტული შემოსავლის 523%-იანი ზრდით, რამაც შეადგინა 20,477 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 3,286 მლნ ლარი); 2011 წელს არასაპროცენტო შემოსავლების 20%-იანი ზრდით, რომელმაც შეადგინა 26,509 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 22,175 მლნ ლარი).

რაც შეეხება პროცენტულ შემოსავალს, 2011 წელს ის შემცირდა 19%-ით და შეადგინა 60,445 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 74,589 მლნ ლარი).

### ცხრილი №21 „ვითიბი ბანკი“

„ვითიბი ბანკი“		
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)		
პირველი განყოფილება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში (%)
ფული და ფულის გავიგადენტები	49 307	11,64
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	29 879	7,05
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	267 606	63,16
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:</b>		
გასაყიდად არსებული	3 037	0,72
დაფარვის ვადამდე ფლობილი	8 486	2,00
მირითადი საშუალებები	37 161	8,77
საინვესტიციო ქონება	18 182	4,29
მიმდინარე მოგების საგადასახადო აქტივები	76	0,02
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივები	6 531	1,54
სხვა აქტივები	3 462	0,82
<b>სულ აქტივები</b>	<b>423 727</b>	<b>100,00</b>

ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	40 689	9,60
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	181 868	42,92
სხვა ნასესხები სახსრები	100 807	23,79
გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულებები	7	0,002
სხვა ვალდებულები	8 614	2,03
სუბორდინირებული სესხი	20 295	4,79
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>352 280</b>	<b>83,14</b>
სულ კაპიტალი	71 447	16,86
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>423 727</b>	<b>100,00</b>

**მეორე განყოფილება**  
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (ათას ლარებში)

მაჩვენებელი	ათას ლარებში	წილი აქტივებში %
პროცენტული შემოსავალი	43 945	10,37
პროცენტული ხარჯი	14 858	3,51
<b>წმინდა პროცენტული შემოსავალი</b>	<b>29 087</b>	<b>6,86</b>
წმინდა მოგება (დანაკარგი), წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	2 389	0,56
<b>წმინდა პროცენტული შემოსავალი PLL</b>	<b>31 476</b>	<b>7,43</b>
არაპროცენტული შემოსავალი	10 530	2,49
არაპროცენტული ხარჯი	31 963	7,54
<b>წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი „საბანკო ტერიტორია“</b>	<b>-21 433</b>	<b>-5,06</b>
მოგება გადასახადის გადახდამდე	10 043	2,37

მოგებაზე გადახდილი გადასახადი	733	0,17
<b>წმინდა მოგება</b>	<b>9 310</b>	<b>2,20</b>

წყარო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“

2011 წელს „ვითიბი ბანკის“ საერთო შემოსავლები, 2010 წელთან შედარებით (11,994 მლნ ლარი), გაიზარდა 31,103 მლნ ლარით, ანუ 259%-ით და შეადგინა 43,097 მლნ ლარი. საერთო შემოსავლების ზრდა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: 2011 წელს წმინდა პროცენტულმა შემოსავალმა შეადგინა 31,476 მლნ ლარი, ხოლო 2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო უარყოფითი და შეადგინა -493 მლნ ლარი. ამის გამომწვევი მიზეზი კი იყო სესხის გაუფასურების წმინდა რეზერვის შექმნა (23,013 მლნ ლარი); 2011 წელს არასაპროცენტო შემოსავლები შემცირდა 7%-ით, რამაც შეადგინა 11,621 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 12,487 მლნ ლარი).

რაც შეეხება პროცენტულ შემოსავალს, 2011 წელს ის შემცირდა 9%-ით და შეადგინა 43,945 მლნ ლარი (2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 48,397 მლნ ლარი).

**ცხრილი №22-ში მოცემულია ზემოაღნიშნული ბანკების ფინანსური ანგარიშგების ანალიზიდან გამომდინარე ფინანსური მახასიათებლების შედარებითი ანალიზი ბუღალტრული მოდელების გამოყენებით.**

**ცხრილი №22 ფინანსური მახასიათებლების შედარებითი ანალიზი ბუღალტრული მოდელების გამოყენებით**

კომპონენტები	საქართველო ბანკი	თიბისი ბანკი	პროკრედიტ ბანკი	რესპუბლიკა ბანკი	ვითიბი ბანკი
ROE	0,1670	0,1955	0,1495	-0,3336	0,1303
ROA	0,0292	0,0282	0,0206	-0,0442	-0,1649
EM	5,74	7,04	7,38	7,38	5,93
PM	0,3076	0,3339	0,2273	-0,6754	0,2160
AU	0,0946	0,0831	0,0891	0,0669	0,1017

ანალიზის პირველი სტადია (ROE = ROA x EM) საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ დასკვნა, რომ 2011 წლის ROE კოეფიციენტი (წმინდა მოგება, შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან) „თიბისი ბანკისთვის“ იყო 19,55%, რაც

2,85%-ით აღემატებოდა „საქართველოს ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და შეადგენდა 16,70%-ს. „პროკრედიტ ბანკის“ ROE კოეფიციენტი იყო 14,95%, რაც 1,95%-ით აღემატებოდა ვითიბი ბანკის მაჩვენებელს და შეადგინა 13,03%, ხოლო რესპუბლიკა ბანკის ROE კოეფიციენტი უარყოფითი იყო და შეადგინა -33,36%.

2011 წლის ROA კოეფიციენტი (წმინდა მოგება, შეფარდებული მთლიან აქტივებთან) „საქართველოს ბანკისთვის“ და „თიბისი ბანკისთვის“ თითქმის თანაბარი იყო და, შესაბამისად, შეადგინა 2,92% და 2,82%. ხოლო „პროკრედიტ ბანკის“ ROA კოეფიციენტი, საშუალოდ, 0,81%-ით დაბალი იყო, ვიდრე „საქართველოს ბანკის“ და „თიბისი ბანკის“ ეს მაჩვენებელი და შეადგინა 2,06%. რაც შეეხება „რესპუბლიკა ბანკისა“ და „ვითიბი ბანკის“ ROA კოეფიციენტს, ამ პერიოდისთვის მათი მაჩვენებელი უარყოფითია და, შესაბამისად, შეადგენს: -4,42-ს და -16,49%-ს.

2011 წელს კაპიტალის მულტიპლიკატორი EM კოეფიციენტი (აქტივები, შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან) „პროკრედიტ ბანკისთვის“ და „რესპუბლიკა ბანკისთვის“ თანაბარი იყო და შეადგინა 7,38%. ხოლო „თიბისი ბანკის“ EM კოეფიციენტი 0,34%-ით დაბალი იყო, ვიდრე „პროკრედიტის“ და „რესპუბლიკა ბანკის“ ეს მაჩვენებელი, და შეადგინა 7,04%. „ვითიბი ბანკის“ EM კოეფიციენტმა შეადგინა 5,93%, რაც 0,19%-ით აღემატებოდა „საქართველოს ბანკის“ ამ მაჩვენებელს და გაუტოლდა 5,74%-ს.

2011 წლის მომგებიანობის კოეფიციენტი PM (წმინდა მოგება, შეფარდებული საერთო შემოსავალთან) „საქართველოს ბანკისთვის“ შეადგენდა 30,76%-ს, რაც 2,63%-ით დაბალი იყო, ვიდრე „თიბისი ბანკის“ ეს მაჩვენებელი და შეადგინა 33,39%. „პროკრედიტ ბანკის“ PM კოეფიციენტი იყო 22,73%, რაც 1,13%-ით აღემატებოდა „ვითიბი ბანკის“ ამ მაჩვენებელს და შეადგინა 21,60%. ხოლო რესპუბლიკა ბანკის PM კოეფიციენტის მაჩვენებელი იყო უარყოფითი და შეადგენდა -67,54%-ს.

2011 წელს აქტივების გამოყენების კოეფიციენტი AU (საერთო შემოსავალი, შეფარდებული მთლიან აქტივებთან) „საქართველოს ბანკისთვის“ შეადგენდა 9,46%-ს, რაც 0,71%-ით დაბალი იყო, ვიდრე „ვითიბი ბანკის“ ეს მაჩვენებელი და შეადგინა 10,17%. ხოლო დანარჩენი სამი ბანკის AU კოეფიციენტის მაჩვენებელი ასე განაწილდა: „თიბისი ბანკი“ – 8,31%, „პროკრედიტ ბანკი“ – 8,91% და „რესპუბლიკა ბანკი“ – 6,69%.

## 2.3. კომერციული ბანკის ღირებულების შეფასების კრიტერიუმები და მნიშვნელობა

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ღირებულების შექმნის მთავარი წყარო დამოკიდებულია კომპანიის მიზიდვის უნარსა და კონკურენტუნარიანობაზე.

ღირებულების შექმნის მთავარი წყაროებია:

ინდუსტრიის მიმზიდველობა

- წარმოების ციკლის ზრდის ფაზა;
- კონკურენტული შეღწევის ბარიერები;
- სხვა დამცავი მექანიზმები, მაგალითად: პატენტები, დროებითი მონოპოლიური ძალაუფლება, ოლიგოპოლიური მდგომარეობა.

კონკურენტული უპირატესობა:

- ღირებულება;
- მარკეტინგი და ფასი.

რაც შეეხება კომერციული ბანკების კაპიტალის ღირებულებას, ის წარმოადგენს კომპანიის დაფინანსების სხვადასხვა კომპონენტების დანახარჯების პროპორციულ საშუალო დანახარჯს, ანუ, რეალურად, კომპანიის კაპიტალი წარმოადგენს მისი მოთხოვნილი მოგების განაკვეთს, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის ყველა მომწოდებელს.

**CAMEL -ის სისტემის ანალიზის მეთოდი**

ფინანსურად მდგრადი ბანკების გამოსავლენად საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს CAMEL-ის სისტემის ანალიზის მეთოდს. ამ მეთოდის მიხედვით, კაპიტალის ადეკვატურობა, აქტივების ხარისხი, მართვა, მოგება და ლიკვიდურობა გამომდინარეობს ბანკის ფინანსური ცხრილებიდან და შედეგების ანალიზი გამოიყენება ცვლადების სახით<sup>96</sup>.

<sup>96</sup> Mercan M. and Yolalan R. 2000, Turk Bankacılık Sisteminde Olcek ve Mulkiyet Yapıları ile Finansal Performansın İlliskisi, YKB Tartışma Tebliğleri Serisi 2000/1.

ეს მეთოდი შეიქმნა აშშ-ში 1978 წელს. CAMEL იშიფრება შემდეგნაირად:

C – capital adequacy – კაპიტალის საკმარისობა. სისტემა განსაზღვრავს, ბანკის კაპიტალის რა წილი შეიძლება იქნეს გამოყენებული ბანკის კრედიტორთა დასაცავად.

A – asset quality – აქტივების ხარისხი. სისტემა განსაზღვრავს აქტივების დაბრუნებადობის დონეს პრობლემური სესხების გამოვლენის გზით.

M – management – ბანკის მენეჯმენტის დონე, რომელიც ფასდება მუშაობის შედეგების მიხედვით.

E – earnings – მომგებიანობა. სისტემა განსაზღვრავს ბანკის ეფექტიანობას და იმას, საკმარისია თუ არა არსებული მოგება ბანკის მომავალი საქმიანობის გაგრძელებისათვის.

L – liquidity – ლიკვიდურობა. სისტემა განსაზღვრავს, საკმარისად ლიკვიდურია თუ არა ბანკი ნაკისრი ვალდებულებების გასასტუმრებლად.

ანალიზის პირველ ეტაპზე ყურადღება ექცევა ბანკის კაპიტალს. ბანკს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი კაპიტალი, შეუძლია, აიტანოს სერიოზული ზარალი და შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა. კაპიტალის საკმარისობის შეფასებისას გამოიყენება მთლიანი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან.

რაც შეეხება აქტივების ხარისხს, მათი შეფასება ხორციელდება ბანკის ინსპექტირების პროცესში.

მოგების შეფასება ხორციელდება მისი რაოდენობიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე და ფასდება ბანკის აქტივების შემოსავლიანობის კუთხით ბოლო სამი წლის განმავლობაში.

შემდეგი ეტაპი არის ბანკის ბალანსის ლიკვიდურობის გაანალიზება, რომლის დროსაც დგინდება, თუ რამდენად უნარიანია ბანკი, უზრუნველყოს კრედიტით კლიენტები და დროულად დაფაროს ვალდებულებები.

ბანკის მენეჯმენტის ანალიზის დროს ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა კაპიტალის საკმარისობა, აქტივების ხარისხი, შემოსავლიანობა და ა.შ.

საქართველოში, CAMEL-ის სისტემის ანალიზის მიხედვით, მნიშვნელოვნად მოიმატა პირველ და მეორე კატეგორიაში მომუშავე ბანკების რაოდენობამ და შესამჩნევი გახდა მათი აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №227 ბრძანებით  
დამტკიცებულ იქნა CAMEL-ის სისტემით გარესაბანკო შემოწმება, რომელიც  
შემუშავდა USAID-ის პროექტის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე.

იგი წარმოადგენს CAMEL-ის სისტემის მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომელიც  
ბანკების ფინანსური მდგომარეობის გარესაბანკო ანალიზისათვის გამოიყენება.

საქართველოში 2000 წლის ბოლოსთვის აღრიცხვაზე იმყოფებოდა 23  
სალიკვიდაციო ბანკი. CAMEL-ის სისტემით შეფასების შედეგად, გამოიკვეთა  
ფინანსური სიძნელეების მქონე რამდენიმე ბანკი, რომელთა მდგომარეობის  
გასაუმჯობესებლად ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული იყო სხვადასხვა  
დონისძიება. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბანკების  
მიერ საწესდებო კაპიტალის 5 მლნ ლარამდე შევსების პროცესს. აღნიშნული  
მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო ლიცენზია ჩამოერთვა 9 კომერციულ ბანკს.

რამდენიმე კვლევამ აჩვენა, თუ რამდენად გამოსადეგია საზედამხედველო  
ინფორმაცია ბანკების მონიტორინგისთვის. ბანკის გაკოტრების თვალსაზრისით,  
ბარკერი და ჰოლდსურთი მიიჩნევენ, რომ, მიუხედავად ბანკების მდგომარეობისა  
და მათი დინამიკის შესახებ საჯარო ინფორმაციისა, CAMEL-ის რეიტინგი მაინც  
გამოსადეგია<sup>97</sup>.

იმავე საკითხის კვლევისას კოულმა და გიუნთერმა დაადგინეს, რომ CAMEL-ის რეიტინგებში ასახული ინფორმაცია გამოსადეგია. იგი გრძელვადიანი არ არის. 1998-1992 წწ. პერიოდში მათ დაადგინეს, რომ ფინანსურ მონაცემებზე  
დაფუძნებული სტატისტიკური მოდელი უფრო ზუსტად მიანიშნებს ბანკის  
მოსალოდნელ გაკოტრებაზე, ვიდრე ორი კვარტალის წინანდელი CAMEL-ის  
რეიტინგები<sup>98</sup>.

ბანკების არსებული მდგომარეობის დასადგენად ჰირტლე და ლოპესმაც  
შეისწავლეს წინა პერიოდის CAMEL-ის რეიტინგები. მათი აზრით, საჯარო  
ინფორმაციიდან გამომდინარე, წინა პერიოდის CAMEL-ის რეიტინგებში ასახული  
კერძო საზედამხედველო ინფორმაცია უკეთესად წარმოაჩენს ბანკის არსებულ  
მდგომარეობას. ავტორების აზრით, 1989-1995 წწ. ადგილზე ბოლო დროს  
მოპოვებული კერძო საზედამხედველო ინფორმაცია კვლავაც გამოსადეგია ბანკის  
მდგომარეობის დასადგენად 6-12 კვარტალის განმავლობაში (ან 1.5-3 წლის


<sup>97</sup> Barker D. and Holdsworth D. 1993. "The Causes of Bank Failures in the 1980s." Research Paper No. 9325, Federal Reserve Bank of New York.

<sup>98</sup> Cole R. A. and Gunther J.W. 1998. "Predicting Bank Failures: A Comparison of On- and Off-Site Monitoring Systems." *Journal of Financial Services Research*, Vol. 13 Issue 2. pp. 103-117.

პერიოდში). კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ CAMEL-ის რეიტინგებში ასახული კერძო საზედამხედველო ინფორმაცია უთუოდ გამოსადეგია ბანკის მდგომარეობის მონიტორინგისთვის<sup>99</sup>.

მაგალითისთვის, მინდა, ყურადღება გავამახვილო ანალიზის პირველ ეტაპზე, სადაც ყურადღება ექცევა ბანკის კაპიტალს და გავაკეთო მოლიანი კაპიტალისა და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შედარებითი ანალიზი სამი წლის (2008-2009-2010) მაგალითზე დაყრდნობით.

## გრაფიკი №5



2008 წელს კომერციული ბანკების მოლიანი კაპიტალისა და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კოეფიციენტის საშუალო პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 20%, ხოლო 2009 წლის კოეფიციენტის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი გაუტოლდა 28%-ს, რაც წინა წელთან შედარებით 8%-ით მეტი იყო; 2010 წლის იმავე მაჩვენებლის საშუალო კოეფიციენტი კომერციული ბანკებისთვის იყო 27%.

<sup>99</sup> Hirtle B. J. and Lopez J. A. 1999. ["Supervisory Information and the Frequency of Bank Examinations."](#) Federal Reserve Bank of New York Economic Policy Review 5, pp. 1-20.

### **თავი 3. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი**

#### **3.1. საბერძნეთის ბანკების ისტორია**

საბერძნეთის ბანკებს დიდი ხნის ისტორია აქვს. მათ შექმნეს ისეთი საორგანიზაციო სტრუქტურა და სისტემები, რამაც შესაძლებელი გახდა სწრაფად გაფართოება.

საორგანიზაციო სტრუქტურა ასახავს ორგანიზაციების წევრთა შორის არსებულ ოფიციალურ ურთიერთობებს და მიუთითებს მათ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობაზე, რაც მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ორგანიზაციისთვის სტრუქტურა. მარშალ, ჰ. თანახმად, „მოელი საბანკო სტრუქტურა იქცევა ოლიგოპოლიად (საბაზრო სტრუქტურა)“. ოლიგოპოლია არის ნაირსახეობა, რომელსაც აკონტროლებს ფირმების მცირე ჯგუფი.<sup>100</sup>

ახალი ათასწლეულის მიჯნაზე საბერძნეთის საბანკო სექტორში სამი მამოძრავებელი ძალა შეინიშნებოდა: სისტემის წინ წამოწევა, კონკურენცია და პრივატიზაცია. სისტემის წინ წამოწევა გულისხმობს, რომ საბანკო საქმესა და სხვა დარგებში საბერძნეთი ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებს თავდაპირველად ჩამოუვარდებოდა, მაგალითად, 1997 წელს ქვეყანაში 100 000 მოსახლეზე მხოლოდ 24 ბანკის ფილიალი მოდიოდა, რაც, ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უმცირესი რაოდენობაა. მაგალითად:

- საბანკო საქმის თვალსაზრისით ისეთ განვითარებული ქვეყნის მაჩვენებელთან შედარებით, როგორიც ბელგიაა, საბერძნეთში საბანკო ფილიალების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1/3-ით ნაკლები იყო;
- 100 000 მოსახლეზე სულ 15 ბანკომატი მოდიოდა, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 1/3-ს, ხოლო ესპანეთთან შედარებით 1/6-ს შეადგენდა.

<sup>100</sup> Marshall J. (1996). "Interview: Firebrand in Navy and Gray." In U.S. Bankeronline. Available at banking.com/usbanker/art9.htm, p. 2.

1990-იანი წლების შუა ხანებში ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებთან ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებისა და ეკონომიკური განვითარების ერთმანეთთან დაახლოებასთან ერთად მიმდინარეობდა საბანკო მომსახურების კონკურგენციაცის გარემოება, თუ როგორ გაუმკლავდებოდნენ ამგვარ ტრანსფორმაციას არსებული და ახალბედა მოთამაშები, განსაზღვრავდა საბერძნეთის საბანკო სექტორის განვითარებას მომავალში.

ჩვეულებრივ, სწრაფად მზარდი ბაზარი მომგებიანობის კარგ პერსპექტივას ქმნის, მაგრამ საბერძნეთის საბანკო სექტორის შემთხვევაში ეს შესაძლოა ასე არ მომხდარიყო, ვინაიდან ბაზრის ზრდასთან ერთად კონკურენცია მძაფრდებოდა. აიწია საპროცენტო განაკვეთების ზღვრულმა მაჩვენებელმა, შესუსტდა შეზღუდვები იმ ფინანსურ საქმიანობაზე, რომლის წარმოებაც შეუძლიათ ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებს. ათ წელიწადზე მეტი წელის განმავლობაში საბერძნეთი, რომელიც დასავლურ სამყაროში, ფინანსური საქმიანობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე შეზღუდული ქვეყანა იყო, დიდწილად, დარეგულირებულ ქვეყანად გადაიქცა<sup>101</sup>.

ევროინტეგრაციამ კიდევ უფრო გაამძაფრა კონკურენცია. ერთიანმა ევროპულმა აქტმა და პირველმა და მეორე საბანკო დირექტივამ გააიოლა ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების ბანკების მიერ საბერძნეთში ბიზნესის წარმოება. ამის მაგალითებია Barclays, ABN-AMRO Bank, Credit Commercial de France, და Midland Bank plc – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ამჟამად ათენში მოქმედებენ. სამომხმარებლო კრედიტები, იპოთეკური სესხების გაცემა, ვაჭრობის დაფინანსება, იჯარით აღება-გაცემა, საკრედიტო და სამოგზაურო ბარათები, საბანკო ტრატები, ვაჭრობა საკუთარი ან მომხმარებელთა სახსრებით, მონაწილეობა აქციების გამოშვებაში, პორტფელის მართვა და სამეურვეო მომსახურება – ყოველივე ეს შეთანხმებულად ხდება<sup>102</sup>.

საბერძნეთის ევროკავშირში გაწევრიანებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის ტემპის შედარებით სწრაფ მატებას და ხელფასების ზრდას. ევროსა და ევრიინტეგრაციის დანერგვამ გაამძაფრა კონკურენცია ბანკებს შორის. სახელმწიფო ბანკების პრივატიზაციამ კიდევ უფრო გარდაქმნა საბერძნეთის საბანკო სექტორი. საბანკო სექტორის რესტრუქტურიზაცია, ძირითადად, განხორციელდა პრივატიზაციითა და კომპანიების შერწყმა-შესყიდვით ისე, რომ

<sup>101</sup> Eichengreen B. and Gibson H. D. (2001) "Greek Banking at the Dawn of the New Millennium" in Bryant R. C., Garganas N.C. and Tavlas G.S. (2001), "Greece's Economic Performance and Prospects", Bank of Greece and the Brookings Institution, p. 545

<sup>102</sup> იქვე, გვ. 546.

ისინი ადგილობრივ საკუთრებაში რჩებოდა<sup>103</sup>.

1927 წლის სექტემბერში დაარსდა საბერძნეთის ბანკი – ქვეყნის ცენტრალური ბანკი. იგი არეგულირებს და ზედამხედველობს საკრედიტო დაწესებულებებს და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის საერთო სტაბილურობას.

ბოლო ორი ათწლეულის (1990 წლიდან) განმავლობაში საბერძნეთის საბანკო სისტემა მტკიცედ დამკვიდრდა ბალკანეთის ქვეყნებში, სადაც ექვს ბერძნულ ბანკს ფილიალების ქსელი აქვს (Simeon Karafolas: 2006)<sup>104</sup>.

#### გრაფიკი №6. ბერძნული ბანკების ქსელი ბალკანეთის ქვეყნებში



1879 წელს დაარსებული საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი ბანკი „ალფა“ გამოირჩევა ეფექტური მენეჯმენტით. 1999 წელს ბანკი იონიის ბანკის 52%-იანი წილის მფლობელი გახდა და მას 1000-ზე მეტი ფილიალი აქვს. ბანკის სტრატეგია მიზნად ისახავს, კომპანიის მძლავრ და ეფექტურ დაწესებულებად ჩამოყალიბებას.

კოპლანდ ტ. ტ. კოლერისა და მურინის თანახმად, ორგანიზაციის დაარსება იწყება სტრატეგიის შემუშავებიდან, ხოლო სტრატეგიული დაგეგმვა გულისხმობს კომპანიის ხედვის, მისისა და მიზნების დადგენას ან ხელახალ შეფასებას. კომპანიის სტრატეგია და მიზნები მის წევრებს სასურველი მიზნების მისაღწევად აუცილებელ ქმედებებს კარნახობს. ურთიერთქმედება ორგანიზაციაში მოითხოვს

<sup>103</sup> MYLONIDIS N. \* AND KELNIKOLA I. "MERGING ACTIVITY IN THE GREEK BANKING SYSTEM: A FINANCIAL ACCOUNTING PERSPECTIVE", University of Ioannina. ASECU South Eastern Europe Journal of Economics 1 (2005) 12-144 SEEJE p. 122.

<sup>104</sup> Karafolas S. "Activities of Greek banks in Balkan countries: a comparative balance sheet and income analysis between affiliate banks in Balkan countries". ERSA Annual Conference Enlargement, Southern Europe and Mediterranean University of Thessaly, Volos, August 30 – September 3, 2006. pp. 2-3.

მისი ელემენტების თანმხვედრ მოქმედებას.<sup>105</sup>

სინკი ჯ. ფ. ჯრ. ადასტურებს, აგრეთვე, კონკურენტული ბაზრის პირობებში სტრატეგიული ბიზნესგეგმის მნიშვნელობას. ცნობილია, რომ სტრატეგიული ბიზნესგეგმა საჭიროა კონკრეტული ბანკების საუკეთესო სტრუქტურის შესაქმნელად. საჭიროა, განისაზღვროს ბანკის გეზი და მისი მომავალი. და ბოლოს, მენეჯერები გამუდმებით უნდა ქმნიდნენ ინოვაციებისა და შეცვლილი გარემოსკენ მიმართულ ახალ ფორმებსა და სტრუქტურას.<sup>106</sup>

1990 წლის დეკემბერში ევროპის საბანკო ორგანიზაციის სახით დაარსებული „ევრო ბანკი“ ერთ-ერთი უდიდესია საბერძნეთში. მისი ფუნქციონირების ფარგლებში ბანკი სწრაფად გაიზარდა და მისი მომსახურების არეალი, 1600 ფილიალის წყალობით, ბალკანეთის ქვეყნებში გავრცელდა.

1929 წელს დაარსდა არაკომერციული ორგანიზაცია საბერძნეთის „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“. იგი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სექტორს სახელმწიფო კრედიტებით უზრუნველყოფს. 2006 წელს ამ ბანკმა შეისყიდა რუმინეთის MIND ბანკი და გააფართოვა თავისი ქსელი ბალკანეთის ქვეყნებში. 1990 წელს ბანკის ქსელმა მთელი საბერძნეთი მოიცვა და მის მიერ შეთავაზებული ახალი ფინანსური პროდუქტები და მომსახურება სასოფლო-სამეურნეო სექტორს გასცდა. საბერძნეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკს აქვს 465 ფილიალი საბერძნეთში და 50 საკორესპონდენტო ბანკისგან შემდგარი ქსელი, აგრეთვე, ერთი წარმომადგენლობითი ფილიალი გერმანიაში.

1916 წელს დაარსდა „პირეაუს ბანკი“, რომელსაც 1975-1991 წლებში მართავდა სახელმწიფო. 1991 წელს მოხდა მისი პრივატიზება.

1998 წელს საბერძნეთში ბანკმა შეიერთა „ჩეიზ მანჰემენი“, ასევე შეიძინა „მაკედონია-თრეიის ბანკის“ საკონტროლო პაკეტი და შეიძინა სპეციალიზებული ბანკი „კრედიტ ლაიონეს პელასი“.

„პირეაუს ბანკი“ განაგრძობდა აქტიურობას ბაზარზე. 1999 წელს მან შეიძინა „ქსიოს ბანკი“ და შეიერთა ნაციონალური „ვესტმინისტერ ბანკი“ საბერძნეთში.

ბანკმა გააერთიანა თავისი სამი კომერციული ბანკი საბერძნეთში („პირეაუს ბანკი“, „მაკედონია ბანკი“ და „ქსიოს ბანკი“) რომლებიც საბანკო სექტორის სამუშავილეს ბანკს შორისაა საბერძნეთში.

„პირეაუს ბანკი“ წლების განმავლობაში განაგრძობდა სწრაფ ზრდას და

<sup>105</sup> Copeland Tom, Tim Koller, and Murrin. (2000). Valuation: Measuring and Managing The Value of Companies, 3rd ed. New York: John Wiley & Sons.

<sup>106</sup> Sinkey J. F. Jr. (2002) “Commercial Bank Financial Management in the Financial-Service Industry”. Sixth Edition, Prentice Hall.

დღესდღეობით ის ფლობს კომპანიების ჯგუფს, რომელიც საბერძნეთის ბაზრის მთელ ფინანსურ და საბანკო საქმიანობას მოიცავს (უნივერსალური ბანკი). ბანკი ფოკუსირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე. ასევე მას აქვს ფინანსური ცენტრები ნიუ-იორკსა და ლონდონში.

### **ჯგუფი ფლობს შემდეგ ფილიალებს:**

- 182 ფილიალი რუმინეთში – „პირეაუს ბანკ რუმინეთი“;
- 100 ფილიალი ბულგარეთში – „პირეაუს ბანკ ბულგარეთი“;
- 56 ფილიალი ალბანეთში – „ტირანა ბანკი“;
- 44 ფილიალი სერბეთში – „პირეაუს ბანკი ბელგრადი“;
- 45 ფილიალი უკრაინაში – „პირეაუს ბანკი აი სი ბი“;
- 15 ფილიალი კვიპროსზე – „პირეაუს ბანკ კვიპროსი“;
- 48 ფილიალი ეგვიპტეში – „პირეაუს ბანკ ეგვიპტე“.

ასევე, ჯგუფს აქვს „პირეაუს ბანკის“ ფილიალი ლონდონში და 13 ფილიალი ნიუ-იორკში („მარათონ ბანკი“).


### 3.2. საქართველოს და საბერძნეთის ბანკების კონსოლიდირებული აქტივების, სესხებისა და დეპოზიტების ფინანსური ანალიზი (2008, 2009 და 2010 წლები)

საბერძნეთის საბანკო სექტორის ხუთი უდიდესი ბანკი მთელი აქტივების 70%-ს აკონტროლებს, ხოლო ქართული ბანკების შემთხვევაში მთლიანი აქტივების მაჩვენებელი 78%-ია.

2011 წლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედებს 19 კომერციული ბანკი, აქტივებისა და საბაზო წილის 34,57%-ს შეადგენს „საქართველოს ბანკი“. „თიბისი ბანკის“ შესაბამისი მაჩვენებელია 20,50%, ხოლო შემდეგი ბანკების მაჩვენებელი ასე გამოიყურება: „ბანკი რესპუბლიკა“ – 9,22%, „პროკრედიტ ბანკი“ – 7,27%, „ქართუ ბანკი“ – 6,76% და ბოლოს „ვითიბი ბანკი“ – 4,64%.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პარაგრაფში განვიხილავთ საქართველოს და საბერძნეთის ბანკების ფინანსურ ინდიკატორებს, რომელთა ანალიზი მოიცავს სამ წელს (2008-2010წ.).

**გრაფიკი №7** საქართველოს და საბერძნეთის ბანკების ანგარიშები (აქტივები მლნ ევროებში)




2008 წელს ქართული ბანკების აქტივების საერთო დირებულება შეადგენდა 2 741 მლრდ ევროს. მონაცემების თანახმად, 2009 წ. ბანკების აქტივები შემცირდა

თითქმის 11%-ით და გაუტოლდა 2 424 მლრდ ევროს, ხოლო 2010 წ. დაფიქსირდა 30%-იანი ზრდა და აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 3 158 მლრდ ევრო.

2008 წელს ბერძნული ბანკების აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 116,896 მლრდ ევრო, 2009 წელს მათი ოდენობა თითქმის 68%-ით გაიზარდა და მიაღწია 195,557 მლრდ ევროს, ხოლო 2010 წელს დაფიქსირდა 5%-იანი შემცირება და საბერძნეთის ბანკების აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 185,239 მლრდ ევრო (იხ. გრაფიკი №7).

**გრაფიკი №8** საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების ანგარიშები (სესხები მლნ ევროებში)




2008 წელს ქართული ბანკების სესხებმა 1785 მლრდ ევრო შეადგინა. მონაცემები მიგვანიშნებს, რომ 2009 წელს ბანკების სესხები შემცირდა თითქმის 21%-ით და შეადგინა 1402 მლრდ ევრო. ხოლო 2010 წელს 31%-იანი ზრდა აღინიშნა და სესხების ოდენობამ 1,835 მლრდ ევრო შეადგინა.

2008 წელს საბერძნეთის ბანკების სესხების მთლიანი ოდენობა შეადგენდა 79,503 მლრდ ევროს. მონაცემების მიხედვით, 2009 წელს ბანკების სესხები თითქმის 69%-ით გაიზარდა და შეადგინა 134,689 მლრდ ევრო, ხოლო 2010 წ. სესხების მთლიანი ოდენობა 1.42%-ით შემცირდა და 132,780 მლრდ ევრო შეადგინა (იხ. გრაფიკი №8).

სესხი არის ვალის ტიპი. სესხის ბრუნვის საერთო კოეფიციენტით ფასდება, თუ რამდენად სწრაფად მოახდენს საკრედიტო კავშირი სესხის პორტფელის კონვერტირებას ნაღდ ფულად.

**გრაფიკი №9** საქართველოს და საბერძნეთის ბანკების ანგარიშები (დეპოზიტები მლნ ევროებში)




2008 წელს საქართველოს ბანკებში განთავსებული ანაბრების საერთო ოდენობამ 1,692 მლრდ ევროს მიაღწია. მონაცემები ცხადყოფს, რომ 2009 წელს ანაბრები 2%-ით გაიზარდა და 1,734 მლრდ ევროს მიაღწია, ხოლო 2010 წელს ანაბრები 34%-ით გაიზარდა და 2,315 მლრდ ევროს მიაღწია.

2008 წელს საბერძნეთის ბანკებში განთავსებული ანაბრების საერთო ოდენობა 69746 მლრდ ევროს გაუტოლდა. მონაცემების მიხედვით, 2009 წელს, ბანკების ანაბრების ოდენობა 63%-ით გაიზარდა და 114,303 მლრდ ევრო შეადგინა, ხოლო 2010 წელს ანაბრები 10%-ით შემცირდა და 102,426 მლრდ ევრო შეადგინა (იხ. გრაფიკი №9).

### 3.3. ბანკების ერთიანი შედეგების აღმნიშვნელი 13 მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტის შედარებითი ანალიზი

**გრაფიკი №10 საქართველოს და საბერძნეთის ბანკების აქტივების უკუგების ანალიზი (ROA)**



2008 წელს „საქართველოს ბანკის“ უკუგებამ კაპიტალზე (კოეფიციენტი ROA) შეადგინა 5,34%, ხოლო „ბანკი რესპუბლიკისთვის“ შესაბამისი კოეფიციენტი იყო 0,56%. მომდევნო ორი ქართული ბანკის შესაბამისი მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყერებოდა: „თიბისი ბანკი“ – 3,07% და „ვითიბი ბანკი“ – 6,76%.

2009 წელს, „საქართველოს ბანკის“ და „ვითიბი ბანკის“ შემთხვევაში, (ROA) კოეფიციენტი, შესაბამისად, ასე გამოიყერებოდა – 3,39%, და 3,21%; „თიბისი ბანკისთვის“ – 0,17%, „ბანკი რესპუბლიკისთვის“ – 0,61%.

2010 წელს საქართველოს ბანკის უკუგება აქტივებზე (კოეფიციენტი ROA) შეადგენდა 2,06%-ს, „თიბისი ბანკისა“ – 2,22%-ს, „ბანკი რესპუბლიკისა“ – 3,74%-ს, „ვითიბი ბანკისა“ – 4,50%-ს (**იხ. გრაფიკი №10**).

2008 წელს საბერძნეთის ბანკების ROA კოეფიციენტი (უკუგება აქტივებზე) ასე გამოიყერებოდა: „ალფა ბანკისთვის“ ის შეადგენდა 0,18%-ს, რაც 0,72%-ით ჩამოუვარდებოდა „ევრო ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და შეადგენდა 0,90%-ს.

ხოლო „სასოფლო-სამეურნეო ბანკისა“ და „პირეაუს ბანკის“ ROA კოეფიციენტი, შესაბამისად, იყო 0,10% და 0,60%.


2009 წელს „ალფა ბანკის“ შესაბამისი კოეფიციენტი უდრიდა 0,66%-ს, რაც 0,26%-ით მეტია „ევრო ბანკის“ მაჩვენებელზე და შეადგენდა 0,40%-ს; „სასოფლო-სამეურნეო ბანკის“ ROA კოეფიციენტის მაჩვენებელი შეადგენდა 1,38%-ს, ხოლო „პირეაუს ბანკისა“ – 0,38%-ს.

2010 წელს „სასოფლო-სამეურნეო ბანკის“ უკუგება აქტივებზე იყო 1,40%, ხოლო დანარჩენი სამი ბანკის შემთხვევაში შესაბამისი კოეფიციენტი ასე გამოიყერებოდა: „ევრო ბანკი“ – 0,20%, „პირეაუს ბანკი“ – 0,04%, „ალფა ბანკი“ – 0,43% (იხ. გრაფიკი №10).

უკუგება აქტივებზე ROA კოეფიციენტით იზომება კომპანიის მიერ მისი აქტივების გამოყენება მოგების მისაღებად.

$$\text{ROA ფორმულა} = \frac{\text{სუფთა შემოსავალი}}{\text{მთელი აქტივები}}$$

**გრაფიკი №11** საქართველოს და საბერძნეთის ბანკების კაპიტალის უკუგების ანალიზი (ROE)



2008 წელს, ქართული ბანკების შემთხვევაში, საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის (ROE) მაჩვენებელი უდრიდა 24,21%-ს; „საქართველოს ბანკისა“, რაც ბევრად აღემატებოდა „თიბისი ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს, – 23%-ს. იგივე კოეფიციენტი „ბანკ რესპუბლიკის“ შემთხვევაში უტოლდებოდა 4,24%-ს, „ვითიბი ბანკის“ შემთხვევაში კი შესაბამისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და შეადგინა 101.4%.

„ვითიბი ბანკისთვის“ 2009 წელიც უარყოფითი აღმოჩნდა და შესაბამისი მაჩვენებელი გაუტოლდა 36,10%-ს; ასევე უარყოფითი იყო იგი „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაშიც და ROE კოეფიციენტის მაჩვენებელი შეადგენდა 16,53%-ს. ხოლო „ბანკი რესპუბლიკისა“ და „თიბისი ბანკის“ შემთხვევაში შესაბამისი მაჩვენებელი ასე გამოიყურებოდა: 4,19% და 0,91%.

2010 წელი „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში დადებითი იყო და შესაბამისი მაჩვენებელი გაუტოლდა 11,92%-ს, რაც თითქმის 1,5%-ით ჩამოუვარდებოდა „თიბისი ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და შეადგენდა 13,32%. ხოლო „ვითიბი ბანკისთვის“, წინა წლებთან (2008-2009) შედარებით, ეს წელიც უარყოფითი იყო. მისი ზემოაღნიშნული მაჩვენებელი გაუტოლდა 24,70%-ს. რაც შეეხება „ბანკ რესპუბლიკას“, ეს წელი მისთვისაც უარყოფითი აღმოჩნდა – მისი ROE კოეფიციენტის მაჩვენებელი შეადგენდა 28,72%-ს (იხ. გრაფიკი №11).

2008 წელს საბერძნეთის ბანკების ROE კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა: „ალფა ბანკი“ – 5,07%, „ევრო ბანკი“ – 15,70%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 3,04%, „პირეაუს ბანკი“ – 10,95%.


2009 წელს, შესაბამისი კოეფიციენტი „ალფა ბანკისთვის“ შეადგენდა 10,01%-ს, რაც 4%-ით ჩამოუვარდებოდა „ევრო ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და გაუტოლდა 6%-ს. „სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის“ ის იყო 3,82%, ხოლო „პირეაუს ბანკისთვის“ – 5,69%.

2010 წელს ROE კოეფიციენტი უარყოფითი აღმოჩნდა მხოლოდ „ევრო ბანკისთვის“, რომლის მაჩვენებელი გაუტოლდა 0,80%-ს, ხოლო დანარჩენი სამი ბანკის შესაბამისი მაჩვენებელი ასე გამოიყურებოდა: „ალფა ბანკი“ – 2%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 2,24% და „პირეაუს ბანკი“ – -0,65% (იხ. გრაფიკი №11).

სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობის ROE კოეფიციენტით იზომება აქციონერთა მიერ განხორციელებული დაბანდებიდან მიღებული შემოსავალი.

$$ROE \text{ ფორმულა} = \frac{\text{სუფთა შემოსავალი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

**გრაფიკი №12. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების აქტივებისა და კაპიტალის უკუგების შედარებითი ანალიზი**



2008 წელს ქართული ბანკების საკუთარი კაპიტალის შეფარდება მთელ აქტივებთან ასეთი იყო: „ვითიბი ბანკი“ – 6,67%, „რესპუბლიკა ბანკი“ – 13,30%, „თიბისი ბანკი“ – 13,33% და „საქართველოს ბანკი“ – 22,06%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი „საქართველოს ბანკისთვის“ 20,54%-ს გაუტოლდა, რაც 1,74%-ით აღემატებოდა „თიბისი ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და შეადგინა 18,80%, ხოლო „რესპუბლიკა ბანკისა“ და „ვითიბი ბანკის“ მაჩვენებელი, შესაბამისად, ასეთი იყო: 14,56 და 8,86%.

2010 წელს „საქართველოს ბანკის“ საკუთარი კაპიტალის შეფარდება მთელ აქტივებთან გაუტოლდა 17,31%-ს და 0,67%-ით აღემატებოდა „თიბისი ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს (16,64%). რაც შეეხება „რესპუბლიკა ბანკის“ მაჩვენებელს,

მან შეადგინა 13,04%, ხოლო „ვითიბი ბანკის“ შემთხვევაში შესაბამისი კოეფიციენტი უდრიდა 18,24%-ს (იხ. გრაფიკი №12).

2008 წელს საბერძნეთის ბანკების საკუთარი კაპიტალის შეფარდება მთელ აქტივებთან ასე გამოიყერებოდა: „ალფა ბანკი“ – 3,55%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 3,04%, „პირეაუს ბანკი“ – 5,51%, და „ევრო ბანკი“ – 4,87%.

2009 წელს შესაბამისი მაჩვენებელი „ალფა ბანკისა“ და „პირეაუს ბანკის“ შემთხვევაში თითქმის თანაბარი იყო და, შესაბამისად, შეადგინა 6,86%, და 6,70%. „სასოფლო-სამეურნეო ბანკის“ კოეფიციენტი კი იყო 3,97%, ხოლო „ევრო ბანკისა“ – 4,74%.

2010 წელს „ალფა ბანკის“ საკუთარი კაპიტალის შეფარდება მთელ აქტივებთან უდრიდა 6,63%-ს, ხოლო დანარჩენი სამი ბერძნული ბანკის შესაბამისი მაჩვენებელი ასეთი იყო: „პირეაუს ბანკი“ – 5,68%, „ევრო ბანკი“ – 4,59% და „სასოფლო სამეურნეო ბანკი“ – 2,58% (იხ. გრაფიკი №12).

2008 წელს ქართული ბანკების საკუთარი კაპიტალის შეფარდება მთელ აქტივებთან, საშუალოდ, იყო 13,84%, ხოლო ბერძნული ბანკებისა 4,24%-ს უდრიდა.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი ქართული ბანკების შემთხვევაში იყო 15,69%, ხოლო ბერძნული ბანკების შემთხვევაში – 5,57%.


2010 წელს ქართული ბანკების საკუთარი კაპიტალის შეფარდება მთლიან აქტივებთან, საშუალოდ, უდრიდა 16,31%-ს, ხოლო ბერძნული ბანკების შემთხვევაში შესაბამისი კოეფიციენტი იყო 4,87%.

სამი წლის მონაცემებით (2008-2009-2010), ქართული ბანკების საკუთარი კაპიტალის შეფარდება მთელ აქტივებთან საშუალოდ შეადგენდა 15,28%-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბერძნული ბანკების შესაბამის მაჩვენებელს (4,89%).

საკუთარი კაპიტალის შესაბამისი კოეფიციენტი მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ იყენებს კომპანია ნასესხებ სახსრებს. ამ კოეფიციენტით იზომება აქციონერთა და არა კრედიტორთა მიერ დაფინანსებული მთელი აქტივების ოდენობა.

$$\text{საკუთარი კაპიტალი} \\ \text{საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტის ფორმულა} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთელი აქტივები}}$$

**გრაფიკი №13 საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების საკრედიტო პორტფელის ეფუძნებისა და მიმღების ანალიზი**



2008 წელს კოეფიციენტი სესხები, შეფარდებული მთლიან აქტივებთან „ვითიბი ბანკის“ შემთხვევაში იყო შედარებით მაღალი (77,47%), ვიდრე დანარჩენი სამი ქართული ბანკის შესაბამისი კოეფიციენტი: „თიბისი ბანკი“ – 66,81%, „რესპუბლიკა ბანკი“ – 65,36% და „საქართველოს ბანკი“ – 62,57%.

2009 წელს „საქართველოს ბანკის“ შესაბამისი კოეფიციენტი უდრიდა 57,02%-ს, ხოლო „თიბისი ბანკის“ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ტოლი იყო 56,87%-ისა. რაც შეეხება „რესპუბლიკა ბანკის“ მაჩვენებელს, ის 58,29% იყო, „ვითიბი ბანკის“ კი – 66,59%.

2010 წელს „ვითიბი ბანკის“ სესხების შეფარდება მთლიან აქტივებთან უდრიდა 58,83%-ს, რაც უმნიშვნელოდ აღემატებოდა „საქართველოს ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და შეადგენდა 58,72%-ს. რაც შეეხება „თიბისი ბანკის“ და „რესპუბლიკა ბანკის“ შესაბამის კოეფიციენტს, შესაბამისად, იყო 60,89% და 46,82% (იხ. გრაფიკი №13).

2008 წელს საბერძნეთის ბანკების სესხების შეფარდება მთლიან აქტივებთან ასეთი იყო: „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 76,05%, „პირების ბანკი“ – 69,80% „ევრო ბანკი“ – 69,46%, „ალფა ბანკი“ – 63,22%.

2009 წელს „ალფა ბანკის“ შესაბამისი კოეფიციენტი იყო 76,22%, ხოლო „პირეაუს ბანკის“ მაჩვენებელი კი – 71,26%. რაც შეეხება დანარჩენ ბანკებს, მათი მაჩვენებლები შეადგენდა: „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 70,53% და „ევრობანკი“ – 68,21%.

2010 წელს, „ალფა ბანკის შემთხვევაში“ ეს მაჩვენებელი უდრიდა 77,14%-ს, ხოლო „ევრობანკისა“ – 67,09%-ს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ბანკის შესაბამის კოეფიციენტს, ის იყო 73,39%, ხოლო „პირეაუს ბანკისა“ – 67,81% (**იხ. გრაფიკი №13**).

2008 წელს ქართული ბანკების სესხების შეფარდება მთლიან აქტივებთან, საშუალოდ, უდრიდა 68,05%-ს, ხოლო ბერძნული ბანკებისა – 69,63%-ს.

2009 წელს ეს შეფარდება ქართული ბანკების შემთხვევაში, საშუალოდ, უდრიდა 57,39%-ს, ხოლო ბერძნული ბანკების შემთხვევაში – 71,41%-ს.


2010 წელს ქართული ბანკების სესხების შეფარდება მთლიან აქტივებთან, საშუალოდ, უდრიდა 56,31%-ს, ხოლო ბერძნული ბანკებისა – 71,36%-ს.

ბოლო სამი წლის (2008-2009-2010) საშუალო მაჩვენებელი, სესხების შეფარდება მთლიან აქტივებთან, ქართული ბანკების შემთხვევაში უდრიდა 60,58%-ს, ხოლო ბერძნული ბანკების სამი წლის საშუალო მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო – 70,85%.

სესხების შეფარდებით მთლიან აქტივებთან იზომება სესხების დაუფარავი ნაწილი მთლიანი აქტივების პროცენტულ რაოდენობასთან მიმართებით. ოუ აღნიშნული შეფარდება მაღალია, ეს ნიშნავს, რომ ბანკს დავალიანება აქვს და მისი ლიკვიდურობა დაბალია. უფრო მაღალი შეფარდება ნიშნავს, რომ ბანკის დეფოლტის ალბათობა მეტია და რისკებიც უფრო მაღალია.

ფინანსურ სისტემაში სასესხო პორტფელები წარმოადგენს აქტივების უდიდეს კატეგორიას. სესხების შეფარდება მთლიან აქტივებთან არის რისკის უდიდესი წყარო, რომელიც უკავშირდება საკრედიტო კავშირის საქმიანობას.

**გრაფიკი №14. საქართველოს და საბერძნეთის ბანკების საპროცენტო მარჟის ანალიზი**



2008 წელს „თიბისი ბანკის“ კოეფიციენტი სესხების შეფარდება ანაბრებთან გაცილებით მაღალი იყო – 147,66%, ვიდრე დანარჩენი სამი ქართული ბანკისა, რომელთა შესაბამისი კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა: „ვითიბი ბანკი“ – 88,78%, „საქართველოს ბანკი“ – 84,61%, და „რესპუბლიკა ბანკი“ – 80,23%.

2009 წელს „საქართველოს ბანკის“ შესაბამისი კოეფიციენტი შეადგენდა 75,48%-ს, რაც გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე „თიბისი ბანკისა“ და გაუტოლდა 97,04%-ს. ხოლო „რესპუბლიკა ბანკისა“ და „ვითიბი ბანკის“ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ასეთი იყო: 74,04% და 79,34%.

2010 წელს ქართული ბანკების შესაბამისი კოეფიციენტი ასე განაწილდა: „რესპუბლიკა ბანკი“ – 59,24%, „საქართველოს ბანკი“ – 74,81%, „ვითიბი ბანკი“ – 82,07%, „თიბისი ბანკი“ – 97,02% (იხ. გრაფიკი №14).

2008 წელს საბერძნეთის ბანკების სესხების შეფარდება ანაბრებთან ასე გამოიყურებოდა: „ევრო ბანკი“ – 124,95%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 103,29%, „ალფა ბანკი“ – 92,71% და „პირეაუს ბანკი“ – 90,14%.

2009 წელს „ევრობანკის“ შესაბამისი კოეფიციენტი უდრიდა 122,86%-ს, რაც 0,74%-ით ჩამოუვარდებოდა „ალფა ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და შეადგინა

123,60%, ხოლო „სასოფლო-სამეურნეო ბანკისა“ და „პირებუს ბანკის“ შესაბამისი კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა: 102,50% და 86,93%.

2010 წელს „ალფა ბანკის“ სესხების შეფარდება ანაბრებთან იყო 134,55%, „ევრობანკისა“ – 131,76%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკისა“ – 116,41% და „პირებუს ბანკისა“ – 79,17% (**იხ. გრაფიკი №14**).

2008 წელს ქართული ბანკების სესხების შეფარდება ანაბრებთან საშუალოდ გაუტოლდა 100,32%-ს, ბერძნული ბანკების კი იყო 102,77%.

2009 წელს ქართული ბანკების შესაბამისი საშუალო კოეფიციენტი უდრიდა 81,47%-ს, ბერძნული ბანკების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი საშუალოდ იყო 108,97%.


2010 წელს ქართული ბანკების სესხების შეფარდება ანაბრებთან საშუალოდ იყო 78,46%, ხოლო ბერძნული ბანკების საშუალო მაჩვენებელი იყო 115,47%.

რაც შეეხება სამი წლის (2008-2009-2010) საშუალო მაჩვენებელს, ქართული ბანკების შემთხვევაში შეადგენდა 86,75%-ს, რაც ჩამოუვარდებოდა ბერძნული ბანკების შესაბამის მაჩვენებელს – 109,07%.

ვალენტინა ფ. კალვინ მ. და შუმახერის ლ. თანახმად, სესხებისა და ანაბრების თანაფარდობით იზომება საკრედიტო რისკი. იმავე მაჩვენებლით იზომება საბანკო სექტორის ლიკვიდურობა. თუ შეფარდება მაღალია, ეს ნიშნავს, რომ ბანკი უფრო მეტადაა დამოკიდებული ნასესხებ სახსრებზე.<sup>107</sup>

<sup>107</sup> Flamini V. McDonald C. and Schumacher L. (2009) "The Determinant of Commercial Bank Profitability in Sub-Saharan Africa", IMF Working Paper, International Monetary Fund. pp. 1-28.

**გრაფიკი №15. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების ხარჯების შემოსავლებთან  
თანაფარდობის შედარებითი ანალიზი**



2008 წელს „თიბისი ბანკის“ ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა შედარებით მაღალი იყო – 189,58%, ვიდრე „ვითიბი ბანკისა“ – 162,24%, ხოლო დანარჩენი ორი ბანკის შემოხვევაში შესაბამისი კოეფიციენტი ასე გამოიყერებოდა: „საქართველოს ბანკი“ – 108,1%, „რესპუბლიკა ბანკი“ – 97,78%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი ქართული ბანკებისთვის ასე განაწილდა: „საქართველოს ბანკი“ – 88,76%, „რესპუბლიკა ბანკი“ – 89,25%, „თიბისი ბანკი“ – 95,61% და „ვითიბი ბანკი“ – 136,61%.

2010 წელს ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა „რესპუბლიკა ბანკისა“ და „ვითიბი ბანკისთვის“ აღმოჩნდა ძალიან მაღალი და შეადგინა, შესაბამისად, 253% და 231%, ხოლო „თიბისი ბანკისა“ და „საქართველოს ბანკისთვის“ შესაბამისი კოეფიციენტი დაბალი იყო და შეადგინა, შესაბამისად, 69,06% და 82,14% (იხ. გრაფიკი №15).

2008 წელს საბერძნეთის ბანკების შემოხვევაში ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა ასეთი იყო: „ევრო ბანკი“ – 50,24%, „აღფა ბანკი“ – 50,36%, „სასოფლო სამეურნეო ბანკი“ – 75,35% და „პირებული ბანკი“ – 77,33%.

2009 წელს „აღფა ბანკის“ იგივე მაჩვენებელი უდრიდა 50,50%-ს, რაც 2,11%-ით აღემატებოდა „ევრობანკის“ მაჩვენებელს და შეადგენდა 48,39%-ს, ხოლო

„სასოფლო-სამეურნეო ბანკის“ შემთხვევაში იყო 64,65%, „პირეაუს ბანკისთვის“ კი – 80,81%.

2010 წელს საბერძნეთის ბანკებისთვის შესაბამისი კოეფიციენტი ასე განაწილდა: „ეგრო ბანკი“ – 48,77%, „ალფა ბანკი“ – 51,09%, „პირეაუს ბანკი“ – 73,24% და „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 74,10% (იხ. გრაფიკი №15).

2008 წლის საშუალო მაჩვენებელი, ხარჯები შეფარდებული შემოსავლებთან, ქართული ბანკების შემთხვევაში იყო 139,40%, ხოლო ბერძნული ბანკების შემთხვევაში – 63,32%.


2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი ქართული ბანკებისთვის 102,56% იყო, ხოლო ბერძნული ბანკებისთვის – 61,09%.

2010 წელს ქართული ბანკების ხარჯების შეფარდება შემოსავლებთან საშუალოდ იყო 158,80%, ხოლო ბერძნული ბანკების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უდრიდა 61,80%-ს.

რაც შეეხება სამი წლის (2008-2009-2010) ხარჯებისა და შემოსავლების შეფარდების საშუალო მაჩვენებელს, ის ქართული ბანკებისთვის იყო 133,59%, რაც აღემატებოდა ბერძნული ბანკების შესაბამისი კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელს და შეადგენდა 62,07%-ს.

ხარჯების დაბალი პროცენტული შეფარდება შემოსავლებთან კარგი მაჩვენებელია, ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ ხარჯები ჩამოუვარდება მოგებას.

გრაფიკი №16. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების აქტივების ვალდებულებებთან თანაფარდობის შედარებითი ანალიზი



2008 წელს მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან „თიბისი ბანკის“ შემთხვევაში უდრიდა 103%-ს, ხოლო დანარჩენი სამი ქართული ბანკის შესაბამისი კოეფიციენტი ასეთი იყო: „საქართველოს ბანკი“ – 96%, „რესპუბლიკა ბანკი“ – 91% და „ვითიბი ბანკი“ – 62,74%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი „საქართველოს ბანკისთვის“ აღმოჩნდა შედარებით მაღალი – 110%, ვიდრე დანარჩენი სამი ქართული ბანკისთვის, რომელთა მაჩვენებლებმა შემდეგი სურათი მოგვცა: „რესპუბლიკა ბანკი“ – 93%, „თიბისი ბანკი“ – 83% და „ვითიბი ბანკი“ – 62,56%.

2010 წელს მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში შეადგენდა 105%-ს, რაც 13%-ით აღემატებოდა „თიბისი ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს და შეადგენდა 92%-ს, ხოლო „რესპუბლიკა ბანკის“ შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი უდრიდა 53%-ს, ხოლო „ვითიბი ბანკის“ შემთხვევაში – 66,80%-ს (იხ. გრაფიკი №16).

2008 წელს საბერძნეთის ბანკების მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან „ალფა ბანკის“ შემთხვევაში უდრიდა 107,10%-ს, ხოლო „ევრობანკის“ მაჩვენებელი იყო 134,59%. რაც შეეხება „სასოფლო-სამეურნეო ბანკის“ და „პირეაუს ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს ის, შესაბამისად, ასე გამოიყერებოდა: 91,46% და 98,79%.

2009 წელს ბერძნული ბანკების შესაბამისი კოეფიციენტი ასეთი იყო: „ევრო ბანკი“ – 139,15%, „ალფა ბანკი“ – 108,50%, „პირეაუს ბანკი“ – 100,28% და „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 99,05%.

2010 წელს, „ალფა ბანკის“ შესაბამისი მაჩვენებელი იყო 108,87%, „ევრო ბანკისა“ – 160,09%, „პირეაუს ბანკის“ – 101,11% და „სასოფლო სამეურნეო ბანკის“ – 96,63% (**იხ. გრაფიკი №16**).

2008 წელს საშუალო მაჩვენებელი მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან ქართული ბანკების შემთხვევაში იყო 88,19%, ხოლო ბერძნული ბანკებისთვის იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 107,99%-ს.

2009 წელს ქართული ბანკების შესაბამისი საშუალო კოეფიციენტი იყო 87,14%, ხოლო ბერძნული ბანკებისა – 111,75%.


2010 წელს ქართული ბანკების საშუალო კოეფიციენტი უდრიდა 79,20%-ს, ხოლო ბერძნული ბანკებისა – 116,68%-ს.

სამი წლის მონაცემებით (2008-2009-2010), მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების თანაფარდობის საშუალო კოეფიციენტი ქართული ბანკების შემთხვევაში იყო 84,84%, ხოლო ბერძნული ბანკების შესაბამისი სამი წლის საშუალო კოეფიციენტი – 112,14%.

მიმდინარე აქტივები არის ფულის სახით (ფულზე ადვილად კონვერტირებადი) კონვერტირებადი აქტივები. ეს მოიცავს მომხმარებელთა ანგარიშებზე განთავსებულ მოკლევადიან ანაბრებს. მიმდინარე ვალდებულება კომპანიის ბალანსში აისახება პროცენტის სახით არსებულ ვალად. ეს არის მოკლევადიანი ვალები, როგორიცაა საბანკო ლიმიტის გადამეტება (ოვერდრაფტი). გარდა ამისა, ეს არის ვალი, რომლის გადახდაც ერთ წელიწადშია მოსალოდნელი.

მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა ნიშნავს, რომ კომპანია ნაღდ ფულს გამოიმუშავებს, ხოლო კომპანიის მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებების სწრაფი ზრდა ნიშნავს, რომ მას გარკვეული პრობლემა აქვს, მაგრამ ვალდებულების მაღალი მაჩვენებელი ყოველთვის ცუდი არ არის.

გრაფიკი №17. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების ანაბრების მთლიან ვალდებულებებთან თანაფარდობის შედარებითი ანალიზი



2008 წელს ანაბრები, შეფარდებული მთლიან ვალდებულებებთან, „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში იყო 94,87%, რაც აღემატებოდა „თიბისი ბანკის“ შესაბამის კოეფიციენტს – 52,24%. დანარჩენი ორი ქართული ბანკის შესაბამისი მაჩვენებელი კი ასეთი იყო: „რესპუბლიკა ბანკი“ – 93,97% და „ვითიბი ბანკი“ – 93,49%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი „საქართველოს ბანკისთვის“ აღმოჩნდა შედარებით მაღალი – 95,08%, ვიდრე დანარჩენი სამი ქართული ბანკის შესაბამისი მაჩვენებელი, რომელმაც შეადგინა: „თიბისი ბანკისთვის“ – 72,17%, „რესპუბლიკა ბანკისთვის“ – 92,14% და „ვითიბი ბანკისთვის“ – 92,55%.

2010 წელს ანაბრები, შეფარდებული მთლიან ვალდებულებებთან, ქართული ბანკებისთვის ასეთი იყო: „საქართველოს ბანკი“ – 94,93%, „რესპუბლიკა ბანკი“ – 90,87%, „ვითიბი ბანკი“ – 87,67% და „თიბისი ბანკი“ – 74,75% (იხ. გრაფიკი №17).

2008 წელს ბერძნული ბანკების შემთხვევაში, შეფარდებული მთლიან ვალდებულებებთან, გამოიყურებოდა შემდეგნაირად: „ალფა ბანკი“ – 74,20%, „ევრო ბანკი“ – 58,05%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 78,31% და „პირებული ბანკი“ – 81,02%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი იყო: 67,45% – „ალფა ბანკისთვის“, 60,04% – „ევრობანკისთვის“, 73,64% – „სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის“ და 87,51% – „პირეაუს ბანკისთვის“.

2010 წელს ანაბრების ფარდობა მთლიან ვალდებულებებთან „პირეაუს ბანკის“ შემთხვევაში იყო 90,93%, ხოლო დანარჩენი სამი ბერძნული ბანკისთვის შესაბამისი კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა: „ევრო ბანკი“ – 54,79%, „ალფა ბანკი“ – 62,76% და „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 66,44% (იხ. გრაფიკი №17).


2008 წელს საშუალო კოეფიციენტი ანაბრები, შეფარდებული მთლიან ვალდებულებებთან, ქართული ბანკების შემთხვევაში იყო 83,64%, ხოლო ბერძნული ბანკების შესაბამისი კოეფიციენტი, საშუალოდ, უდრიდა 72,90%-ს.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი, საშუალოდ, იყო 87,99% ქართული ბანკების შემთხვევაში და 72,16% – ბერძნული ბანკების შემთხვევაში.

2010 წელს საშუალო კოეფიციენტი ქართული ბანკებისთვის უდრიდა 87,06%-ს და ბერძნული ბანკებისთვის – 68,73%-ს.

ანაბრების შეფარდება მთლიან ვალდებულებებთან სამი წლის (2008-2009-2010) საშუალო კოეფიციენტი ქართული ბანკებისთვის იყო 86,23% და ბერძნული ბანკებისთვის – 71,26%.

გრაფიკი №18. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების ძირითადი საშუალებების მოლიან აქტივებთან თანაფარდობის შედარებითი ანალიზი



2008 წელს ფიქსირებული აქტივები, შეფარდებული მოლიან აქტივებთან ქართული ბანკებისთვის იყო შემდეგი: „საქართველოს ბანკი“ – 10,71%, „თიბისი ბანკი“ – 8,31%, „ვითიბი ბანკი“ – 7,89%, „რესპუბლიკა ბანკი“ – 7,51%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი „საქართველოს ბანკისთვის“ შეადგენდა 12,30%-ს, „ვითიბი ბანკისთვის“ – 11,46%-ს, „თიბისი ბანკისთვის“ – 9,39%-ს, ხოლო „რესპუბლიკა ბანკის“ შემთხვევაში შესაბამისი კოეფიციენტი იყო 7,82%.

2010 წელს ფიქსირებული აქტივებისა და მოლიანი აქტივების თანაფარდობა „ვითიბი ბანკისთვის“ აღმოჩნდა 14,13%, ხოლო „საქართველოს ბანკის შემთხვევაში მაჩვენებელმა შეადგინა 9,97%. რაც შეეხება „თიბისი ბანკის“ შესაბამის მაჩვენებელს, ის იყო 7,75%, ხოლო „რესპუბლიკა ბანკისა“ – 8,39% (იხ. გრაფიკი №18).

2008 წელს ფიქსირებული აქტივები, შეფარდებული მოლიან აქტივებთან, ბერძნული ბანკებისთვის იყო შემდეგი: „ალფა ბანკი“ – 1,98%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 1,62%, „ევრო ბანკი“ – 1,50%, და „პირებული ბანკი“ – 3,08%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი „ალფა ბანკისთვის“ იყო 1,91%, „ევრო ბანკისთვის“ – 1,49%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის“ – 1,40% და „პირებული ბანკისთვის“ – 3,52%.

2010 წელს, ფიქსირებული აქტივებისა და მთლიანი აქტივების თანაფარდობა ბერძნული ბანკებისთვის ასეთი იყო: „ალფა ბანკი“ – 1,96%, „ევრო ბანკი“ – 1,42%, „სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 0,60% და „პირეაუს ბანკი“ – 3,32% (იხ. გრაფიკი №18).

2008 წელს ფიქსირებული აქტივების შეფარდება მთლიან აქტივებთან, საშუალოდ, შეადგენდა 8,61%-ს ქართული ბანკებისთვის და 2,05%-ს – ბერძნული ბანკებისთვის.


2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი ქართული ბანკების შემთხვევაში შეადგენდა 10,24%-ს და 2,08%-ს – ბერძნული ბანკების შემთხვევაში.

2010 წელს შესაბამისი კოეფიციენტი ქართული ბანკებისთვის, საშუალოდ, იყო 10,06%, ხოლო ბერძნული ბანკებისთვის – 1,83%.

სამი წლის (2008-2009-2010) საშუალო კოეფიციენტი ფიქსირებული აქტივები, შეფარდებული მთლიან აქტივებთან ქართული ბანკებისთვის იყო მაღალი – 9,64%, ვიდრე ბერძნული ბანკების შესაბამისი საშუალო მაჩვენებელი – 2%.

ფიქსირებული აქტივები (ძირითადი საშუალებები) მოიცავს კაპიტალს, ორგანიზაციის ან ბიზნესის მუდმივ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება შემოსავლის მისაღებად და არ არის განკუთვნილი გასაყიდად. მთლიან აქტივებში ძირითადი საშუალებების წილით იზომება კომპანიის ეფექტურობა. ძირითადი საშუალებები ცნობილია აგრეთვე უძრავი ქონების, მანქანებისა და დანადგარების სახელით და მოიცავს ყველა იმ რესურსს, რომელსაც იღებს ან სესხულობს ბიზნესი.

**გრაფიკი №19. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის შედარებითი ანალიზი**



2008 წელს, კაპიტალის აღეკვატურობის კოეფიციენტი „თიბისი ბანკის“ შემთხვევაში იყო 18,90%, რაც 1,63%-ით ჩამოუვარდებოდა „რესპუბლიკა ბანკის“ შესაბამის კოეფიციენტს და შეადგენდა 20,53%-ს. „საქართველოს ბანკის“ და „ვითიბი ბანკის“ შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, იყო 13,50% და 9,22%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი „თიბისი ბანკისთვის“ აღმოჩნდა ძალიან მაღალი – 37%, ვიდრე დანარჩენი სამი ქართული ბანკის შემთხვევაში და შესაბამისი კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: „რესპუბლიკა ბანკი“ – 22,81%, „ვითიბი ბანკი“ – 17,31%, და „საქართველოს ბანკი“ – 16,80%.

2010 წელს კაპიტალის აღეკვატურობის კოეფიციენტი „თიბისი ბანკისთვის“ ასევე მაღალი იყო და შეადგინა 30%, ხოლო შესაბამისი კოეფიციენტი „რესპუბლიკა ბანკისა“ და „ვითიბი ბანკისთვის“ ასეთი იყო: 26,85% და 23,56%. კაპიტალის აღეკვატურობის კოეფიციენტი „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში შეადგენდა 14,50%-ს (იხ. გრაფიკი №19).

2008 წელს კაპიტალის აღეკვატურობის კოეფიციენტი ბერძნული ბანკების შემთხვევაში ასე გამოიყურებოდა: „სახოფლო-სამეურნეო ბანკი“ – 8,60%, „ალფა ბანკი“ – 9,80%, „პირებული ბანკი“ – 9,90% და „ეგრო ბანკი“ – 10,04%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტი „ალფა ბანკისთვის“ შეადგენდა 13,20%-ს, „ევრო ბანკისთვის“ – 12,70%-ს, „პირეაუს ბანკისთვის“ – 9,80%-ს და „სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის“ – 9,20%-ს.

2010 წელს კაპიტალის აღეკვატურობის კოეფიციენტი „ალფა ბანკისთვის“ იყო 13,60%, შედარებით მაღალი, ვიდრე „ევრო ბანკის“ შესაბამისი მაჩვენებელი – 13,10%. შესაბამისი კოეფიციენტი „სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის“ იყო 12,50% და „პირეაუს ბანკისთვის“ – 9,30% (**იხ. გრაფიკი №19**).

2008 წელს კაპიტალის აღეკვატურობის კოეფიციენტი, საშუალოდ, ქართული ბანკებისთვის იყო 15,54%, ხოლო ბერძნული ბანკებისთვის – 9,59%.

2009 წელს შესაბამისი კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი ქართული ბანკების შემთხვევაში იყო 23,48%, ბერძნული ბანკების შემთხვევაში კი შედარებით ნაკლები – 11,23%.

2010 წელს კაპიტალის აღეკვატურობის საშუალო კოეფიციენტი ქართული ბანკებისთვის შეადგენდა 23,73%-ს და ბერძნული ბანკებისთვის – 12,13%-ს.

სამი წლის (2008-2009-2010) განმავლობაში კაპიტალის აღეკვატურობის საშუალო კოეფიციენტი ქართული ბანკებისთვის იყო 20,92%, ხოლო ბერძნული ბანკებისთვის შესაბამისი კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი შედარებით დაბალი – 10,98%.

სინკის თანახმად, ბანკის მთავარი მიზანია კაპიტალის მართვა, რაც ძლიერი კაპიტალური ბაზის შენახვას გულისხმობს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბიზნესის განვითარება.

ბერგერი ა. და ანგბაზო ლ. თანახმად, უფრო მაღალი კაპიტალის კოეფიციენტის მქონე ბანკები ნაკლებ მოსალოდნელ ხარჯებს სწევენ და სხვებზე უფრო მომგებიანი არიან. კაპიტალის აღეკვატურობა, ანუ CAR , ცნობილია ასევე, როგორც კაპიტალისა და რისკის ფარდობა (შეწონილი).<sup>108</sup>

კაპიტალის აღეკვატურობა აგრეთვე მიუთითებს ფინანსური სისტემის უსაფრთხოებასა და სიჯანსაღეზე და ზომავს ბანკის ფინანსურ სიძლიერეს ბალანსზე არსებული სესხების, ინვესტიციებისა და სხვა კომპონენტების კაპიტალური რეზერვების გათვალისწინებით. იგი გამოითვლება, როგორც ბანკის წმინდა კაპიტალის ფარდობა რისკ-ფაქტორებთან. კაპიტალის აღეკვატურობის მინიმალური ოდენობაა 8%.

<sup>108</sup> Berger A. (1995), "The Relationship between Capital and Earnings in Banking". Journal of Money. Credit and Banking. Vol. 27, No. 2,432-456. Angbazo L. (1997), "Commercial Bank Interest Margins, default Risk, interest-rate risk, and off-balance sheet banking,". Journal of Banking and Finance. Vol. 21, 55-87.

## მარეგულირებელი კაპიტალი იყოფა ორ კლასად:

1. პირველი კლასის კაპიტალი;
2. მეორე კლასის კაპიტალი.

კაპიტალის ბაზა: პირველი კლასის კაპიტალი + მეორე კლასის კაპიტალი = მესამე კლასის კაპიტალს.

- პირველი კლასის კაპიტალის კოეფიციენტი = პირველი კლასის კაპიტალი / რისკზე შეწონილი აქტივები  $\geq 6\%$
- მთლიანი კაპიტალის (პირველი და მეორე კლასი) კოეფიციენტი = მთლიანი კაპიტალი (პირველი და მეორე კლასი) / რისკზე შეწონილი აქტივები  $\geq 10\%$ ;
- მესამე კლასის კაპიტალი, როგორც რისკზე შეწონილი აქტივების პროცენტული წილი = მესამე კლასის კაპიტალი / რისკზე შეწონილი აქტივები.


პირველი კლასის კაპიტალი ძირითადი კაპიტალია და მოიცავს სააქციო კაპიტალსა და გახსნილ რეზერვებს.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი = კაპიტალის ბაზა / რისკზე შეწონილი აქტივები

$$\text{კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{პირველი კლასის კაპიტალი} \pm \text{მეორე კლასის კაპიტალი}}{\text{რისკის შეწონილ აქტივებზე}}$$

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი გამოიყენება მეანაბრეების დასაცავად და ფინანსური სისტემის ეფექტურობის ხელშესაწყობად: პირველი კლასის კაპიტალი ახდენს ზარალის ამორტიზებას. მეორე კლასის კაპიტალი მეანაბრეებს ნაკლებ დაცვას სთავაზობს, მაგრამ შეუძლია ზარალის ამორტიზება ბიზნესის დახურვის შემთხვევაში.

გრაფიკი №20. საქართველოსა და საბერძნეთის ბანკების მთლიანი ვალდებულებების მთლიანი აქტივებთან თანაფარდობის შედარებითი ანალიზი



